При введении в состав модельного фарша композиции (крапива и картофельный полуфабрикат) в количестве 25% - содержание влаги увеличивается всего на 2,3%, в то время, как содержание связанной влаги возрастает на 11,4% к массе образца и на 14,1 % к общей влаге, а прочносвязанной влаги - на 0,55 г/1г сухого



вещества по сравнению с контрольным образцом, выход изделия при этом увеличивается на 18,2 %.

Таблица 2 –Показатели качества модельных фаршей в зависимости от количества в рецептуре растительной композиции

Количество растительной композиции, % к массе мяса сырья	Содержание влаги, % к массе фарша	Показатели качества		Прочно связанная влага, г/г сухих веществ	Выход готовых изделий, %
		Содержание связанной влаги, %			
		%, к мясу	%, к общей влаге,		
0(контроль)	63,60	53,5	73,6	1,02	92,0
3: 15 ¹ , всего 18	64,7	63,2	82,7	1,34	106,3
5:15, всего 20	65,2	63,5	85,2	1,44	107,5
8:15, всего 23	65,5	64,2	87,3	1,53	108,2
10:15, всего 25	65,9	64,5	87,7	1,57	110,2
12:15, всего 27	66,3	65,3	83,2	1,47	108,3
15:15, всего 30	66,8	65,9	81,3	1,45	107,2
Примечание:	соотношение крапивы и картофельного полуфабриката				

Дальнейшее увеличение содержания растительной композиции в составе модельных фаршей приводит к снижению водосвязывающей способности мясорастительного фарша и выхода готовых изделий.

Исследование органолептических показателей качества готовых мясных паштетов с различным содержанием растительной композиции свидетельствует о том, что введение в состав модельного фарша растительной композиции свыше 23% оказывает на них негативное влияние: их консистенция уплотняется, а изделия приобретают привкус крапивы и темно-серый цвет.

В виду того, что при разработке комбинированных мясных продуктов органолептические показатели являются превалирующими, то за оптимальное содержание растительной композиции в составе модельного фарша было принято – 23%.

При данной концентрации подобранных растительных композиций органолептические свойства готового продукта, а также и его физико-химические показатели соответствовали требованиям, предъявляемым к готовым мясным паштетам.

Исследование структурно - механических свойств модельных фаршей также подтвердило, что контрольному образцу соответствует мясо - растительный фарш с содержанием 23 % вышеуказанной растительной композиции. Соответствие структуры контрольному образцу фарша и увеличение выхода продукта можно



объяснить уникальной способностью картофельной клетчатки и крахмала, а также пектиновых веществ крапивы связывать воду и жир.

Использование разработанной растительной композиции позволяет получить мясной продукт по качеству не уступающий традиционным мясным изделиям, сэкономить основное сырье, снизить себестоимость и повысить пищевую и биологическую ценность готового мясного продукта. Простота технологии и доступность сырьевой базы позволяют повсеместно организовать производство данного вида продукции наимеющимся технологическом оборудовании и обеспечить население полноценным продуктом питания.

Разработанные рецептура и технология мясорастительного паштета может быть использована на предприятиях мясной промышленности и общественного питания.

Данные проведенных исследований позволяют сделать вывод, что разработанная стабилизирующая растительная композиция обеспечивает:

- повышение пищевой и биологической ценности готовой продукции и возможность ее применение в лечебном и профилактическом питании.
- повышение влагосвязывающей способности мясных фаршевых систем;
- увеличение выхода готовой продукции, снижение ее себестоимости;
- благотворное воздействие на здоровье человека и поэтому мясные паштеты с их использованием могут быть рекомендованы в качестве функционального продукта в диетическом и в профилактическом питании человека.

Список литературы

1. Применение дикорастущих растений в производстве плавленых сыров / Л.Н. Азолкина //Переработка молока. – 2008, №4 - с.20-21.
2. Юхневич К.П.. Сборник рецептов мясных изделий и колбас. СПб.: Изд. «ПрофиКС», Санкт- Петербург, 2003. - 328 с.
3. Полуфабрикат из картофеля с высокой желирующей способностью. Василенко З.В., Березнева Т.В., Пискун Т.И. / Тезисы докладов Междунар. научно-практ. конференции «Техника и технология пищевых производств». Могилев, 25-27 марта 1998, с. 110-111.

TECHNOLOGY OF MEAT PASTE WITH PLANT COMPOSITION

Vasilenko Z.V., Berezneva T.V., Piskun T.I.
Mogilev state foodstuffs university, Mogilev, Belarus

Summary

The possibility using plant composition (nettle - potato cake mix with a high gelling ability) in the production of meat pies. Conducted studies to determine the mode of administration components of plant composition, to establish the optimal concentration of plant composition and its influence on the physicochemical and sensory properties of model forcemeats-vegetable paste



ჰიდროთერმული დამუშავების ხერხების გავლენა ხორცის მზა ნაწარმის ხარისხზე

თავდიდიშვილი დ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შესწავლილია ზემოდალი სისშირის ველის და ორთქლით დამუშავების ხერხების გავლენა ხორცის ნაწარმის ხარისხზე. განსაზღვრულია მათი გამოყენების დროს მიმდინარე ძირითადი საკვები ნივთიერებების ცვლილებები და მზა პროდუქციის ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები. დადასტურებულია განხილული ხერხების უპირატესობა ჰიდროთერმული დამუშავების ტრადიციულ ხერხთან შედარებით. დადგენილია მათი გამოყენების მიზანშეწონილობა სამკურნალო და პროფილაქტიკურ კვებაში ხორცის ნაწარმის დასამზადებლად.

ხორცის ჰიდროთერმული დამუშავების დროს მისი კვებითი ღირებულება იცვლება გარემო არეში წყლისა და მასში გახსნილი საკვები ნივთიერებების გამოყოფისა და ამ უკანასკნელთა გარკვეული ნაწილის დაშლისა და ურთიერთმოქმედების რეაქციების გამო. შედეგად იცვლება მზა ნაწარმის ქიმიური შედგენილობა და ყალიბდება მათი ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები.

წყალში ხარშვის დროს ხსნადი ნივთიერებების დანაკარგებზე გავლენას ახდენს დამატებითი ფაქტორი - დიფუზია სახარშ არეში. პროდუქტების ორთქლით დამუშავებისას კი დიფუზიური პროცესების როლი დაყვანილია მინიმუმამდე, რაც ხელს უწყობს ხორცის საკვები ნივთიერებების დანაკარგების მნიშვნელოვან შემცირებას ტრადიციულ მეთოდით ხარშვასთან შედარებით.

აღნიშნულთან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვანია ჰიდროთერმული დამუშავების ისეთი ხერხებისა და რეჟიმების შერჩევა, რომლებიც უზრუნველყოფენ საკვები ნივთიერებების მაქსიმალურ შენარჩუნებას.

ამ მიზნით ხორცის მსხვილი ნაჭრებისა და ნახევარფაბრიკატების მზადყოფნამდე მისაყვანად ტრადიციულ ხერხებთან ერთად ვიყენებდით გაცხელების შემდეგ ხერხებს: ატმოსფერული და ჭარბი წნევის ქვეშ, ორთქლ-ჰაერის ნარევის, იძულებით კონვექციას და ზემოდალი სისშირის ველს (ზსვ).

ცხრილში 1 წარმოდგენილია სხვადასხვა ხერხის გამოყენებით მოხარშული ხორცის ქიმიური შედგენილობა და მასის დანაკარგები

ცხრილის მონაცემების ანალიზი გვაჩვენებს, რომ საცდელ ნიმუშებში ხარშვის ტრადიციულ ხერხთან შედარებით საერთო აზოტის, ცხიმის, ნაცრის შემცველობა და მასის დანაკარგები უფრო ნაკლებია.

შემდეგ ეტაპზე გამოვიკვლიეთ თბური დამუშავების აღნიშნული ხერხების გავლენა ხორცის დაკეპილი ნაწარმის მასის დანაკარგებსა და წყლის შეკავშირების უნარზე (ცხრ.2).



ცხრილი 1

საკვები ნივთიერებებისა და მასის დანაკარგები ხორცის
 თბური დამუშავების დროს

თბური დამუშავების ხერხე- ბი	მასის დანაკარგები	შედგენილობა, % საწყის პროდუქტთან		
		საერთო აზოტი	ცხიმი	ნაცარი
ხარშვა წყალში:				
ატმოსფერული წნევის ქვეშ	37,92	3,04	1,06	0,73
ჭარბი წნევის ქვეშ	39,04	3,02	1,06	0,70
ხარშვა ორთქლზე:				
ბუნებრივი კონვექციით	38,06	3,06	1,16	0,82
იძულებითი კონვექციით	36,08	3,08	1,18	0,84
ჭარბი წნევის დროს	39,00	3,07	1,16	0,80
ორთქლ-ჰაერის ნარევით	35,12	3,10	1,21	0,91

ცხრილის მონაცემები მეტყველებს, რომ მასის ყველაზე ნაკლები დანაკარგები აღინიშნება ნაწარმის ორთქლ-ჰაერის ნარევში და ზსვ-ში დამუშავებისას (შესაბამიად 26,02 და 26,86%), ყველაზე დიდია მასის დანაკარგები ჭარბი წნევის ქვეშ ხარშვისას (28,62%).

წყლის შეკავშირების უნარიც უფრო მაღალია ასევე ორთქლ-ჰაერის ნარევში და ზსვ-ში დამუშავებისას (შესაბამისად 34,20 და 34,08%), ვიდრე ტრადიციული მეთოდით (31,69%), ჭარბი წნევის ქვეშ (31,82%) და კონვექციური მეთოდით დამუშავებისას (32,98%).

თბური დამუშავების დროს ხორცის დაკეპილი ნაწარმში მიმდინარე ექსტრაქტული ნივთიერებების შესწავლამ გვაჩვენა, რომ მათი ყველაზე ნაკლები დანაკარგები აღინიშნება ზსვ-ში, შედრებით ნაკლები - ორთქლ-ჰაერის ნარევით დამუშავებისას (ცხრ.3).

საცდელი ხერხებით დამზადებული მზა ნაწარმის ორგანოლექტიკური მაჩვენებლები არ განსხვავდება ტრადიციული ხერხით დამზადებული ნიმუშებისაგან.

მიღებული მონაცემები მეტად მნიშვნელოვანია ხორცპროდუქტების დიეტურ კვებაში გამოყენებისას, რადგან მზა ნაწარმში ექსტრაქტული ნივთიერებების შემცველობა რაც შეიძლება მინიმალური უნდა იყოს.



ცხრილი 2

ჰიდროთერმული დამუშავების სხვადასხვა ხერხების გამოყენებით
 დამზადებული ხორცის დაკეპილი ნაწარმის მასის
 დანაკარგები და წყლის შეკავების უნარი

თბური დამუშავების ხერხი	მზა ნაწარმის გამოსავლიანობა, გ	მასის დანაკარგი, %	წყლის შეკავების უნარი	
			საერთო ტენიანობა, % ნაწარმის მასასთან	ბმული ტენიანობა, % ნაწარმის მასასთან
ტრადიციული	70,82	28,49	71,85	31,69
ზსვ გაცხელება	73,87	26,96	72,60	34,08
ჭარბი წნევის დროს	70,60	28,62	71,66	31,82
ორთქლ-ჰაერის ნარევით	74,90	26,02	72,71	34,20
კონვექციური	72,48	27,63	72,15	32,98

ცხრილი 3

ექსტრაქტული ნივთიერებების ცვლილებები ხორცის დაკეპილი
 ნაწარმში სხვადასხვა ხერხებით დამუშავებისას

თბური დამუშავების ხერხი	საერთო კრეატინინი	α-ამინური აზოტი
	% პროდუქტის მასასთან	% პროდუქტის მასასთან
ნახევარფაბრიკატი	0,218	0,115
ტრადიციული	0,212	0,100
ჭარბი წნევის დროს	0,209	0,106
ორთქლ-ჰაერის ნარევით	0,208	0,100
ზსვ გაცხელება	0,221	0,107
კონვექციური	0,215	0,094

ამდენად, ჰიდროთერმული გაცხელების განხილული ხერხების გამოყენება, ამცირებს რა ნაწარმის მზადყოფნამდე მიყვანის ხანგრძლივობას, დადებითად მოქმედებს საკვები ნივთიერებებისა და მასის დანაკარგებზე, ზრდის მზა პროდუქციის გამოსავლიანობას.

ჩატარებული გამოკვლევები ადასტურებს შემოთავაზებული ხერხების გამოყენების მიზანშეწონილობას სამკურნალო და პროფილაქტიკურ კვებაში ხორცის ნაწარმის დასამზადებლად.



ლიტერატურა

1. Антипова Л.В., Глотов И.А., Рогов И.А. Методы исследования мяса и мясных продуктов. М.: Колос, 2001.
2. Рогов И.А., Некрутман С.В. Сверхвысокочастотный и инфракрасный нагрев пищевых продуктов. М.: Пищевая промышленность, 1976.

INFLUENCE OF HIDROTERMICAL METHODS OF MEAT PROCESSING ON THE QUALITY OF FINISHED PRODUCTS

Tavdidishvili D.

Akaki Tsereteli State University

Summary

In this paper is studied the Impact of the over high frequency field and steam treatment methods on the quality of meat products. Is determined changes current in time of the application in the basic food substances, and organoleptic indicators of finished product. Is confirmed advantages of the discussed methods compared by traditional hydrotermikal method of processing. Is defined expedient of their use in medical and profilaktikal nourishment for producing meat products.

მოცემული სამუშო შესრულებულია პროექტის მიხედვით, რომელიც რეალიზებულია საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური ხელშეწყობით (გრანტი № GNSF/ST08/7-493). სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.

**ფუნქციონალური დანიშნულების პროდუქტები
 შიბნეულისბან**

თავდიდიშვილი დ., ბეშკენაძე თ., ბერულავა ი.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დამუშავებულია ფუნქციონალური დანიშნულების შიბნეულის ნაწარმის მეცნიერულად დასაბუთებული ტექნოლოგია. დადგენილია, რომ რეცეპტურებში მცენარეული დანამატების შეტანა ანიჭებს მათ პროფილაქტიკურ თვისებებს. შესწავლილია ნაწარმის ფიზიკო-ქიმიური, ხარისხობრივი და მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები, ნაჩვენებია მაღალი სამომხმარებლო თვისებები. განსაზღვრულია მათი ბიოლოგიური, კვებითი და ენერგეტიკული ღირებულება

კვება იმ მნიშვნელოვან ფაქტორთა რიცხვს ეკუთვნის, რომელიც განსაზღვრავს ერის ჯანმრთელობას, მის პოტენციალს და განვითარების პერსპექტი-



ვებს. კვების პროდუქტების უკმარისობა ან ბიოლოგიური არასრულფასოვნება იწვევს მძიმე ეკონომიკურ და სოციალურ შედეგებს .

რაციონალური კვება ადამიანის ცხოვრების გახანგრძლივების, იმუნური სისტემის გაძლიერების, ნორმალური განვითარების და საბოლოო ჯამში, პროგრესისა და ცხოვრების ხარისხის გადამწყვეტი პირობაა.

ადამიანის კვების რაციონი ისეთი პროდუქტებიდან უნდა შედგებოდეს, რომლებიც მოამარაგებენ რა ორგანიზმს ენერგიით, უზრუნველყოფენ მას ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით და გამოდევნიან მისგან საკვების მეტაბოლიტებსა და მომწამლაგ ნივთიერებებს.

აქედან გამომდინარე, მეტად აქტუალურია ფუნქციონალური დანიშნულების კვების პროდუქტების ისეთი მეცნიერულად დასაბუთებული ტექნოლოგიების შემუშავება, რომლებშიც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული ცხოველური და მცენარეული წარმოშობის ცილების ურთიერთგამდიდრების ეფექტი, ვიტამინური, მინერალური უზრუნველყოფა და ოპტიმალური თანაფარდობა, ფიზიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მოქმედების სპექტრი და საკვები ბოჭკოების უნარი გამოდევნოს ორგანიზმიდან მავნე ნივთიერებები .

ფუნქციონალური პროდუქტების შექმნისას მეტად მნიშვნელოვანია ურთიერთგამამდიდრებელი კომპონენტებისა და მათი ფიზიკო-ქიმიური ფორმების სწორი შერჩევა, რათა გაუმჯობესდეს ყოველივე ცალკეული კომპონენტის მახასიათებლები.

ცხოველური წარმოშობის პროდუქტებიდან მაღალი ბიოლოგიური და კვებითი ღირებულებით გამოირჩევა შიგნეული, განსაკუთრებით ღვიძლი, რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავს ცილებს, მათ შორის ყველა შეუცვლელ ამინომჟავას. იგი მდიდარია B ჯგუფის ვიტამინებით, აგრეთვე შეიცავს A, D, E, K ვიტამინებს, ფერმენტული და ექსტრაქტული ნივთიერებების მნიშვნელოვან რაოდენობას. მინერალური ნივთიერებებიდან აღსანიშნავია რკინა, ფოსფორი, ნატრიუმი, კალციუმი, მაგნიუმი, ქრომი. ღვიძლის ძირითადი რკინაპროტეიდი ფერიტინი 20%-ზე მეტ რკინას შეიცავს, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება გემოგლობინისა და სისხლის სხვა პიგმენტების წარმოქმნაში. ღვიძლი გამოიმუშავებს განსაკუთრებულ ნივთიერებას გეპარინს, რომელიც გამოიყენება სისხლის შედედების ნორმალიზაციისათვის. ნატრიუმის დაბალი და რკინის მაღალი შემცველობით გამოირჩევა გული, გარდა ცილისა, იგი გამოირჩევა სელენის, თუთიის, ფოსფორის, ნიკოტინის მჟავასა და რიბოფლავინის შემცველობით. სასარგებლო ნივთიერებების მნიშვნელოვანი რაოდენობის გამო შიგნეულის კერძები გამოიყენება ბევრი დაავადების პროფილაქტიკასა და მკურნალობაში.

შიგნეულიდან დამზადებული კულინარული ნაწარმისათვის ფუნქციონალური თვისებების მინიჭება შესაძლებელია მარცვლეული პროდუქტების (მცენარეული ცილების და საკვები ბოჭკოების წყარო) და ბოსტნეულის (წყალში



ხსნადი ვიტამინებისა და მინერალური ნივთიერებების წყარო) დანამატების ხარჯზე წყლის ნაცვლად ჩაის ექსტრაქტის (ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების წყარო) გამოყენებით.

ცხრილი 1

შიგნეულიდან დამზადებული ნაწარმის ბალანსირებული კვების ფორმულის დაკმაყოფილების დონე, %

საკვები ნივთიერებები	ფილტვის და გულის ფარში გერკულუსით	ფილტვისა და გულის ფრიკადულები	მჭადი ღვიძლის ფარში	ღვიძლის იალლო	ღვიძლის პაშტეტი ღობითი
1	2	3	4	5	6
ცილა, გ	22,6	36,4	13,4	23,1	31,7
შეუცვლელი ამინომჟავები, მგ 100გრ-ზე: ვალინი	34,5	35,6	6,4	33,3	46,6
იზოლეიცინი	23,5	30,1	13,7	49,8	39,0
ლეიცინი	31,8	39,1	14,1	34,5	49,3
ლიზინი	60,3	37,3	23,1	37,2	50,3
მეთიონინი	15,9	18,4	12,9	30,1	14,0
თრეონინი	40,4	50,8	14,0	43,4	52,2
ტრიფტოფანი	27,8	33,8	28,4	25,9	33,5
ფენილალანინი	28,9	38,1	9,4	33,8	--
ნახშირწყლები	6,7	5,1	8,6	3,4	7,7
ცხიმები, გ	8,1	2,8	1,8	9,2	7,7
მინერალური ნივთიერებები მგ, ნატრიუმი	2,7	5,3	0,8	4,5	2,1
კალიუმი	28,7	16,6	11,3	16,1	24,0
მაგნიუმი	10,1	17,2	5,4	10,8	14,5
კალციუმი	21,8	38,2	24,0	27,1	8,9
ფოსფორი	20,4	28,3	8,7	23,2	51,6
რკინა, მკგ	47,7	47,9	20,9	51,9	85,8
ვიტამინები, მგ					
ვიტამინი A	28,0	32,8	82,8	41,0	---
ვიტამინი C	71,0	64,1	8,25	73,6	---
ვიტამინი B ₆	28,0	38,5	7,0	89,5	---
პანტოტენის მჟავა	16,7	91,9	58,0	16,8	--
რიბოფლავინი	89,5	78,2	39,5	97,0	76,1
თიამინი	45,5	23,0	2,5	18,5	37,6
ენერგეტიკული ღირებულება, კჯ	189,1	195,4	71,4	200,6	229,8



სამუშაოს მიზანს წარმოადგენდა ღვიძლისა და მცენარეული ნედლეულის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების კომბინირების საფუძველზე ფუქციონალური თვისებების მქონე ტექნოლოგიის შემუშავება.

რეცეპტურების ოპტიმალური ვარიანტების დადგენისას აგრეთვე ვითვალისწინებდით ბალანსირებული კვების მოთხოვნებს.

ჩვენს მიერ დამუშავებული იქნა შიგნეულ-მცენარეული დაკეპილი ნაწარმის ტექნოლოგია და რეცეპტურები. მცენარეული პროდუქტებიდან ავირჩიეთ ქაქტო, გერკულესი, წიწიბურა, სიმინდის ფქვილი. კვებით და სამკურნალო თვისებებს ვაძლიერებდით ჩაის ნაყენითა და გააქტიურებული ნახშირით.

ორგანოლექტიკური მანვენებლების მიხედვით შერჩეულ იქნა ოპტიმალური რეცეპტურები, რომლებშიც მცენარეული დანამატის რაოდენობა შეადგენდა დაკეპილი ღვიძლის მასის 20-25% (10% დაქუცმაცებული ჰერკულესი, წიწიბურა, 5% ასკილის ფხვნილი და 5% ჩაის ექსტრაქტი).

გამოკვლევებმა გვაჩვენა, რომ აღნიშნული დანამატები დადებით გავლენას ახდენს ნახევარფაბრიკატებისა და მზა ნაწარმის სტრუქტურულ-მექანიკურ მანვენებლებზე. შესწავლილია ნაწარმის ორგანოლექტიკური, ფიზიკო-ქიმიური და მიკრობიოლოგიური მანვენებლები.

ცხრილში 1 წარმოდგენილია ახალი პროდუქციის ბალანსირებული კვების ფორმულის დაკმაყოფილების დონე.

როგორც ცხრილი 1-დან ჩანს კერძები გამოირჩევა მაღალი კვებითი ღირებულებით: ლიზინი აკმაყოფილებს ადამიანის დღე-ღამურ მოთხოვნილებას 23,1-60,3%, თრეონინი - 14,4-52,2%; რკინა - 51,9-85,8%, ვიტამინი C - 51,3-73,6%, ვიტამინი A - 28.0-82.8%.. სხვა ნივთიერებების დაკმაყოფილების დონეც საკმაოდ მაღალია.

ამდენად, შიგნეულისაგან დამზადებული კერძები გამოირჩევა მაღალი კვებითი ღირებულებით, რაც განაპირობებს მათი გამოყენების მიზანშეწონილობას მასიურ და სამკურნალო-პროფილაქტიკურ კვებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Шассо П.И., Косянов Г.И. Функциональные продукты питания. М.: Колос, 2000
2. Нестерин М.Ф., Скурихин И.М. «Химический состав пищевых продуктов» - «Пищевая промышленность». Москва, 1979



PRODUCTION OF A FUNCTIONAL PURPOSE FROM AN OFFAL

Tavdidishvili D., Berulava I., Beshkenadze T.

Akaki Tsereteli State University

Summary

Is developed scientifically proved technology of functional purpose production from an offal. Is established entering into a compounding of vegetative additives, that gives them preventive properties. Are studied physical, chemical and microbiological indicators of new a products quality. Is defined their food value.

აღნიშნული პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური ხელშეწყობით (გრანტი № GNSF/ST08/7-493). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.

ТЕХНОЛОГИЯ ПО ПРОИЗВОДСТВУ НАПИТКОВ ИЗ МОЛОЧНОЙ СЫВОРОТКИ

Киракосян О. П., Акопян Г. Г.

Государственный Инженерный университет Армении (Политехник),
Гюмрийский филиал

В работе рассматриваются вопросы получения новых молочных продуктов в виде напитков, из пастеризованной молочной сыворотки, путем сквашивания ее дрожжами с добавлением вкусовых наполнителей.

Напитки из молочной сыворотки являются молочными продуктами. Эти напитки вырабатываются из пастеризованной молочной сыворотки путем сквашивания ее дрожжами с добавлением сахара и других вкусовых наполнителей [1].

Для производства напитков из сыворотки необходимо иметь следующие продукты:

- сыворотка молочная свежая, полученная при производстве творога и сыра, с кислотностью не выше 70⁰T, с содержанием молочного сахара не менее 4,0 %, по ОСТ 92-75;
- сахар-песок по ГОСТ 21-76;
- дрожжи хлебопекарные: сухие или прессованные по ГОСТ 171-89, ОСТ 18-193-74;
- экстракт хмельный или хмель по ГОСТ21947-76;



- изюм по ГОСТ 8882-69, ГОСТ 6883-69;
- дрожжи пивные жидкие по ОСТ 18323-73;
- экстракт фруктовый: яблочный, грушевый, апельсиновый по ГОСТ 18070-72.

Технологический процесс производства напитков из сыворотки осуществляется с помощью нескольких операций, которые выполняются в следующей последовательности:

- приемка и подготовка сырья и материалов;
- осветление сыворотки и тепловая обработка;
- заквашивание и сквашивание (брожение) смеси;
- расфасовка и созревание напитков.

Основным сырьем для производства напитков является сыворотка, полученная при производстве творога и сыра, с кислотностью не выше 60...70⁰T и минимальным содержанием жира (не выше 0,08%).

В процессе производства напитков необходимо соблюдать следующие мероприятия: сахар просеивают через сито, сироп фильтруют при температуре 85...90⁰C, а затем охлаждают до температуры 28...30⁰C. Изюм употребляют только без косточек. На рис. 1 приведена схема технологического процесса выработки напитка.

Дрожжи хлебопекарные сухие или прессованные растирают с сахаром в стеклянной посуде, размешивают с 2...3 литрами сыворотки и выдерживают в течение 2...3 часов. Для газированных напитков типа “шампанское” готовят дрожжевую закваску из хлебных дрожжей, из расчета 1 г., на литр смеси, растирают с сахаром в стеклянной, керамической или эмалированной посуде. При появлении на поверхности газовых пузырьков, дрожжи готовы к использованию [2].

Тепловую обработку сыворотки производят при температуре 90...96⁰C, с выдержкой до одного часа. При высокой температуре белок коагулирует, оседает на дно посуды и сыворотка осветляется. После коагуляции белка сыворотку фильтруют и охлаждают до температуры 28⁰C.

При выработке молочного шампанского, осветленную сыворотку разбавляют пастеризированной водой и вносят сахар в виде сиропа [3]. Подготовленные дрожжи с посудой обвязывают стерильной марлей, погружают в смесь и привязывают так, чтобы верхняя часть посуды была погружена в смесь около 5 см от поверхности.

Заквашенную смесь оставляют в спокойном состоянии при температуре 28⁰C на 5...6 часов до появления на поверхности пены. Затем напиток подкрашивают пищевым красителем, либо жженым сахаром (количество 0,1...0,2% от общего количества сахара).

Перед разливом в каждую бутылку вносят 2...3 ягодки изюма. Закупоренные бутылки с напитком помещают в ящик-решетки и выдерживают 4...8 часов при температуре +(15...20)⁰C. После выдержки напиток охлаждают до температуры +(4...5)⁰C. Охлажденный напиток можно сразу реализовать или хранить в камерах



молочного завода при температуре не выше $+6^{\circ}\text{C}$.

Напитки из сыворотки должны храниться при температуре не выше $+8^{\circ}\text{C}$ в течении не более 48 часов с момента выпуска.




Рис. 1. Схема технологического процесса выработки напитка

1. Резервуар для сбора сыворотки,
2. Насос центробежный,
3. Трубчатая пастеризационная установка,
4. Резервуар,
5. разливо-укупорочный автомат.

Литература

1. Грачева И. М. Технология ферментных препаратов. - М.: Пищевая промышленность, 1975.- 391 с.
2. Общая технология пищевых производств. Н. И. Назаров и др.,- М.: Легкая и пищевая промышленность, 1981. - 360 с.
3. Технология и оборудование пищевых производств. Н. И. Назаров и др.,- М.: Пищевая промышленность, 1977. - 350 с.

TECHNOLOGY OF THE BEVERAGE FROM WHEY

Kirakosyan O.P, Akopyan G.G

State engineer's University of Armenia (Polytechnic), Gyumri Branch

Summary

The paper deals with the production of new dairy products in the form of drinks, from pasteurized whey by fermentation of yeast with the addition of flavoring toppings.



ხორცისა და ხორცპროდუქტებში გაყინვის დროს მიმდინარე ბარდაქმნები

მოშიაშვილი მ.დ.

ქუთაისის ეროვნული სასწავლო უნივერსიტეტი

ხორცისა და ხორცპროდუქტების გაყინვის პროცესს დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის ამ პროდუქტით მომარაგების საქმეში. აღნიშნულ ნაშრომში განხილულია ხორცსა და ხორცპროდუქტებზე მოქმედი ფიზიკური პარამეტრების მნიშვნელობა და მათი ცვლილებით პროდუქტში მიმდინარე გარდაქმნები. კერძოდ, გაყინვის პროცესში იცვლება ისეთი ფიზიკური მახასიათებლები, როგორცაა: სიმკვრივე, სითბოტევადობა, სითბოგამტარობა, სიბლანტე და ა.შ. მათი ცვალებადობა განპირობებულია ტემპერატურის ცვალებადობით. ეს ცვალებადობა გარკვეულ გავლენას ახდენს პროდუქციის საბოლოო სახეზე.

საკვები პროდუქტების გაყინვა წარმოადგენს პროდუქტში არსებული ტენის ყინულად გარდაქმნის პროცესს მისი ტემპერატურის დაცემით კრიოსკოპულ წერტილს ქვემოთ.

პროდუქტს ყინავენ მასში არსებული სასიცოცხლოდ სასარგებლო ნივთიერებების, მათი თვისებებისა და ხარისხის შენარჩუნების მიზნით. ამ პროცესის ჩატარებით მინიმუმამდელა დაყვანილი პროდუქტში მიმდინარე ფიზიკური, ბიოქიმიური და მიკრობიოლოგიური ცვლილებები. ეს მიიღწევა პროდუქტის ტემპერატურის დაწვეით და მასში არსებული წყლის დიდი რაოდენობის ყინულად გარდაქმნით. წყლის ყინულად გარდაქმნას თან ახლავს ხსნადი ნივთიერებების კონცენტრაციის გაზრდა, მცირდება წყლის ბიოლოგიური აქტივობა პროდუქტში, რითაც შეუძლებელია მრავალი მიკროორგანიზმების რაოდენობის ზრდა. იმისათვის, რომ მინიმუმამდელ იყოს შემცირებული პროდუქტში მიმდინარე გარდაქმნები, საჭიროა შერჩეული იქნას გაყინვის განსახდვრული პირობები. სუფთა წყალი, როგორც ცნობილია, იყინება 0 C. პროდუქტის ქსოვილებში არსებული წყალი არ არის სუფთა, რადგანაც მასში გახსნილია მარილები, მჟავები, შაქრები და ა.შ. ამ ხსნარების გაყინვა წარმოებს წყლის გაყინვის ტემპერატურაზე, შედარებით დაბალ ტემპერატურაზე, რომელიც იცვლება მათი გვარობისდა მიხედვით. გაყინვის შედეგად ეს ხსნარები ხდებიან კონცენტრირებული.

გაყინვის პროცესში ხორცსა და ხორცპროდუქტებში მიმდინარე ფაზური გარდაქმნები არსებით გავლენას ახდენენ მათ თბოფიზიკურ მახასიათებლებზე, რაც დაკავშირებულია წყლისა და ყინულის თბოფიზიკური მახასიათებლების მკვეთრ განსხვავებასთან. მშრალი ნივთიერებების თვისებები მათში გაყინვის პროცესში უმნიშვნელოდ იცვლება და პრაქტიკულად უცვლელად ითვლება. შესაბამისად ძირითად და ერთადერთ მიზეზად თბოფიზიკური მახასიათებლების ცვალებადობისა ითვლება პროდუქტში წყლის ყინულად გარდაქმნის პროცესი.




გაყინვის პროცესში იცვლება ხორცისა და ხორცპროდუქტების კუთრი სითბოტევადობა, სითბოგამტარობა, ტემპერატურაგამტარობა, სიმკვრივე. გაყინვის პროცესში პროდუქტის კუთრი სითბოტევადობა მცირდება, რადგანაც ყინულის სითბოტევადობა ორჯერ ნაკლებია წყლის სითბოტევადობაზე. მათი სითბოგამტარობა იზრდება, რაც აიხსნება იმით, რომ წარმოქმნილი ყინულის სითბოტევადობა დაახლოებით ოთხჯერ მეტია წყლის სითბოტევადობაზე. ცხადია, გაყინული პროდუქტების სითბოტევადობა იზრდება გაყინვის ტემპერატურის შემცირებით, რადგანაც გაყინული წყლის რაოდენობა ტემპერატურის შემცირებით იზრდება.

ხორცისა და ხორცპროდუქტების ტემპერატურაგამტარობა გაყინვის პროცესში იზრდება, რადგანაც წყლის ტემპერატურაგამტარობა ყინულად გარდაქმნისას იზრდება თითქმის რვაჯერ.

ხორცისა და ხორცპროდუქტების სიმკვრივე გაყინვის პროცესში მცირდება, რაც გამოწვეულია წყლის ყინულად გარდაქმნისას მისი დაფართოებით, მაგრამ სიმკვრივის შემცირების ხარისხი სხვა თბოფიზიკურ მახასიათებლებთან შედარებით დიდი არ არის. საშუალოდ პროდუქტის სიმკვრივე გაყინვის პროცესში მცირდება 5-6 პროცენტით.

საკვებ პროდუქტებში გაყინული წყლის რაოდენობის დამოკიდებულება ტემპერატურაზე მოცემულია გრაფიკზე.



გაყინული წყლის რაოდენობის დამოკიდებულება ტემპერატურაზე.

1 - ხილბოსტნეული, 2 - ხორცი და ხორცპროდუქტები, 3 - თევზი, 4 - კვერცხი.

როგორც გრაფიკიდან ჩანს, პროდუქტში გაყინული წყლის რაოდენობა იზრდება ტემპერატურის შემცირებასთან ერთად.

ხორცისა და ხორცპროდუქტების გაყინვის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სიცივის ხარჯის განსაზღვრას, რისთვისაც იყენებენ ფორ-



მულას:

$$Q_{\text{გაყ.}} = G[C_0(t - t) + \varpi \omega r + C(t - t)]$$

სადაც $Q_{\text{გაყ.}}$ - არის სიცივის ხარჯი პროდუქტის გაყინვაზე, ვატი

G - პროდუქტის მასა, კგ

C_0 - პროდუქტის კუთრი სითბოტევადობა კრიოსკოპულ ტემპერატურაზე მეტი ტემპერატურისათვის.

$t_{\text{საწ.}}$ - პროდუქტის საწყისი ტემპერატურა.

$t_{\text{კრ.}}$ - კრიოსკოპული ტემპერატურა.

ϖ - წყლის ფარდობითი წონითი შემცველობა პროდუქტში.

ω - გამოყინული წყლის რაოდენობა.

R - ყინულწარმოქმნის კუთრი სითბო.

$C_{\text{პრ.}}$ - გაყინული პროდუქტის კუთრი სითბოტევადობა.

$t_{\text{საშ.}}$ - პროდუქტის საშუალო ტემპერატურა.

სითბოს დიდი ნაწილი, რომელიც პროდუქტისაგან გამოიყოფა გაყინვის პროცესში, არის ყინულწარმოქმნის სითბო. რაც მეტია პროდუქტში ტენის შემცველობა, მით მეტი სიცივე იხარჯება გაყინვაზე.

ხორცისა და ხორცპროდუქტების (როგორც სხვა საკვები პროდუქტებისათვის) გაყინვის ხანგრძლივობის გამოთვლა წარმოადგენს რთულ ამოცანას, იგი კვლევის საგანია. თეორიული გამოთვლისათვის გამოყენებული იქნა მთელი რიგი დაშვებები, რითაც მიახლოებით შესაძლებელია გაანგარიშებული იქნეს გაყინვის ხანგრძლივობა.

ფართოდ გავრცელებული მათემატიკური გამოსახულებებიდან პროდუქტების გაყინვის ხანგრძლივობის გაანგარიშებისათვის გამოყენებულია პლანკის ფორმულა. ამ ფორმულის გამოყენებისათვის გამოყენებული იყო შემდეგი დაშვებები: გაყინვის დაწყებისას პროდუქტი მთლიანად გაცივებულია კრიოსკოპულ ტემპერატურამდე, გაყინვა მიმდინარეობს გარემომცველი გარემოს მუდმივი ტემპერატურისა და მუდმივი თბოგაცემის კოეფიციენტისათვის, გაყინული პროდუქტისათვის სითბოგამტარობის კოეფიციენტი რჩება მუდმივი, ხოლო სითბოტევადობა არის ნულის ტოლი. ხორცისა და ხორცპროდუქტების გაყინვის ხანგრძლივობა გამოითვლება ფორმულით:

$$\tau = \frac{\tau \rho}{\Delta T} \cdot \frac{\partial}{2} \left(\frac{\partial}{4\lambda} + \frac{1}{\alpha} \right)$$

სადაც τ - სითბოს კუთრი რაოდენობაა, რომელიც გადაეცემა პროდუქტიდან გარემოს გაყინვის პროცესში.

ρ - პროდუქტის სიმკვრივე.

Δt - საშუალო ტემპერატურათა სხვაობა.

δ - პროდუქტის სისქე.



ა - პროდუქტის თბოგამტარობის კოეფიციენტი.

α - თბოგაცემის კოეფიციენტი პროდუქტიდან გარემომცველ გარემოზე.

პლანკის ამ ფორმულას აქვს დიდი მეცნიერული ღირებულება მიუხედავად იმისა, რომ გაანგარიშების შედეგები განსხვავდება ცდებით მიღებული შედეგებისაგან, მაგრამ დაზუსტებული გაანგარიშებისათვის ფორმულაში შეაქვთ შემასწორებელი კოეფიციენტები.

თბოგაცემის კოეფიციენტი გაყინვის ხანგრძლივობაზე გავლენას ახდენს იმ შემთხვევაში, თუ გაყინული პროდუქტის სისქე არ აღემატება 10 – 12 სმ. პროდუქტის სისქის ზრდის შემთხვევაში ამ კოეფიციენტის გაზრდა გაყინვის პროცესის ინტენსიფიკაციას ნაკლებად უწყობს ხელს.

საქონლისა და ღორის ხორცს ჩვეულებრივად ყინავენ ნახევარი და მეოთხედი ნაკლავის სახით, ხოლო ცხერის ხორცს მთლიანი ნაკლავის სახით. ხორცს მთლიანი ან ნაკლავის სახით ყინავენ დაკიდებულ მდგომარეობაში ჰაერით სპეციალურ კამერებში ან გვირაბისებურ საყინულეებში. თანაც რაც უფრო სწრაფად მიმდინარეობს გაყინვის პროცესი, მით მეტია მათი სასაქონლო ხარისხი, ნაკლებია მასის ბუნებრივი დანაკარგები.

ჰაერის მოძრაობის სიჩქარე და ტემპერატურა გასაყინ კამერებში უნდა იყოს თანაბარი ნაკლავის მთელ მოცულობაში.

თანამედროვე ტექნოლოგიური ინსტრუქციების მიხედვით ხორცი ითვლება გაყინულად, როდესაც პროდუქტის მასაში ტემპერატურა შეადგენს -8°C , მაგრამ გაყინვა უნდა წარიმართოს მანამდე ვიდრე ხორცის მასასა და კამერის ჰაერის ტემპერატურებს შორის სხვაობა შეადგენს არაუმეტეს 3°C .

ხორცი გასაყიდად მიეწოდება კამერებს ახლადდაკლული ან წინასწარ გაცივებული. პირველ შემთხვევაში ჰაერის ტემპერატურა კამერაში შეადგენს -8°C , ხოლო მეორე შემთხვევაში ხორცი წინასწარ ცივდება $+4^{\circ}\text{C}$ ტემპერატურამდე. შემდეგ ხორცი მიეწოდება გასაყინად კამერებში.

ხორცისა და ხორცპროდუქტების გაყინვისას ყოველთვის აქვს ადგილი მასის დანაკარგებს, რაც ამცირებს პროდუქტის რესურსებს.

ხორცისა და ხორცპროდუქტების ხარისხის შენარჩუნებისა და მასის დანაკარგების შემცირების დიდ საშუალებას თანამედროვე ტექნოლოგიაში წარმოადგენს გაყინვის პროცესის ინტენსიფიკაცია. რაც უფრო სწრაფად იყინება პროდუქტი, მით ნაკლებია შესრობის პროცენტი.

ცდებით დადგენილი იქნა, რომ გაყინვის ტემპერატურა, ჰაერის მოძრაობის სიჩქარე, გაყინვის ხანგრძლივობა იცვლება გაყინვის მეთოდების შესაბამისად. როგორც ნელი, ისე დაჩქარებული მეთოდით გაყინვისას მასაში ტემპერატურა შეადგენს -8°C , კამერაში ჰაერის ტემპერატურა -30°C , ჰაერის მოძრაობის სიჩქარე პირველ შემთხვევაში (0,1–0,2) მ/წმ-ია, მეორე შემთხვევაში (0,5–0,8) მ/წმ. გაყინვის ხანგრძლივობა შესაბამისად 36 სთ და 24 სთ, ფარდობითი ტენიანობა უნდა იყოს 95 – 98%. ასეთ პირობებში ხორცი და ხორცპროდუქტები მიეწოდება შესანახად. ამასთან გაყინული ხორცი და ხორცპროდუქტები, რომლებიც გათვალისწინებულია სამრეწველო გადამუშავებისათვის, იყინება ბლოკებად, ხოლო საზოგადოებ-



რივი კვების საწარმოებისათვის განკუთვნილი პროდუქტი მიეწოდება ყუთებში ნაჭრების სახით გაყინული.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება გაყინული ხორცისა და ხორცპროდუქტების შენახვის პროცესს. ამ დროს დაცული უნდა იქნეს შემდეგი პირობები: კამერებში ჰაერის ტემპერატურა უნდა იყოს $(-18 -20) ^\circ C$, ფარდობითი ტენიანობა 95-98%. შენახვის ხანგრძლივობაა საქონლის ხორცის 8 – 12 თვე, ცხვრის ხორცის 6 – 10 თვე, ღორის ხორცის 4 – 6 თვე.

გაყინულ ხორცში ბიოქიმიური ცვლილებები მართალია ნელა, მაგრამ მაინც მიმდინარეობს, რაც დამოკიდებულია გაყინვამდე ხორცის დამწიფების ხარისხზე და შენახვის პირობებზე.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ხორცისა და ხორცპროდუქტების გაყინვის პროცესის ინტენსიფიკაციას ყველა იმ პარამეტრების გათვალისწინებით, რომლებიც გაელენას ახდენენ მის მიმდინარეობაზე: ტემპერატურა, ჰაერის მოძრაობის სიჩქარე, ფარდობითი ტენიანობა და შენახვის ხანგრძლივობა. პროცესის ინტენსიფიკაციის შესწავლაზე მიმდინარეობს მეცნიერული კვლევები.

ლიტერატურა

1. Мещеряков Ф. Е. Основы холодильной техники и холодильной технологии М. „Пищевая промышленность“, 1975, 560 с.
2. Журнал Холодильная техника. „Пищевая промышленность“, 2005, 120 с.
3. Шеффер А.П. Современное оборудование для замораживания мясо- и субпродуктов. ЦНИИТЭИ: Мясомолпром, М. 1973, 45 с.
4. Шеффер А.П., Сатчан А.К., Колчаков Г. Д. Интенсификация охлаждения, замораживания и размораживания мяса. М. “Пищевая промышленность“, 1978, 375 с.

THE CURRENT REFORMS IN THE FROZEN PROCESS OF MEAT AND MEAT PRODUCTS

Moshiashvili M.

National study University of Kutaisi

Summary

Freezing process of meat and meat products would be important to supply this product in the population. In this paper is discussed the importance of physical parameters acting on meat and meat products and changes current in the product with their variations. In particular, the freezing process is changing the physical characteristics such as density, heat capacity, heat transfer, Viscosity, etc. There changeability is due with temperature changes. This changes is influenced on the final face of the product.



ხორცპროდუქტების წარმოებისას თერმული დამუშავების ფაქტორი და მისი ბავშვებს პროდუქციის ხარისხზე

ტყეშელაშვილი ა., მეტრეველი ვ.
 შ.პ.ს „მითანა“, თბილისი

სტატიაში განხილულია ხორცის საწარმო „მითანას“ საწარმო-ტექნოლოგიური პროცესი. პროდუქციის ხარისხზე მოქმედი რამოდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით; სტატიაში აღწერილია ამ პროცესების რეჟიმების დაცვის აუცილებლობა, ხარისხის მენეჯმენტის სისტემა, საწარმოს სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის კონტროლი, საწარმოში დამონტაჟებული თანამედროვე მოწყობილობა-დანადგარების ზოგადი აგებულება, მუშაობის პრინციპი და დანიშნულება.

შპს „მითანა“ 2008 წელს გამოჩნდა ქართული ხორცპროდუქტების ბაზარზე და მომხმარებელს თავი გამრეულ პროდუქტებთან ერთად საქართველოში დამკვიდრებული რუსული სახელწოდებისაგან განსხვავებული ძეხვეულის სახელებით, ზოგიერთისთვის უცნაური, თუმცა როგორც მალე გაირკვა წარმატებით, დაამახსოვრა.

წარმოების ხაზი გათვლილია სოსის-სარდელის, მოხარშული, მოხარშულ-შებოლილი, შებოლილი ძეხვეულის და შაშხეულის დამზადებაზე.

წარმოების მენეჯმენტი ორიენტირებულია ნედლეულის ხარისხის კონტროლზე, ტექნოლოგიური პროცესების დაცვასა და მკაცრად განსაზღვრული ჰიგიენური მოთხოვნების შესრულებაზე, რასაც ადასტურებს კომპანიის მიერ ხარისხის სტანდარტის საერთაშორისო სერთიფიკატის მიღება.

საწარმო დაყოფილია უბნებად და დაკომპლექტებულია თანამედროვე ტექნოლოგიების მოწყობილობა-დანადგარებით. გამოიყოფა: ხორცის მიღების, ფარშის მომზადების, ფარშის დაშპრიცვის (გარსაცმში მოთავსების), დელიკატესების, შაშხეულის დამზადების, თერმული დამუშავების, შეფუთვების განყოფილება, საექსპედიციო უბნები.

თერმული დამუშავება – უმნიშვნელოვანესი ეტაპია ხორცის პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიაში. მის ხარისხს განაპირობებს წინარე ასევე თერმული დამუშავების შემდგომი – პროდუქტის გაცივების ეტაპები.

გარსაცმში მოთავსებისას ძეხვეული იღებს საბოლოო სახეს მის თერმულ დამუშავებამდე. ჩვენს საწარმოში გამოიყენება ორი სახის გარსაცმი:

ხელოვნური და ნატურალური.

თითოეული გარსაცმის სახე ირჩევა ძეხვეულის სახეობისდა შესაბამისად სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნებით.

ნატურალური გარსაცმი მიიღება ბუნებრივი გზით საქონლის, ღორის, ცხვრის ნაწლავების სპეციალური დამუშავების შედეგად. მისი ტექნოლოგიუ-



რი ღირებულება გამოიხატება თერმულ დამუშავებაში: ადვილად იღებს ფერს, ელასტიურია, ძეხვს და სოსისს ანიჭებს სასიამოვნო იერსახეს, დიდხანს არ ინახება, მაგრამ გამოირჩევა საგემოვნო თვისებების მაღალი ხარისხით. ჩვენს საწარმოში დამზადებული ნატურალური ნაწლავისგან დამზადებული პროდუქტია სოსისი „ივერია ღონე“ და „ტკაცუნა“, რომელიც მომხმარებლებში დიდი პოპულარობით სარგებლობს, სწორედ გარსაცმი ანიჭებს მას არაჩვეულებრივ ელასტიურობას, ბუნებრივ ხალას ფერს, გამორჩეულ არომატს და ამიტომ მის დაგემოვნებას ყველა თქვენთაგანს გირჩევთ. ჩვენს საწარმოში დამზადებული პროდუქტებიდან ბუნებრივ გარსაცმში მოთავსებულია:

სოსისი - ივერია ღონე, „ტკაცუნა“

სარდელი ღონე

ძეხვი ნახევრად შებოლილი - „ცხარე“

ძეხვი შებოლილი - „ყველიანი ძეხვი“

ძეხვი ნახევრად შებოლილი – ოდესური

მოსარშული ძეხვი – მსუყე სინუგა

ხელოვნური გარსაცმი წარმოადგენს პოლიეთილენისა და კოლაგენური ბოჭკოებისგან მიღებულ ნარევს. ყველასათვის ცნობილია ხელოვნური გარსაცმის პოპულარული ფირმა „კუტიზინი“ (ჩეხეთი – პრატა), რომლის პროდუქციაც მზადდება კოლაგენური ბოჭკოებისგან და თვისებებით თითქმის უახლოვდება ნატურალურ გარსაცმს: შეიძლება მისი ჭამა, იღებს ფერს, მედეგია თერმული დამუშავების მიმართ.

ხელოვნური ხისტია, არაელასტიური, თუმცა სპეციალური ტექნოლოგიით მარტივია მასში ფარშის მოთავსება. ადვილად არ იღებს ფერს, დიდხანს ინახება, გამოსაყენებლად მოხერხებულია, ამიტომ ძირითადად ძეხვის დამამზადებელი საწარმოები ხელოვნურ გარსაცმს ანიჭებენ უპირატესობას.

ჩვენს საწარმოში ხელოვნურ გარსაცმში მზადდება:

მოსარშული ძეხვი – მჭლე ეტალონი

მოსარშული ძეხვი – მჭლე ავსტრიული (სურ.)

მოსარშული ძეხვი – მსუყე ეტალონი

მოსარშული ძეხვი – მსუყე ავსტრიული

მოსარშული ძეხვი – შეკმაზული

მოსარშული ძეხვი – საქონლის ძეხვი

სოსისი – ივერია ელიტი (სურ.)

სოსისი – ჰანოვერი

ძეხვი მონადირული – მონადირე ელიტი



ძეხვი ნახევრადშებოლილი – ქალაქური
ძეხვი ნახევრადშებოლილი – ტრადიციული
და სხვ. რომელთა დაგეგმვებაც გურმანებს უკმაყოფილოს ნამდვი-
ლად არ დატოვებს.

დაშპრიცვის დანადგარი წარმოადგენს rex-ის და Handtman-ის ვაკუუმ-
შპრიცებს. შპრიცი შედგება ფარშის მოსათავსებელი ხვიმირისა და ძირითა-
დი კორპუსისაგან, მასზე მოთავსებულია კომპიუტერი, რომელიც განსაზ-
ღვრავს ბატონებში ფარშის ჩატვირთვის პარამეტრებს.

ფარშის დაშპრიცვისას მის ხარისხზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქ-
ტორები:

- ✓ ფარშის დაშპრიცვის ტემპერატურა.
- ✓ ბატონის შევსების ხარისხი.

პროდუქტის თერმული დამუშავება არის ტემპერატურული ზემოქმედე-
ბის გზით პროდუქტში არსებული მიკროორგანიზმების ინაქტივაციის პროცე-
სი, რის შედეგადაც პროდუქტი იღებს ბუნებრივ-დამახასიათებელ ვარდისფერ
შეფერილობას და ხანგრძლივდება მისი შენახვის ვადა.

ხარშვა ხდება წყლისა და ორთქლის მეშვეობით.

ჩვენს საწარმოში თერმული დამუშავება ხორციელდება ორი მატიმექ-
სისა და აუტოთერმის ფორმის მაღალტექნოლოგიური თერმოკამერის მეშვეო-
ბით. თითოეულის ტევადობა ერთ ჯერზე 300-900 კგ-ია. თერმო კამერა შედგე-
ბა: ღუმელის კორპუსის, სამართავი პულტის, ჰაერისა და ორთქლის მიმწოდე-
ბელი მოწყობილობებისაგან.

ძეხვეულის სახეობისდა მიხედვით თერმული დამუშავების ეტაპების
ტიპს, ხანგრძლივობას და თანმიმდევრობას განსაზღვრავს ტექნოლოგიური
ინსტრუქცია.

თერმული დამუშავების ეტაპებია:

ფარშის გათბობა – 45-65 °C – 10-30 წთ.

შრობა – 45-65 °C – 10-40 წთ.

შებოლვა – 50-70 °C – 10-45 წთ.

ხარშვა – 74 °C – 10-180 წთ.

პროდუქტის ხარშვის ზღვრულ ნორმას ჩვენს სა-
წარმოში განსაზღვრავს ხარისხის მენეჯმენტის

სისტემით შემუშავებული სამუშაო ინსტრუქცია და შეადგენს 74 °C. მეტი ან
ნაკლები ტემპერატურა უარყოფითად აისახება პროდუქციის ხარისხზე.

თერმული დამუშავების შემდგომი გაცივება ხორციელდება ღუმის
ქვეშ 15-40 წთ-ის განმავლობაში. მისი ძირითადი მიზანია მიკროორგანიზმე-
ბის განვითარებისთვის ხელსაყრელი 25-45 °C ტემპერატურული ზონის სწრა-
ფად გაგლა, რასაც ხელს უწყობს ცივი წყლის ჭავლი.



დანადგარი რეცხვის პროცესში.



დანადგარი გარეცხვის შემდეგ.



ლი მნიშვნელობა ენიჭება პერსონალის სწავლებას სისტემის კონცეფციის შესაბამისი ცოდნის მოსაპოვებლად, რასაც კომპანია „მიტანა“ მუდმივად ახორციელებს ტექნიკური ინსტრუქტაჟების მეშვეობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საწარმო მოწოდებულია წარმატების წინაპირობად აირჩიოს ხარისხის დაცვა, დახვეწოს და სრულყოს იგი, რაც გარანტიაა იმისა, შეიქმნას ისეთი პროდუქცია, რომელიც მომხმარებლის მოთხოვნებს სრულად დააკმაყოფილებს.

ლიტერატურა:

1. ჰორსტ ბრაუერი – მოხარშული ძეხვეულის დამზადების ტექნოლოგია. (რუსულ ენაზე) 2002 წ. 60-100 გვ.
2. ჰენრიჰ ჰაიმი – ხორცის პროდუქტების გადამუშავების ტექნოლოგია. (რუსულ ენაზე) 2006 წ. 56-134 გვ.
3. HACCP-ის კონცეფცია – სამუშაო დოკუმენტი. 2009 წ. 3-19 გვ.
4. ჯამბული წულაია – სასოფლო სამეურნეო პროდუქტების სასამართლო სავეტერინარო-სანიტარული ექსპერტიზა. 1996 წ. 403-459 გვ.

THERMAL TREATMENT FACTORS OF THE MEAT PRODUCTS PRODUCTION AND ITS INFLUENCE ON THE QUALITY OF OUR PRODUCTS

Tkeshelashvili A., Metreveli V.
Ltd. “Mitana”, Tbilisi
Summary

The article discusses The process of technological enterprise Meat plant mitana, Quality of our products on the operating factors. The article describes: the regimes of these processes need, Quality Management System, Hazard Analysis and Critical Control Points, Sanitary hygienic condition of the enterprise control, Factory fitted with modern equipment general structure, Working principle and purpose.



ხორცპროდუქტების შენახვის საკითხებისათვის

ფხაკაძე მ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

განხილულია ხორცპროდუქტების შენახვის ტრადიციული მეთოდების განხორციელების გზები და შენახვის ხანგრძლივობის გაზრდის ისეთი პროგრესული მეთოდები, როგორცაა ვაკუუმირება, ულტრაიისფერი დასხივება, მოდიფიცირებულ ატმოსფეროში შეფუთვა, ანტისეპტიკებით დამუშავება.

ხორცპროდუქტების სწორი შენახვა ჯანსაღი კვების ერთ-ერთი მთავარი პირობაა.

ხორცპროდუქტები მალფუჭებადია, ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს მისი შენახვის პირობებს, რათა არ დაქვეითდეს მისი ხარისხი და მინიმალური იყოს მასის დანაკლისი. ამ დროს მთავარია მათი მიკრობიოლოგიური გაფუჭების დამუხრუჭება.

ხანგრძლივი დროით ხორცპროდუქტების შენახვა მიიღწევა გაცივებით, შეყინვითა და გაყინვით.

გაცივება ტემპერატურის შემცირებაა ბიოკინეტიკური ზონის ქვედა ზღვრამდე, რომლის ფარგლებშიც წყალი თხევად ფაზაშია. გაცივებისას ხორცი ინარჩუნებს მის ბუნებრივ თვისებებს, ხოლო მიკროორგანიზმების გამრავლება-განვითარება (ზოგიერთი ობის სოკოების გარდა) დამუხრუჭებულია.

ხორცის გაცივების რამდენიმე მეთოდი არსებობს:

-ნელ გაცივებას აწარმოებენ გამაცივებელ კამერაში $0 - +3^{\circ}\text{C}$ ტემპერატურაზე. ჰაერის მოძრაობის სიჩქარეა $0,1 - 0,3$ მ/წმ. საქონლის ხორცისათვის გაცივების პროცესის ხანგრძლივობა $24 - 36$ სთ-ია და სიღრმეში ტემპერატურა 38°C -დან 4°C -მდე მცირდება.

-დაჩქარებული მეთოდით გაცივება წარმოებს $0,5$ მ/წმ სიჩქარით მოძრაობით 0°C ტემპერატურის ჰაერით. პროცესის ხანგრძლივობა 24 სთ-ია.

-სწრაფი გაცივება გვირაბული ტიპის კამერაში ხორციელდება. ერთ ეტაპად გაცივებისას ინარჩუნებენ -3°C ჰაერის ტემპერატურას და ჰაერის მოძრაობის სიჩქარეს $-0,8$ მ/წმ-ს. საქონლის ხორცის გაცივების ხანგრძლივობა 16 სთ-ია, ღორის ხორცისა -13 სთ. ორ ეტაპად გაცივებისას პირველ ეტაპზე ხორცს აცივებენ კუნთის სიღრმეში $+10^{\circ}\text{C}$ -მდე. ამ დროს ინარჩუნებენ $-3 - -5^{\circ}\text{C}$ ჰაერის ტემპერატურას. პირველი სტადიის ხანგრძლივობა 12 სთ-ია. გაცივების მეორე სტადია $-1,0 - -1,5^{\circ}\text{C}$ ტემპერატურაზე $8-10$ სთ-ის განმავლობაში მიმდინარეობს. ჰაერის მოძრაობის სიჩქარე $0,1-0,2$ მ/წმ.

-ზესწრაფი გაცივება გვირაბული ტიპის კამერაში ორ სტადიად წარმოებს. პირველ სტადიაზე გაცივება წარმოებს ჰაერის $-10 - -12^{\circ}\text{C}$ ტემპერა-



ტურის პირობებში ჰაერის 1-2 მ/წმ სიჩქარით მოძრაობისას 6-7 სთ-ის განმავლობაში და ხორცის სიღრმეში 18-22 °C ტემპერატურამდე. ამ დროში ზედაპირული შრის ტემპერატურა -1 °C -ია. შემდგომი გაცივება წარმოებს -1 -- 1,5°C ტემპერატურისა და 0,1-0,2 მ/წმ სიჩქარით მოძრავი ჰაერით საქონლის ხორცისათვის 10-12 სთ მანძილზე, ღორის ხორცისათვის 10 -15 სთ-ის მანძილზე.

დაჩქარებული გაცივების დროს მასის დანაკარგი იზრდება. შეშრობის შესამცირებლად ნახევარნაკლავს ბიაზში ან პოლიმერულ მასალებში ახვევენ, რითაც ამავე დროს სანიტარულ-ჰიგიენური პირობებიც უმჯობესდება და ხორცის გარეგნული შესახედაობაც (ნარჩუნდება ხორცის ბუნებრივი ფერი, ზედაპირი არ ნაოჭდება).

გაცივებული ხორცის ზედაპირი არ უნდა იყოს დანამული, უხეში სქელი ქერქით დაფარული, დრეკადკუნთოვანი.

შეყინულს უწოდებენ ნაწილობრივ გაყინულ ხორცს, რადგან იყინება ნაკლავის ან ნახევარნაკლავის ზედაპირის 25%.

შეყინვა 2 -2,5 -ჯერ ზრდის ხორცის შენახვის ხანგრძლივობა გაცივებულ ხორცთან შედარებით.

შეყინვის ორი ძირითადი მეთოდი გამოიყენება:

-კამერაში, სადაც დამყარებულია -3°C ტემპერატურა, ათავსებენ პროდუქტს, რომლის ტემპერატურაც მცირდება და უთანაბრდება კამერის ტემპერატურას;

-პროდუქტს ათავსებენ საყინულეში, სადაც იყინება პროდუქტის პერიფერიული შრე, ხოლო შემდგომი შენახვისათვის გადააქვთ შესანახ კამერაში -2 - -3 °C ტემპერატურაზე. პროდუქტის მთელს მოცულობაში თბომიმოცვლის შედეგად კი მყარდება შენახვის მუდმივი ტემპერატურა.

ახალ ნაკლავს ან ნახევარნაკლავს კამერაში -25 - -35°C ან -18 - -23°C -ზე შეყინავენ ხორცის სიღრმეში +1 - +2°C-მდე. ამ დროს ზედაპირულ შრეში 1 სმ სიღრმეზე ტემპერატურა -3 - -5°C აღწევს და იყინება 2,0 - 2,5 სმ სიღრმეზე.

შეყინული ხორცი დაკიდებული სახით ან არა უმეტეს 1,7 მ სიმაღლის შტაბელებად ინახება -1 - -2°C ტემპერატურაზე. შენახვის ხანგრძლივობაა 17 დღე.

გაცივებული და შეყინული ხორცპროდუქტების ტრანსპორტირება მხოლოდ მცირე მანძილზეა რეკომენდებული. ხანგრძლივი დროით შენახვისა და ტრანსპორტირებისათვის მიზანშეწონილია ხორცპროდუქტების გაყინვა.

გაყინული ხორცის მიკრობიოლოგიური გაფუჭება პრაქტიკულად გამორიცხულია.

გაყინვა სპეციალური ტექნოლოგიით წარმოებს - კრიოსკოპულზე და-



ბალ მნიშვნელობამდე ტემპერატურის შემცირებისას პროდუქტებიდან სითბოს ართმევით, რის შედეგადაც პროდუქტში არსებული წყალი იყინება.

რადგან პროდუქტების შემადგენლობაში არსებულ წყალში სხვადასხვა მარილებია გახსნილი, ის 0°C -ზე დაბალ ტემპერატურაზე იყინება. იმ ტემპერატურას, რომელზედაც პროდუქტში წყალი იყინება, კრიოსკოპული ეწოდება. ხორცში -5°C ტემპერატურაზე იყინება წყლის 75%, -10°C ტემპერატურაზე - წყლის 80%, ხოლო -20°C ტემპერატურაზე - წყლის 90%. ტემპერატურის შემცირება -20°C ტემპერატურაზე დაბლა, გავლენას აღარ ახდენს პროდუქტში გაყინული წყლის რაოდენობაზე.

გაყინული ხორცის კუნთის სიღრმეში ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს -8°C .

გაყინვის უარყოფით მხარეს გაყინვის ტექნოლოგიის დარღვევის შემთხვევაში პროდუქტის ქსოვილების რღვევა და ცილების ნაწილობრივი დენატურაცია წარმოადგენს, რომლის მიზეზიც გაყინვის პროცესში ნაწარმში ტენის გადანაწილებაა.

გაყინული პროდუქტები გაცივებული პროდუქტებისაგან განსხვავდებიან სიმყარით, მკვეთრი შეფერილობით, რაც კრისტალური ყინვის მიერ ოპტიკური ეფექტის შედეგად მიიღწევა.

ხორცსა და ხორცპროდუქტებს ყინავენ ჰაერზე, მარილხსნარებში და გასაყინი აპარატების გაცივებულ მეტალურ ფირფიტებთან კონტაქტით.

ჰაერზე ხორცს ერთფაზად ან ორფაზად ყინავენ. ერთფაზად გაყინვისას ხორცს საქონლის დაკვლისთანავე ყინავენ. ორფაზად გაყინვისას კი თავდაპირველად ხორცს $+4^{\circ}\text{C}$ -მდე აგრილებენ, რის შემდეგაც ხორცს -8°C -მდე ყინავენ. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორისა და ცხვრის ხორცი ძირითადად ორფაზად იყინება.

საწარმო პირობებში პროცესის სიჩქარისაგან დამოკიდებულებით მიმართავენ ნელ, ინტენსიურ და სწრაფ გაყინვას. ხორცს დაკიდებულ მდგომარეობაში ყინავენ. დაკიდებისას ხორცის სქელ ნაწილებს ზემოთ, ცივი ჰაერის მაქსიმალური მობერვის ზონაში განათავსებენ.

გაყინული ნაწარმი კონვეიერით ან ხელით გადაადგილდება. საკიდის თითოეულ რიგში 30 – 50 სმ ინტერვალებით ერთნაირი სიმსუქნისა და წონის ნაკლავის დაკიდებაა სასურველი. კამერის ტიპის საყინულე სათავსოები ციკლურად, ხოლო გვირაბული ტიპის - უწყვეტად მუშაობს.

სამრეწველო გადამუშავებისთვის განკუთვნილი ხორცი და ხორცპროდუქტების უმეტესობა 60 -150 მმ სისქის ბლოკებად იყინება სწრაფი გაყინვის აპარატებში.

ხორცპროდუქტების გაყინვის ტექნოლოგიის პერსპექტიულ მიმართულებად დანაწევრებული ნაჭრების გასაყინად მაღალეფექტური კონტაქტური



სწრაფგამყინი აპარატების გამოყენება ითვლება. დაბალი ტემპერატურის მქონე ზედაპირთან კონტაქტი გაყინვის ხანგრძლივობას 1,5–2,0 -ჯერ ამცირებს ჰაერით გაყინვის პროცესთან შედარებით.

გაყინვის შემდეგ შენახვისას ხორცის ტემპერატურა სიღრმეში არ უნდა აღემატებოდეს -8°C . შენახვის ხანგრძლივობა დამოკიდებულია მის სახეობაზე, ტემპერატურასა და შეფუთვის სახეზე.

მცირე დროით შენახვისას შესანახ კამერაში ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს -12°C -ს, ხანგრძლივად შენახვისას კი -18°C -ს. კამერაში ჰაერის ზომიერი ცირკულაციის დროს (არა უმეტეს 0,2–0,3 მ/წმ სიჩქარის დროს) ფარდობითი ტენიანობის სიდიდე უნდა იყოს 95–98%. გაყინული ხორცის შენახვის ხანგრძლივობა შეადგენს: -12°C -ზე – 2-8 თვეს; -18°C -ზე – 4-12 თვეს; -4°C -ზე – 8-12 თვეს. შენახვის პროცესში კამერის ჰაერის ტემპერატურის მერყეობა არ უნდა აღემატებოდეს 2°C –ს.

შენახვის დროს პროდუქტის ხარისხის გასაუმჯობესებლად, დანაკარგების შესამცირებლად და შენახვის გასახანგრძლივებლად დამუშავების დამატებით ღონისძიებებს მიმართავენ. მაგალითად, ულტრაიისფერი სხივებით დასხივება დაბალ ტემპერატურასთან ერთად კვების პროდუქტების შენახვის გასახანგრძლივებლად გამოიყენება. ულტრაიისფერი სხივები იწვევს მიკრობული უჯრედის ცილის დაშლას, რითაც აიხსნება მისი ბაქტერიოციდული ეფექტი. სხივებს ახასიათებს პროდუქტში მხოლოდ 0,1 მმ სიღრმეზე შეღწევის უნარი, ამიტომ მზა ნაწარმზე ის გავლენას ვერ ახდენს. ულტრაიისფერი დასხივება დაბალ ტემპერატურასთან კომბინაციაში 2-ჯერ მეტად ზრდის შენახვის ხანგრძლივობას. ულტრაიისფერი დასხივება ტექნიკურად მარტივი და ეფექტურია. გემში ხორცის ჩატვირთვის შემდგომ დასხივებას აწარმოებენ

ბაქტერიოციდული ნათურებით 3 სთ–ის განმავლობაში, შემდგომში კი დღე-ღამეში 2-ჯერ 1 სთ–ის ხანგრძლივობით.

ბოლო წლებში პროდუქტების შენახვის ხანგრძლივობის გასაზრდელად ვაკუუმურ შეფუთვის იყენებენ. ვაკუუმირებით საფუთავიდან ან ტარიდან თითქმის მთლიანად გამოძევდება ატმოსფერო, რითაც ითრგუნება აერობული ბაქტერიების ზრდა. საფუთავი მჭიდროდ ეკვრის ტვირთის ზედაპირს და წარმოადგენს ორთქლგაუმტარ ან ნახევრადორთქლგამტარ შემოსახვევ მასალას.

შესაფუთი აფსკები აფერხებს პროდუქტის გამოშრობასა და მასზე ჰაერის უანგბადის მოქმედებას.

შენახვის ხანგრძლივობის გასაზრდელად პროდუქტებს ასევე ამუშავებენ ანტისეპტიკებით, რომლებიც აღწევს რა უჯრედებში, ურთიერთქმედებენ პროტოპლაზმის ცილებთან და ანადგურებენ მიკროორგანიზმებს.

საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში ჩატარებული იქნა ცდები



მიკროელემენტ სელენის გავლენით გაყინული ხორცის ხარისხის შენარჩუნებაზე. კვლევები ორ ეტაპად ჩაატარეს. პირველ ეტაპზე აწარმოებდნენ ფრინველების გამოკვებას 42 დღის განმავლობაში საკვებ ულუფაში ორგანული სელენის (Sel-plex) მზარდი დოზით (0,2-0,3 გ/კგ) დამატებით, რის შემდეგაც იკვლევდნენ სელენის შემცველობას დაკლული ფრინველის ხორცში. მეორე ეტაპზე კი აკვირდებოდნენ ახლადდაკლული და გაყინული ხორცის აქტიური მჟავიანობის ცვლილებას 2,4,6 თვის პერიოდებში (pH გავლენას ახდენს ტენის შებოჭვის უნარზე).

ხორცში სელენის შემცველობამ, როგორც ანტიოქსიდანტმა და ბიოლოგიურად აქტიურმა ნივთიერებამ, დადებითი გავლენა მოახდინა გაყინული ხორცის ხარისხზე, კერძოდ, -18 °C-ზე გაყინული სახით შენახვისას ექვსი თვის განმავლობაში შენარჩუნებული იქნა ხორცის კვებითი ღირებულება და საგემოვნო თვისებები.

ხორცპროდუქტების შენახვის გაზრდის ერთ-ერთი მეთოდია რეგულირებადი აიროვანი გარემოს გამოყენება, რომელშიც თითოეულ აირს თავისი ფუნქცია აქვს: შეაფერხოს და დააკონსერვოს ბაქტერიული ზრდა, შეასრულოს ბუნებრივი ბარიერის როლი ან შეინარჩუნოს პროდუქტის პიგმენტაცია. მისი ერთ-ერთი ნაირსახეობა მოდიფიცირებული აიროვანი გარემოა, რომელიც უშუალოდ საფუთავში იქმნება. მოდიფიცირებულ აიროვან გარემოში შეფუთვა ინერტული აირების (N₂, O₂, CO₂) მკაცრად განსაზღვრული თანაფარდობის პირობებში 0–4 °C ტემპერატურაზე შენახვაა.

ამრიგად, მეცნიერების მიერ კვების პროდუქტების შენახვის ხანგრძლივობის გაზრდის მრავალი ეფექტური მეთოდია შემუშავებული.

ლიტერატურა

1. გ.მიქელაძე, დ.წულაია. სასურსათო პროდუქტების სამომხმარებლო თვისებები და ექსპერტიზა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2005, გვ.283.
2. ე.მელიქია.სელენის როლი გაყინული ხორცის ხარისხის შენარჩუნებაზე. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შრომები „ინოვაციური ტექნოლოგიები და თანამედროვე მასალები“, ქუთაისი, 2010. გვ.44-46.
3. В.К.Козырев. Грузоведение. Одесса. Феникс. 2005. 358 с.
4. Позняковский В.М. Экспертиза мяса и мясопродуктов. - Новосибирск: Издательство Новосибирского университета, 2001. 526 с.
5. Рогов И.А., Забашта А.Г., Казюлин Г.П. Общая технология мяса и мясопродуктов. - М.: «Колос», 2000. 367 с.



ON STORAGE OF MEAT

Pkhakadze M.

Akaki Tsereteli State University

Summary

In this work is considered the ways of realization traditional methods of meat products storage and such progressive methods to increase the duration of storage, such as vacuum treatment, ultraviolet treatment, packaging in modified atmosphere, processing by anti-septics.

ხორცის მნიშვნელობა და მისი როლი სამომხმარებლო ბაზარზე

ქარქაშაძე ნ., კაკაურიძე ნ.*, კაკაურიძე მ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

* ქუთაისის დამოუკიდებელი სასწავლო ინსტიტუტი

სტატიაში განხილულია ხორცის როგორც კვებითი, ისე ბიოლოგიური ღირებულება.

აგრეთვე მოცემულია ხორცის მოხმარების დინამიკა ერთ სულ მოსახლეზე. საიდანაც ნათლად ჩანს მისი მოხმარების კლება.

კვება ადამიანის ორგანიზმის უმნიშვნელოვანესი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებაა, რომელიც უზრუნველყოფს მის ფიზიკურ განვითარებას, ჯანმრთელობას, აქტიური საქმიანობისა და აღწარმოებისადმი უნარს.

დადგენილია, რომ ხანგრძლივი არასწორი კვება ჩვენი ცივილიზაციისათვის დამახასიათებელი ისეთი დაავადებების წარმოქმნისა და განვითარების მაღალი რისკის ფაქტორია, როგორცაა ონკოლოგიური და სისხლძარღვოვანი დაავადებები, კუჭნაწლავის ტრაქტის ფუნქციების დარღვევები, ოსტეოპოროზი და სიმსუქნე.

თანამედროვე პირობებში მსოფლიოში აღინიშნება საკვები ცილის დეფიციტი, რომლის უკმარისობა უახლოეს ათეულ წლებში შენარჩუნდება. დედამიწის ყოველ მცხოვრებზე დღეში მოდის დაახლოებით 60 გ ცილა, მაშინ როდესაც ნორმა შეადგენს 70 გ-ს; შემცირებულია სრულფასოვანი ცხოველური წარმოშობის ცილის მოხმარება, ხოლო მცენარეული წარმოშობის ცილების წილი, რომლებიც გამოირჩევა არასრულფასოვანი ამინომჟავური შემადგენლობით, გაიზარდა.



საკვები პროდუქტებიდან მაღალი ბიოლოგიური და კვებითი ღირებულებით გამოირჩევა ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნილების პროდუქტი – ხორცი.

ხორცის გადამამუშავების ტექნოლოგიური პროცესი პრაქტიკულად უნარჩუნოა, რადგან სხვადასხვა კვებითი დანამატების და კომბინირებული საკვების მისაღებად გამოიყენება სისხლიც, ძვლებიც და მყესებიც კი.

ხორცის კულინარიული დანაწილების შედეგად მიიღება მსხვილნაჭროვანი ნახევარფაბრიკატები და საკატლეტე (დაკეპილი) ხორცი, რომლის გამოსავლიანობის ხვედრითი წონა მსხვილნაჭროვანი ნახევარფაბრიკატების ჯამურ გამოსავლიანობასთან შედარებით თითქმის ორჯერ მეტია. შესაბამისად, საკატლეტე ხორცისაგან მასიურად მზადდება დაკეპილი ნახევარფაბრიკატების მნიშვნელოვანი რაოდენობა, რაც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ფარშის ხარისხისადმი. მსხვილნაჭროვანი ნახევარფაბრიკატებიდან, რომელთა ნაწილებს გააჩნია სხვადასხვა ტექნოლოგიური ღირებულება, გამოიშვება საუღუფე და წვრილნაჭროვანი ნახევარფაბრიკატები. მათ დასამზადებლად აუცილებელია ნედლეულის ანატომიური თავისებურებების, სხვადასხვა ნაწილების ფიზიკო-ქიმიური და ტექნოლოგიური თვისებების, პირველადი და თერმული დამამუშავების სპეციფიკურობის გათვალისწინება.

საკვები ნივთიერებებიდან ხორცში ყველაზე დიდი რაოდენობითაა ცილები და ცხიმები. ცილის რაოდენობა (%) შეადგენს: საქონლის ხორცში – 18,6-20, ცხვრის ხორცში – 15,6-19,8, ხბოს ხორცში -19,7. ღორის ხორცისათვის დამახასიათებელია ცხიმის მაღალი შემცველობა 28-49% და შემცირებული ცილის -11,7 – 17%. ახალგაზრდა ცხოველების ხორცში ცხიმის რაოდენობა ნაკლებია, პირველი კატეგორიის ხორცში ცხიმის შემცველობა 1,5-2 ჯერ მეტია, ვიდრე მეორე კატეგორიის ხორცში.

ხორცის ბიოლოგიური ღირებულება განპირობებულია, პირველ რიგში, მასში სრულფასოვანი ცილების შემცველობით (მათი საერთო რაოდენობის 85%-მდე). ხორცში ყველა შეუცვლელი ამინომჟავაა, თანაც ისეთი თანაფარდობით, რომელიც ახლოს არის ოპტიმალურთან. ხორცის ცილების შეთვისება შეადგენს (%-ში): ღორის ხორცის – 90, ხბოს ხორცის – 80, საქონლის ხორცის – 75, ცხვრის ხორცის – 70.

ხორცი სოფლის მეურნეობის პროდუქტებს შორის საკმაოდ მოხმარებადი პროდუქტია, მაგრამ მისი მოხმარების დინამიკის ცვლილება მრავალ ფაქტორს უკავშირდება, ესენია: მაღალი ფასი, წარმოების სიმცირე და სხვა.

თუ დავაკვირდებით ხორცის მოხმარებას ერთ სულზე შევნიშნავთ კლებას, რომელიც ნათლად ჩანს ცხრილიდან, განსაკუთრებით ბოლო წლებში. 2006 წლიდან 2010 წლამდე მოხმარების კლების საშუალო მაჩვენებელი შეადგენს 1,4.

ხორცისადმი მომხმარებელთა დამოკიდებულების ანალიზმა გვიჩვენა,



რომ გამოკითხული რესპოდენტებიდან ხორცს ყოველდღიურად მოიხმარს - 5%, კვირაში რამდენჯერმე 40%, თვეში რამდენჯერმე 41%, იშვიათად - 14%. როგორც ციფრებიდან ჩანს იმ რესპოდენტების რიცხვი, რომლებიც ხორცს მოიხმარენ საკმაოდ ხშირად არცთუ ცოტაა. ეს კი მიგვანიშნებს ამ პროდუქტის პრიორიტეტულობაზე სხვა პროდუქტებთან შედარებით. ხორცის მოხმარება სახეობების მიხედვით ასეთია: ქარხნულს - 5%, ცოცხალს 65%, ადგილობრივი მეთოდებით დამუშავებულს 27%, ყველას -2%. მაგრამ გამოკითხული რესპოდენტებიდან ქათმის ხორცს უპირატესობას ანიჭებს 23%, ღორის ხორცს 7%, ძროხის ხორცს 33%, ცხვრის ხორცს -1%, თხის ხორცს -3%., 31% - რამდენიმეს ერთდროულად. ერთ ჯერზე ყიდვის მიხედვით რესპოდენტები ასე განაწილდა: 1კგ- 33%, 1-3 კგ - 61%, 3-5 კგ 5%, 5კგ-ზე მეტს 1%. ის შემთხვევები, როდესაც მომხმარებლები ყიდულობენ 3კგ-ზე მეტ ხორც ასეთია: სადღესასწაულოდ 87%, არასოდეს - 1%, იშვიათად -11%, ყოველთვის -1%. კითხვაზე რას ანიჭებენ მომხმარებლები უპირატესობას ყიდვის დროს გამოკითხულთა 98% ხარისხი აირჩია, ხოლო 2%-მა ორივე.

მოხმარება ერთ სულზე

	2006	2007	2008	2009
მოსახლეობა, ათასი კაცი	4401	4382	4385	4436
კგ. წელიწადში	26	28	27	25,5
გრ. დღეში	70	76	74	71
კკაღ.დღეში	144	153	148	141
ცხიმები გრ. დღეში	13	13,1	12,6	11,7

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ოფიციალური მონაცემები 2009 წელი

ყოველივე ზემოთ თქმული საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ხორცს უდიდესი მნიშვნელობა აკისრია ადამიანების გამოკვებისა და კალორიებით უზრუნველყოფის საქმეში.

ლიტერატურა

1. დ. თავდიდიშვილი საზოგადოებრივი კვების პროდუქტების ტექნოლოგია , ქუთაისი, 2009.
2. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი წელითწლეული 2009

THE IMPORTANCE OF MEAT AND ITS ROLE IN THE CONSUMER MARKET

Karkashadze N., Kakauridze N, Kakauridze M.
Akaki Tsereteli State University

Summary

The article discussed food and biological value of the meat. eat consumption as well as the dynamics are given per capita, which shows the decrease in consumption. Studied consumer attitudes in different kinds of meat.



ხორცში მიმდინარე თბოფიზიკური ცვლილებები

ღვინიანიძე თ., ბუჭუხიშვილი მ.
 აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კვების პროდუქტებში ცილების შემცველობა ფართო ზღვრებში მერყეობს. მაგრამ ცილების მომეტებული შემცველობით გამოირჩევიან პარკოსნები და ცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტები. ზოგიერთი დასახელების კვების პროდუქტებში ცილების %-ლი შემცველობა მოცემულია ცხრილში-1 [1].

ცხრილი 1

კვების პროდუქტების დასახელება	ცილების შემცველობა, %-ში
ახალი ბოსტნეული	0,5...1,5
კარტოფილი	1,5...2
რძე	3,0...4,0
ბრინჯი	8,0...11,0
ჭკავი	9,0...17,0
ხორბალი	12,0...16,0
თევზი	13,0...18,0
ხორცი	14,0...20,0
ყველი	22,0...29,0
ბარდა	23,0...30,0
სოია	33,0...40,0

ცილების კვებითი ღირებულება, როგორც ცნობილია მათში შემავალი ამინომჟავების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შემადგენლობით განისაზღვრება. ამასთან რაც მეტად მოიხმარება ადამიანის ორგანიზმის მიერ საკვებ პროდუქტებში არსებული ცილები, ქსოვილების ცილებისა და სხვა შენაერთების სინთეზისათვის მით მეტია საკვები პროდუქტის კვებითი ღირებულება. შესაბამისად რაც ახლოს დგას საკვები პროდუქტების შედგენილობაში არსებული ცილები ადამიანის ორგანიზმში არსებული ცილების შედგენილობასთან მით მეტია ასეთი საკვები პროდუქტის კვებითი ღირებულება.

ადამიანის ორგანიზმისათვის, როგორც წესი ღირებულად ითვლება ცხოველური წარმოშობის ცილები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მან მხოლოდ ცხოველური წარმოშობის საკვები პროდუქტებით იკვებოს. იმ 20 ამინომჟავადან, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ ცილების შექმნაში, ყველას არ გააჩნია თანაბარი კვებითი ღირებულება. აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეგრეთ წოდებულ შეუცვლელ ამინომჟავებს (ტრიფტოფანი, ლიზინი, ლეიცინი,



იზოლეციინი, მეთიონინი, ფენილალანინი, თრეონინი, ვალინი), რომლებსაც ადამიანის ორგანიზმი ძირითადად მხოლოდ საკვები პროდუქტებიდან იღებს. ამ ამინომჟავების დღიური ნორმა გრამებში მოზრდილი ადამიანისათვის ნაჩვენებია ცხრილ-2-ში [4].

ცხრილი 2

ამინომჟავა	დღ/ნ.გ.	ამინომჟავა	დღ/ნ.გ.
ვალინი	3,0...4,0	იზოლეციინი	3,0...4,0
ლეიციინი	4,0...6,0	ლიზინი	3,0...5,0
მეთიონინი	2,0...4,0	თრეონინი	2,0...3,0
ტრიპტოფანი	1,0	ფენილალანინი	2,0...4,0

ჩვენთვის ცნობილია, რომ პირველი კატეგორიის საქონლის ხორცი ცილებს დაახლოებით 18,6...20%-ს შეიცავს და მასში ე.წ. შეუცვლელი ამინომჟავების შედგენილობა მოცემულია ცხრილ-3-ში [1].

ცხრილი 3

შეუცვლელი ამინომჟავები	შემცველობა, მგ/100გ
ვალინი	1035
ლეიციინი	1478
მეთიონინი	445
ტრიპტოფანი	210
იზოლეციინი	782
ლიზინი	1589
თრეონინი	803
ფენილალანინი	795

როგორც ცხრილიდან ჩანს, ხორცი მდიდარია შეუცვლელი ამინომჟავებით, შესაბამისად ძალიან მნიშვნელოვანია მათი მაქსიმალური შენარჩუნება როგორც თბური დამუშავების, ასევე მოხმარებამდე შენახვის დროს, რადგანაც ამ დროს მასში მიმდინარეობს ღრმა თბო-ფიზიკური და ბიოქიმიური გარდაქმნები. კერძოდ ხდება მზა პროდუქციის არა მარტო კვებითი ღირებულების არამედ, კონსტინტენციის, ფორმის, მოცულობის, მასის, ფერის და სტრუქტურულ-მექანიკური მახასიათებლების ცვლილება, ამასთან ერთად ხორციელდება მზა პროდუქტის გემოსა და არომატის ჩამოყალიბება[6].


ხორცის თბურ დამუშავებას თან ახლავს ისეთი ფიზიკური და ბიოქიმიური პროცესები, როგორცაა ვიტამინებისა და არომატული ნივთიერებების დაშლა, პროდუქტის ფერის შეცვლა, საკვები ნივთიერებების დაკარგვა. ცილების დენატურაციის შედეგია მათი შეთვისებადობის დაქვეითება. ცხიმების ხანგრძლივი გაცხელება თავდია ჭურჭელში წვნიან კერძებში, განსაკუთრებით



ბულიონებში იწვევს უანგვითი პროცესების დაჩქარებას, მარილების კონცენტრაციის ზრდასა და სასაქონლო სახის დაქვეითებას [1].

ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევებში ნიმუშებად აიღებოდა სხვადასხვა მასის, ასაკისა და ნაკვებობის ნაკლავის ხორცი. ხორცის შეფერილობას ვამოწმებდით სხვადასხვა ტემპერატურაზე გამოცდით. ნიმუშის გამოშრობის თავიდან აცილების მიზნით ნაჭრებს ვათავსებდით უჟანგავი ლითონის სტერილიზატორში და შემდეგ ვათავსებდით ღუმელში. ხორცის ნიმუშების შეფერილობის ცვლილება ტემპერატურასთან დამოკიდებულებაში ნაჩვენებია 1 სურათზე.

ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ 55...59 °C- მდე ხორცის ფერი მოწითალო-ვარდისფერია, 59...60°C-ს ზემოთ 69...71 °C - მდე ბაცი-ვარდისფერი, 71°C-ს ზემოთ 78...79 °C -მდე ღია-ყავისფერი, ხოლო 79 °C -ს ზემოთ 87 °C - მდე ყავისფერი, ხოლო 87...95°C ფარგლებში მუქი ყავისფერი.



სურ.1. ხორცის შეფერილობის ცვლილება ტემპერატურის მიხედვით.

დაკვირვებებმა ცხადყო, რომ ხორცში თბური დამუშავებისას მიმდინარე ცვლილებების ხასიათი ძირითადად დამოკიდებულია ორ ფაქტორზე- თბური დამუშავების ტემპერატურაზე და ხანგრძლივობაზე.

ზემოთ დასახელებულ მაჩვენებლებთან ერთად თბური დამუშავებისას ხორცში მიმდინარე ცვლილებები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ისეთ თბოფიზიკურ მაჩვენებელზე, როგორცაა ე.წ. თბოგამტარობის კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს იმ თბურ ენერგიას რომელიც გადის დროის ერთეულში 1მ² ფართობის ნიმუშში 1მ სისქეზე ტემპერატურის 1°C-თი ცვლილებისას. იგი გამოითვლება ფორმულით:


$$\mu = 0 \cdot B / \zeta (t_1 - t_2) \Sigma$$



სადაც: - μ - თბოგამტარობის კოეფიციენტი, ვტ/მ².K; O - თბური ენერჯის რაოდენობა, ჯოული; B-ნიმუშის სისქე, მ; ზ-ნიმუშის ფართი საიდანაც მიეწოდება სითბო, მ²; t₁ და t₂ ტემპერატურის სიდიდეები შესაბამისად ნიმუშის გარეთ და შიგნით, °C; Σ- სითბოს გადაცემის ხანგრძლივობა, წმ.[4]. შესაბამისად თბური დამუშავების ნებისმიერი პროცესის წარმოებისას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს თბური დამუშავებისათვის გათვალისწინებული ხორცის ნაჭრების ოპტიმალურ მასასა და მოცულობას.

ასოკოლოვის აზრით კუნთოვანი ქსოვილის შემაღენელი ცილების ცვლილებები ანუ დენატურაცია იწყება 30...35 °C-დან და 65 °C-ზე დენატურირებულია კუნთოვანი ქსოვილის ცილების თითქმის 90% (მაგალითად მიოზინი 40 °C-ს ზევით მთლიანად დენატურირდება). მაგრამ 100 °C-ზეც კი მათი გარკვეული ნაწილი მაინც რჩება ხსნად მდგომარეობაში (იხ.სურ.2) [2,4,6].

მიოგლობინი, რომელიც უმ ხორცს წითელ ფერს აძლევს დენატურაციასთან ერთად დექსტრუქციასაც განიცდის, კერძოდ დენატურაციას თან სდევს ამ ცილის მოლეკულაში შემაგალი ორვალენტიანი რკინის იონების ჟანგვის პროცესი სამვალენტიანამდე [3]. ამ დროს ხორცის წითელი ფერი გადადის რუხ-მოყავისფრო ფერში. მიოგლობინის სრული დენატურაცია ხორციელდება 80 °C-ზე და შესაბამისად ხორცის ფერის ცვლილება დამოკიდებულია თბოგადაცემის ხარისხზე[3].



სურ.2

თბური დამუშავებისას ხშირ შემთხვევაში ხორცის ანომალური შეფერილობა მის სიძველეზე მიუთითებს, რადგანაც მასში მეტადაა დაგროვილი ამიაკის რაოდენობა და თბური დამუშავების პროცესში ადგილი აქვს ხორცში ნიტრატების წარმოქმნას, რომელიც ასევე ინტენსიურს ხდის ხორცის მოვარდისფრო-მოწითლო შეფერილობას. ამავე დროს თბური დამუშავების პროცესში ადგილი აქვს ცილებისა და ამიაკის ურთიერთქმედებას, რომლის შედეგად წარმოიქმნება ისეთი ნივთიერებები, რომლებიც ხორცს ვარდისფერ შეფერილობას ანიჭებს [1].

დენატურირებული ცილა, რომლის შედგენილობაში შედის სამვალენტიანი რკინა თავის მხრივ ინდიკატორის ფუნქციას ასრულებს,




რადგანაც მას ნეიტრალურ და სუსტმჟავე არეში მორუხო-მოყავისფრო შეფერილობა ახასიათებს, ხოლო ტუტე არეში კი წითელი შეფერილობა. თუ თბური დამუშავების შემდეგ ხორცი მაინც ინარჩუნებს ვარდისფერფერ შეფერილობას მაშინ იგი მანიშნებელია არასასურველი სანიტარული მდგომარეობისა [2].

დენატურაციის პროცესში ცილის ბოჭკო მკვრივდება და შესაბამისად ხსნადი ნივთიერებების რაოდენობა კლებულობს (იხ.სურ.3).

ხორცის ის ნაწილები, რომელთა შემადგენლობაში არსებული კოლაგენი შედარებით მედეგია და ნაკლებად ექვემდებარება გარდაქმნას არ გამოიყენება შესაწავად. ტემპერატურის მომატებით კოლაგენის გახლეჩის პროცესი ჩქარდება და იგი ინტენსიურად 100°C -ს ზემოთ მიმდინარეობს. კოლაგენის გახლეჩის პროცესს ხელს უწყობს მჟავე არე. რასაც ეფუძნება ხორცის წინასწარი დამანირაღებისა (შემჟავების) და მჟავე საწებლებთან შუშვის პროცესები[2].

ხორცის ხარშვისას 95°C -ს ზევით მზა კულინარულ მდგომარეობამდე, მასში მომდინარეობს შედარებით ღრმა ცვლილებები ანუ დექსტრუციული პროცესები, რომელსაც თან ახლავს ისეთი მქროლავი ნივთიერებების წარმოქმნა, როგორცაა გოგირდწყალბადი, ფოსფატური წყალბადი, ამიაკი, ნახშირმჟავა აირი და ა.შ.[2].



სურ.3

შემაერთებელი ქსოვილის ცილები (კოლაგენი, ელასტინი), თბური დამუშავებისას შედარებით მედეგები თვისებებით გამოირჩევიან. კერძოდ $50...55^{\circ}\text{C}$ -ზე კოლაგენის ბოჭკოები წყლით იჟღინთება, ხოლო $59...62^{\circ}\text{C}$ -დან კი ბოჭკოების სიგრძე მცირდება, დიამეტრი კი იზრდება. ხოლო გაცხელების შემდეგ



კოლაგენის ბოჭკოები განიცდის დექსტრუქციას, ანუ წარმოქმნიან ცალკეულ პოლიპეპტიდურ კავშირებს და გადადიან ხსნად ცილოვან ნაერთებში (გლიუტინში)[2].

კოლაგენის გარდაქმნის პროცესი გლიუტინში ძირითადი მიზეზია ხორცის დარბილებისა. ხორცის მზა კულინარულ მდგომარეობამდე მიყვანის მდგომარეობამდე გლიუტინში გადადის კოლაგენის 26...46% [1,2].

კოლაგენის გლიუტინში გადასვლის სიჩქარე და ხორცის მზა კულინარულ მდგომარეობამდე მიყვანის სიჩქარე დამოკიდებულია მრავალ ისეთ ფაქტორებზე[2], როგორცაა:

- კუნთოვანი ქსოვილის მორფოლოგიური აგებულების თავისებურებაზე.
- თბური რეჟიმების ტემპერატურაზე.
- არის რეაქციაზე.

ასევე დაუშვებელია მომზადებული ხორცის კერძების ხანგრძლივი შენახვა კვებისათვის საჭირო 42...45 °C- ტემპერატურაზე. რადგანაც აღნიშნული ტემპერატურა საუკეთესო პირობებს ქმნის მიკროორგანიზმებისა და ტოქსიკური ელემენტების დაგროვებისათვის, რომლებიც იწვევენ ნაწლავთა დაავადებებსა და ინტოქსიკაციებს. არ არის რეკომენდირებული ასევე ხორცის კერძების განმეორებითი, ხშირი და ხანგრძლივი გაცხელება მაღალ ტემპერატურაზე (100...120 °C). რადგანაც ამ დროს ხორცში მიმდინარეობს წყლის აორთქლება და მასში ისეთი ნივთიერებების წარმოქმნა რომელიც იწვევს განსხვავებულ თანგემოსა და ხორცის ბოჭკოების გაუხეშებას [4;5;6].

ჩვენს მიერ ჩატარებული პრაქტიკული და თეორიული კვლევებიდან და დაკვირვებებიდან შესაძლებელია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ხარშვის პროცესი უმჯობესია ვაწარმოთ 93-97°C- ტემპერატურაზე, ხოლო რაც შეეხება ხარშვის ხანგრძლივობას მასზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორცაა: - ხორცის ნიმუშის მასა (მოცულობა), ნაკლავის ასაკი, ნაკვებობა, სახარშავი არის სიმკვრივე ანუ მარილიანობა და წნევა.

საშუალოდ ხარშვის ხანგრძლივობა ზემოთ დასახელებული ფაქტორების გათვალისწინებით მერყეობს 1,2 საათიდან 2,7-3,0 საათამდე და ნიმუშის მასა შესაბამისად საშუალოდ 27...36%-ით იკლებს. ამასთან აუცილებელია ხორცის ნაჭრები მოვათავსოდ ადუღებამდე მიყვანილ წყალში და წყლის ოპტიმალური რაოდენობა ყოველ 100 გრამ ხორცის ნიმუშზე 150 მილილიტრი უნდა იყოს. ზემოთ დასახელებული თბოფიზიკური მაჩვენებლები ოპტიმალურ პირობებს ქმნის ექსტრაქტული ნივთიერებების მაქსიმალური შენარჩუნებისათვის დამუშავებულ ნიმუშებში.

კულინარებმა უნდა იცოდეს ხორცის თბური დამუშავების მთავარი კანონი და წესი, რომლის მიხედვით დაუშვებელია ხორცის ზედმეტად გადახარშვა, ან ზომიერად მეტად შეწვა, რაც მრავალ არასასურველ პროცესებთან ერთად



(მაგალითად ღვიძლის თბური დამუშავებისას 2...3 ზედმეტი წუთიც კი საკმარისია მისი საგემონო თვისებების დაქვეითებისათვის, ამასთან იგი ხდება უხეში და მშრალი) სენსორული თვისებების მნიშვნელოვან გაუარესებასაც იწვევს.

საბოლოოდ შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ხორცის თბური დამუშავების პროცესში 100⁰C- ტემპერატურის ქვემოთ მასში მიმდინარეობს შემდეგი სახის ფიზიკო-ქიმიური გარდაქმნები:-ცილოვანი ნივთიერებების დენატურაცია, კოლაგენის ხარშვა და ჰიდროთერმული გახლეჩა, ექსტრაქტული ნივთიერებების ცვლილება, ვიტამინების ფარდობითი დაშლა, მიკროორგანიზმების ვეგეტატური ფორმების კვდომა, ცხიმების მდგომარეობისა და თვისებების ცვლილებები, ხორცისა და ხორცის პროდუქტების სტრუქტურულ-მექანიკური თვისებების ცვლილება და ორგანოლეპტიკური ანუ სენსორული მახასიათებლების ცვლილებები, რომლებიც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ხორცის თბური დამუშავების პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Соколов А.А. Физико-химические и биохимические основы технологии мясопродуктов. М.; Пищевая промышленность, 2005.
2. Мазуров В.И. Биохимия коллагеновых белков. М.; Медицина, 1999.
3. [http:// pitanie- deteu.ru](http://pitanie-det.eu.ru).
4. Колесник А.А., Елизарова Л.Г. Теоретические основы товароведения. М.: Экономика, 1990.
5. International scientific-practical internet-conference . COMPLETE WORKS , Kutaisi, 2010.
6. [kochen.ru /content/view46/236/](http://kochen.ru/content/view46/236/).

THERMO PHYSICAL CHANGES IN MEAT PROTEINS

Gvinianidze T. , Buchukhishvili M.

Ak. Tsereteli State University

Summary

In this paper considers individual thermal processing modes of the meat and thermo physical and bio- chemical changes current in it during this time. The protein substances denaturizing caused by the thermal processes, boiling of collagen and hidrothermal split, change structural -mechanical properties of meat and meat products. In detail is considered change of connective tissue protein collagen fibers characteristics with respect to the change of thermal regimes, and presents the conclusions.



ფერმენტები სორცპროლუქტების წარმოებაში ბუშინ, ღღუს, ხვალ

ყიფიანი ა., ხუციძე ც.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნაშრომში განხილულია ფერმენტების ზოგადი დახასიათება, კინეტიკა, კატალიზური ფუნქცია, ნახევრები სორცპროლუქტების წარმოებაში გამოყენებული პროტეოლიზური ფერმენტების გავლენა ხორცის სტრუქტურული ელემენტების ცვლილებაზე და შესაბამისად, ნაკლავის დაბალხარისხოვანი, სიმაგრით გამოირჩეული ნაწილების შესაძლო გამოყენებაზე, მომწიფების პროცესის მიმდინარეობასა და ნაწარმის ფუნქციონალურ-ტექნოლოგიური თვისებების გაუმჯობესებაზე.

ცილოვანი ბუნების ნივთიერებები, რომელთაც ქიმიური რეაქციების კატალიზურად დაჩქარების უნარი შესწევთ, ფერმენტებს წარმოადგენენ.

კვების პროდუქტების მოსამზადებლად კაცობრიობა ფერმენტებს უხსოვარი დროიდან იყენებდა. ემპირიული გზით აღამიანებმა გაარკვეეს ბუნებრივი სუბსტრატების არსებობა, რომელთა შეტანა ამა თუ იმ ნედლეულში სასურველ გარდაქმნებს იწვევდა. ასეთ სუბსტრატებს წარმოადგენდნენ ფერმენტების შემცველი მცენარეთა წვენი და ცხოველთა ქსოვილები.

ფერმენტების შესწავლა საკვების გადამამუშავებელი ფერმენტების შესწავლით დაიწყო, მაშინ, როდესაც აღმოჩენილ იქნა ბიოლოგიური ობიექტებიდან გამოყოფილი ფერმენტები: პეროქსიდაზა (პირშუშხადან), α - ამილაზა (ხორბლიდან) და სხვ. ფერმენტების პირველი სუფთა ფორმების მიღების შემდეგ კი, შემოთავაზებულ იქნა ტერმინი „ენზიმი“, ხოლო ენზიმოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის წარმოშობა შესაძლებელი გახდა ქიმიის, ბიოლოგიისა და მედიცინის განვითარების შემდეგ.

ფერმენტების მოქმედების მექანიზმის შესწავლისას გამოითქვა მოსაზრება, რომ ისინი სუბსტრატებთან წარმოქმნიან კომპლექსებს. სწორედ ფერმენტებსა და სუბსტრატებს შორის სივრცითი ურთიერთქმედებების ასახსნელად იქნა მოწოდებული მოდელი „გასადების ბოქლომთან“ დამოკიდებულებისა. ყველაზე დიდი წვლილი ენზიმოლოგიის განვითარებაში შეტანილ იქნა ფერმენტ-სუბსტრატული კომპლექსის თეორიისა და ფერმენტული კინეტიკის აღწერის პირველი მათემატიკური მოდელის შემუშავების შედეგად.

მაგრამ კითხვა თუ როგორ აჩქარებენ ფერმენტები ქიმიურ რეაქციას აუხსნელი დარჩა გარდამავალი მდგომარეობის თეორიის წარმოშობამდე. ფერმენტების კატალიზური მოქმედება მიიღწევა ქიმიური რეაქციების გარდამავალი მდგომარეობის სტაბილიზაციით ფერმენტის აქტიურ ცენტრთან ურთიერთქმედების შედეგად.

ფერმენტული კატალიზი მიმდინარეობს მაკრომოლეკულების ზედაპირის განსახდერულ უბანზე, რომელსაც აქტიური ცენტრი ეწოდება და ის შედგება ერ-



თმანეთთან ახლოს განლაგებული ფუნქციონალური ჯგუფების არც თუ დიდი რაოდენობის ნაკრებისაგან, აქვს ჩადრმაგებული სახე ფერმენტის მოლეკულის ზედაპირზე და შეიძლება მიკუთვნებულ იქნას პიოლიპეპტიდური ჯაჭვის რგოლებს, რომლებიც ერთმანეთისაგან ძლიერ დაშორებულია. მათი დაახლოება დაკავშირებულია ფერმენტის მაღალი დონის სტრუქტურების ფორმირებასთან.

სავსებით ლოგიკურია, რომ აქტიურ ცენტრს არ აქვს ავტონომიურად არსებობის უფლება, ამასთანავე არ შეიძლება გარკვეული ზღვარის გატარება ფერმენტის აქტიურ ცენტრსა და ცილოვანი მოლეკულის სხვა ნაწილებს შორის. სწორედ ეს არის აქტიური ცენტრის მაღალი მგრძობელობისა და ლაბილობის მიზეზი სხვადასხვა გარემოში შემოქმედების მიმართ.

ფერმენტული მოქმედების რეაქცია მთლიანობაში სამი თანმიმდევრული სტადიისაგან შედგება: ფერმენტ-სუბსტრატული კომპლექსის წარმოქმნა, ამ კომპლექსის გარდაქმნა ფერმენტ-პროდუქტის კომპლექსად და შუალედური პროდუქტის დისოციაცია.

კატალიზური ფუნქციის მეშვეობით სხვადასხვაგვარი ფერმენტები განაპირობებენ უამრავი ქიმიური რეაქციის სწრაფ მიმდინარეობას ორგანიზმში ან მის გარეთ. დღეისათვის ბიოლოგიურ ობიექტებში აღმოჩენილია ათასობით ინდივიდუალური ფერმენტი, მათ შორის ასობით – გამოყოფილი და შესწავლილია. აღსანიშნავია, რომ ორგანიზმიდან გამოყოფილი ფერმენტები არ კარგავენ კატალიზური ფუნქციის განხორციელების უნარს, რაც კვების მრეწველობაში მათი პრაქტიკული გამოყენების საფუძველია.

თანამედროვე ენზიმოლოგიის მიღწევებმა მნიშვნელოვნად გააფართოვეს ფერმენტების გამოყენების შესაძლებლობა კვების მრეწველობის ყველა დარგში.

კვების პროდუქტების ტექნოლოგიაში გამოყენებული ფერმენტებიდან აღსანიშნავია: ამილოლიზური, პროტეოლიზური, ლიპოლიზური და ოქსიდაზური აქტივობის ფერმენტები. აღნიშნულთაგან ხორცპროდუქტების წარმოების ტექნოლოგიაში გამოიყენება პროტეოლიზური ფერმენტები – პროტეაზები, რომლებიც პეპტიდ-ჰიდროლაზების კლასს მიეკუთვნებიან და აჩქარებენ ცილების, პეპტიდებისა და პეპტიდური კავშირების შემცველი სხვა ნაერთების ჰიდროლიზის რეაქციებს.

წარმოშობის მიხედვით ხორცპროდუქტების წარმოებაში გამოყენებული ფერმენტული პრეპარატები იყოფიან: მცენარეულ, ცხოველურ და მიკრობიალურ ფერმენტებად. მცენარეული წარმოშობის ფერმენტებს მიეკუთვნება: პაპაინი – *Carica papaya* – ნესვის ხის ნაყოფების წვენიდან გამოყოფილი ფერმენტი; ფიცინი – *Ficus sp.* ლეღვის ხის ფოთლებისა და ღეროს წვენიდან, გამოყოფილი ბრომელინი – ანანასის ხის წვენიდან, აქტინიდინი – კივის წვენიდან გამოყოფილი.

ცხოველური წარმოშობის ფერმენტებიდან აღსანიშნავია: პეპსინი, რომელიც აჰიდროლიზებს პეპტიდური ბმების 30%-ს, მოქმედებს გვერდითი ჯაჭვის არომატულ ბირთვზე და თავისუფალ კარბოქსილურ ჯგუფებზე; ტრიფსინი – აჰიდროლიზებს პეპტიდურ, ამიდურ და რთულეთერულ ბმებს, რომლებშიდაც კარბოქსილური ჯგუფები ძირითადად ამინომჟავებს ლიზინს და არგინინს ეკუთ-



ვნის; კოლაგენაზა – აჰიდროლიზებს კოლაგენს პეპტიდებად ამინომჟავების წარმოქმნის გარეშე, ავლენს აქტივობას მუკოპოლისაქარიდული კომპლექსის დესტრუქციისადმი; პროტეფსინი – მუავე პროტეინაზების შემცველი კომპლექსია; კატეფსინი – შიგაუჯრედული ფერმენტია. ხოლო მიკრობიოლოგიური წარმოშობის ფერმენტებიდან აღსანიშნავია: პროტოსუბტილინ Γ10X – მიკრობული პროტეინაზა *Bacillus subtilis* პრეპარატი; მეგატერინ Γ10X – მიკრობული წარმოშობის *Bacillus megaterium*; ორიზინი, ტერიზინი და სხვ.

უკანასკნელ პერიოდში ხორცის გადამამუშავებელთა პრობლემად იქცა ხორცის ნედლეულის არაერთგვაროვნება და დაბალი ფუნქციონალურ-ტექნოლოგიური თვისებები. ბაზარზე გაძლიერებული კონკურენციის პირობებში, ძირითად ნედლეულზე ფასების ზრდის გამო უფრო რთული გახდა მომხმარებელთა გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, რაც ითვალისწინებს პროდუქტის უმაღლეს ხარისხს და დახვეწილ გემოვნებას. ეს მაშინ, როცა ნედლეულის ხარისხი აღარ შეესაბამება სტანდარტებს, სოფლის მეურნეობაში გამოიყენება საქონლის გამოკვების ინტენსიური მეთოდები, იცვლება თვით საკვების შემადგენლობა მასში სხვადასხვა დანამატების მოხვედრის გამო და შესაბამისად იცვლება ხორცის ორგანოლექტიკური (გემო, ფერი, სუნი) და ტექნოლოგიური თვისებები.

აღნიშნული მახასიათებლების ამადლების მნიშვნელოვან მეთოდს ხორცის მომწიფება წარმოადგენს, რომელიც რთული ბიოქიმიური და ხანგრძლივი პროცესია. თანამედროვე მეცნიერება გვთავაზობს აღნიშნული პროცესის არსებით შემცირებასა და ორგანოლექტიკური და ტექნოლოგიური პარამეტრების ამადლებას.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ტექნოლოგიური პროცესების (მომწიფება, დამარილება) დროს ხორცისთვის სპეციფიკური თვისებების მინიჭება, როგორცაა გემოს, არომატის, კონსისტენციის გაუმჯობესება და ფერის სტაბილიზაცია, მნიშვნელოვან წილად დამოკიდებულია მათში შემავალი ფერმენტების არსებობაზე. მაგრამ ცხოველთა კუნთები ხასიათდებიან შიგაუჯრედული ფერმენტების დაბალი კონცენტრაციით. გარდა ამისა, ზოგიერთი მათგანი გამოირჩევა შემაერთებელი ქსოვილების მაღალი სიმტკიცისა და სიმაგრის მქონე კოლაგენური და ელასტინური ბოჭკოების მაღალი შემცველობით, რაც შესაბამისად, ხორცის სიმაგრესა და დამწიფების პროცესის გახანგრძლივებას განაპირობებს. დღეისათვის დელიკატური ნაწარმის მომზადებისათვის ხორცის ახალი წყაროების მოძიების პრობლემასთან დაკავშირებით აქტუალურია დაბალი ხარისხის ნედლეულის გამოყენება. საქონლის ხორციდან ნაწარმის მოსამზადებლად, მომწიფების პროცესის ხელოვნურად დასაჩქარებლად და მზა პროდუქტის სინაზის გასაზრდელად აუცილებელია ფერმენტული პრეპარატების გამოყენება. პროტეოლიზური ფერმენტებით დაბალხარისხოვანი ხორცის დამუშავება შემადგენლობით სრულფასოვანი, მაგრამ ნაკლავის სიმაგრით გამორჩეული ნაწილების გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

იზრდება ინტერესი შემაერთებელი ქსოვილების რესურსების რაციონა-



ლური გამოყენებისადმი, რომელთა ცილები მიეკუთვნებიან ფიზიოლოგიურად სასარგებლო ბალასტურ ნივთიერებებს და წარმოადგენენ სიცოცხლისათვის აუცილებელ კომპონენტებს კვების რაციონში. განსაზღვრული რაოდენობის შემადგენელი ქსოვილის ცილების შემცველობა არა მარტო არ აუარესებს საკვები პროდუქტების ბიოლოგიურ ღირებულებას, არამედ ზრდის მათ უნარს დაუკავშიროს და გამოეოს ორგანიზმიდან ნიტროზამინები, მუტაგენები, მძიმე მეტალები და სხვა კარცენოგენული და მომწამვლელი ნივთიერებები.

ფერმენტების მიზანმიმართული გამოყენება შემადგენელი ქსოვილის დამუშავებისათვის ახალ მიმართულებას წარმოადგენს, რაც უნარჩენო და უსაფრთხო ტექნოლოგიის შემუშავების საშუალებას იძლევა, ამიტომ საჭიროა აღინიშნოს, რომ ნედლეულის ფერმენტაციული მოდიფიცირება საშუალებას იძლევა მირებულ იქნას არა მარტო ტრადიციული, მაღალი ხარისხის ხორცპროდუქტები, არამედ მაღალი კვებითი და ბიოლოგიური ღირებულების დიეტური და სამკურნალო კვების პროდუქტები.

ფერმენტების გამოყენება ხორცის დასამუშავებლად დაფუძნებულია ცილების ფერმენტაციულ ჰიდროლიზზე, ხორცის სტრუქტურული ელემენტების ცვლილებებსა და ხარისხის ბიოქიმიური და ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე. ნედლეულში შეტანილი ფერმენტული პრეპარატები უზრუნველყოფს ცილოვანი სტრუქტურის ტრანსფორმაციის ავტოლიზურ ეფექტს, ხორცის მომწიფების პროცესის მცირე ვადებში მიმდინარეობას. ამასთანავე პროტეოლიზური ფერმენტული პრეპარატები გამოირჩევიან ხორცის ძირითად ცილებზე; მიოზინზე, კოლაგენსა და ელასტინზე მოქმედების სპეციფიურობით. ცილოვანი სტრუქტურის გარდაქმნის სიღრმე და ინტენსივობა დამოკიდებულია პრეპარატების სახეობასა და დოზირებაზე, მათი აქტივობის ხარისხსა და ხორცის ნედლეულის დამუშავების ხანგრძლივობაზე.

ამრიგად, თუ პრაქტიკული თვალსაზრისით ხორცის ფერმენტებით დამუშავება წარმოადგენს შედარებით ახალ ტექნოლოგიურ მიდგომას, თეორიულად ის ეყრდნობა ცნობილ ბიოქიმიურ და ფიზიკურ-ქიმიურ პროცესებს, რომლებიც მიმდინარეობენ ხორცისა და ხორცპროდუქტების ქსოვილებში მათი წარმოების სხვადასხვა ეტაპზე.

ლიტერატურა

1. Антипова Л.В., Глотова И.А. Использование вторичного коллагенсодержащего сырья мясной промышленности _ СПб. ГИОРД. 2006 _ с.167-169
2. Покровский В.А. Ермаков И.Д. Атакуемость белков пищевых продуктов протеолитическими ферментами. Вопросы питания _ 1985 - #3.
3. Ратушный А.С. Применение ферментов при обработке мяса. М. Пищевая промышленность. 1976.



ENZYMES IN THE PRODUCTION OF MEAT PRODUCTS YESTERDAY, TODAY AND TOMORROW

Kipiani A. Khutsidze Ts.

Akaki Tsereteli state university

Summary

The paper considers the general description of enzymes, kinetics, catalytic function, is shown influence of proteolyses enzymes used in the production of meat products on the changes of the structural elements of meat and, consequently, possible use low quality, fortress parts of meat, on the ongoing of momtsipebis process and improving functional- technological properties of the product.

აღნიშნული პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური ხელშეწყობით (გრანტი № GNSF/ST08/7-493). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.

ხორცის ფარშის ხარისხი და მისი მახასიათებლები

ცუცქირიძე ნ., კამკამიძე ნ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აღამიანის ცხოვრებასში დიდ როლს ასრულებს ხორცი და ხორცპროდუქტები. მათგან განსაკუთრებული ადგილი უკავია გატარებულ ხორცს (ფარში), დაახლოებით 45,5% მოდის საქონლის ხორცზე, 28,8% ღორის ხორცზე, ხოლო დანარჩენი ცხვარზე და ფრინველის ხორცზე.

ფარშის ხარისხი დამოკიდებულია იმაზე თუ როგორი ხორცისაგან არის დამზადებული იგი. ხორცის ფარში წარმოადგენს ცილის, ცხიმისა და წყლის რთულ სტრუქტურულ დისპერსიულ სისტემას, რომელიც შეიცავს სუსპენზიებსა და ემულსიას - ცხიმი წყალში და პირიქით წყალი ცხიმში.

ფარშში დისპერსიულ ფაზის როლს ასრულებს - ცილების, დაბალმოლეკულური ორგანული და არაორგანული ნივთიერებების წყალხსნარი, ხოლო დისპერსიულ ფაზას წარმოადგენს კუნთის შემაერთებელი და ცხიმოვანი ქსოვილის ნაწილაკები, პური და სხვა კომპონენტები. ფარშში ნაწილაკები ერთმანეთთან შეერთებულია შემაკავშირებელი ძალებით და წარმოქმნიან მთლიან ბადეს ან თავისებურ გარსს. ერთდროულად ნაწილაკები შეკავშირებულია დისპერსიულ არესთან, რომლებსგანაც ისინი ქმნიან ერთიანობას, ამასთან დისპერსიული არეს ნაწილი შემაკავშირებულია დისპერსიულ ფაზასთან უფრო მჭიდროდ ვიდრე, ნაწილაკები ერთმანეთთან. ფარშის სიმტკიცე დამოკიდებულია მის სტაბილურობაზე,



რომელიც ზეგავლენას ახდენს წყალზე, ცხიმზე და ცხიმის კომპონენტებზე. უწყვეტ ფაზაში შედის, როგორც გლობულური აგრეთვე ფიბრილარული ცილები რომლის მოლეკულას აქვს მოგრძო ფორმა.

ხორცის ფარშის სტრუქტურა განისაზღვრება - ქიმიური შედგენილობით, ბიოქიმიური მაჩვენებლით, ტემპერატურით და სხვა რიგი ფაქტორებით. ხორცის ფარშის ნედლეულის მახასიათებლებში შედის წებოვნება, რომელიც განსაზღვრავს ცილის წყალში ხსნადობას. ფარშის ხარისხი დამოკიდებულია მის დანაწევრების ზომაზეც.

ხორცის ფარშის ქარხნული დამზადების დროს ფარშს წყალთან ერთად უმატებენ ყინულს ის უშუალოდ აკავშირებს ერთმანეთთან ყველა კომპონენტს და წარმოქმნის ერთიან სისტემას. კავშირის სიმტკიცე დამოკიდებულია ცხიმოვანი ნაწილაკების რაოდენობაზე, რომელიც აკავშირებს სტრუქტურასთან. დაკეპვის დროს ყინული წარმოქმნის ემულსიას. ემულსიის წარმოქმნა ხორცის დაკეპვისას შეიძლება აიხსნას შემდეგნაირად. დანაწევრების დროს ისეთი ნაწილაკები რომლებიც უხსნადია, მაგალითად კუნთის ქსოვილი და ცხიმი მეტ ნაკლებად თანაბრად გადანაწილდება უწყვეტ დისპერსიულ არეში - კონცენტრირებულ ცილის ხსნარში, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვანი რაოდენობით ელექტროლიტებს. ხოლო მოლეკულები, რომლებიც იხსნებიან ცილაში აღსორბირდებიან ცხიმისა და წყლის საზღვარზე. ამასთან ჰიდროფობული ჯგუფები მიმართული არიან ცხიმისაკენ, ხოლო ჰიდროფილური - ტოპოფილურსაკენ. რადგანაც ჰიდროფილური ჯგუფები წარმოადგენენ პოლარულს, ამიტომ ყოველი ცხიმის ნაწილაკი გარდაიქმნება ერთმოსახელე მუხტად, რის შედეგადაც ყოველი დისპერსიული ცხიმის ნაწილაკი ხდება დამუხტული და მის ირგვლივ წარმოიქმნება მჭიდროდ დახურული აფსკი.

ხისტი წყლის რაოდენობა დამოკიდებულია ემულგატორის სახეზე, pH-არეზე და სხვა რიგ ფაქტორებზე. ამასთან მისი რაოდენობა განსაზღვრავს ემულსიის წებვადობას.

ფარშის სტრუქტურული სტაბილურობა ტექნოლოგიური დამუშავების დროს დისპერსიული ცხიმის ნაწილაკები განსაზღვრავს, როგორც ცილის აფსკის სიმტკიცეს, აგრეთვე შესაძლებელს ხდის ცილოვანი მოლეკულების შეკავშირებას წყალთან.

გაცხელებისას ემულსიის ცილოვანი აფსკი იშლება. დაშლა გამოწვეულია დენატურაციით და ცილის შემდგომი კოაგულაციით. ზოგჯერ შეიმჩნევა ფარშიდან ცხიმის გამოყოფა. ფარშის გაცხელებისას მიუხედავად იმისა შეიცავს თუ არა დიდი რაოდენობით ხსნად ცილას არ ხდება წყლის და ცხიმის სრული გამოყოფა.

ხორცის ფარშის დამზადებისას კუნთების ექსტრაგირება ცილაში დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე: წყლის რაოდენობაზე, წყლისა და მარილხსნადი ცილის თანაფარდობაზე, თხევად ფაზაში სუფრის მარილის შემცველობაზე, ხორცის მომწიფების ხარისხზე, pH-ის სიდიდეზე და სხვა რიგ ფაქტორებზე.

ფარშის დაყოვნება ზეგავლენას ახდენს მის რეოლოგიურ მახასიათებლებზე. დაყოვნებიდან პირველი ორი საათის განმავლობაში რეოლოგიური თვის-



სებები არ იცვლება ხოლო 4-10 საათის შემდეგ ფარშის რეოლოგიული მახასიათებლები იზრდება მაქსიმუმამდე, ამასთან მთავრდება კოაგულაციის წარმოქმნის პროცესი. 10 საათის შემდეგ რეოლოგიური მახასიათებლები იკლებენ, რაც იწვევს ფარშის სტრუქტურის შესუსტებას და მიკრობიოლოგიური და ბიოქიმიური პროცესების მოქმედებას. ამგვარად ფარშის წარმოებისას ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს სტაბილიზაცია.

ელექტრონული მიკროსკოპის დახმარებით დადგენილია, რომ ცილის მემბრანა რომელიც უზრუნველყოფს აფსკის დაცვას ცხიმოვანი ბურთულაკებისაგან მდგრადია ტენიან ფარშში. გაცხელებისას შეიძლება მოხდეს ცილის კოაგულაცია და შეიცვალოს ფარშის სტრუქტურა, თუ არ მივიღეთ შესაბამისი ზომები, შეიძლება მოხდეს ფარშის სტრუქტურის დესტაბილიზაცია.

დესტაბილიზაციის დროს ფარშიდან გამოიდევენება არა მარტო ცხიმი არამედ წყალიც. ამიტომ მზა პროდუქტის ხარისხი განისაზღვრება როგორც ემულგირებული ასევე ტენდამჭერი ცილის თვისებებით.

ერთ-ერთი აუცილებელი ტექნოლოგიური მახასიათებელი, რომელიც ზეგავლენას ახდენს მზა პროდუქტიდან ტენის გამოყოფაზე, წარმოადგენს ხორცის წყლის გამოყოფის თვისება. რომელიც უზრუნველყოფს ფარშის წვნიანობას და გამოსავალს.

ფარშის მომწიფების პროცესის დროს იზრდება pH და უმჯობესდება მზა პროდუქტის ორგანოლექტიკური მაჩვენებლების მახასიათებლები. ფარშის შენახვის დროს ხდება ცილის ჰიდროლიზური დაშლა, რის გამოც წარმოიქმნება პეპტინები და მონოკარბომჟავები, რომლებიც წარმოადგენენ მიკროორგანიზმების საკვებ არეს.

ლიტერატურა

1. В. С. Баранов, А. И. Мглинец, Л.М. Алёшина и др. Технология производства продукции общественного питания, 1996. с.129.
2. Авиев С. А., Славатулин Р.Б. Использование молочных белков при производстве мясных продуктов; обзорная информация - М.: ЦНИИТЭИ. Мясопродукты, 1981. - с. 24.
3. Заяс Ю.Ф. Качество мяса и мясопродуктов. – М.: Легкая и пищевая промышленность 1981 - с. 480.

STAFFING MEAT QUALITY AND ITS CHARACTERISTICS

Tsutskihidze N., Kamkamidze N.

Akaki Tsereteli State University

Summary

In the Human life big role fulfils meat and meat products. Staffing meat degree depends on from how meat is made it.

The structure of the staffing meat determined by - chemical, biochemical indexes, temperature, and a number of other factors. In the produce of staffing meat our biggest problem is the stabilization. Staffing meats structural stability is determined by the dispersion fat particles during of technological development . During of destabilization from the staffing meat picks out not only fat but also water.



К ВОПРОСУ ОБЕСПЕЧЕНИЯ БЕЗОПАСНОСТИ ПРОДУКЦИИ ОБЩЕСТВЕННОГО ПИТАНИЯ НА ОСНОВЕ СИСТЕМЫ НАССР

Абрамович Н.В.

**Учреждение образование «Могилевский государственный университет
продовольствия», Республика Беларусь**

В работе рассмотрены подходы к выявлению критических контрольных точек и установлению критических пределов для предотвращения биологических опасностей на основе системы НАССР при производстве продукции общественного питания.

Обеспечение безопасности продукции общественного питания является важнейшей задачей, стоящей перед производителями этой продукции. Как показывает опыт, существуют различные подходы к решению этой задачи, владельцы и руководители предприятий общественного питания выбирают способы достижения безопасности продукции с учетом специфики работы своих предприятий. Перспективным направлением обеспечения безопасности продукции для крупных сетей предприятий общественного питания является внедрение системы НАССР (Hazard analysis and critical control points) - системы управления безопасностью пищевых продуктов, основанной на проведении анализа опасных факторов (рисков) и определении критических точек контроля.

При внедрении системы НАССР на предприятиях общественного питания большое внимание должно быть уделено выявлению критических контрольных точек (ККТ) в процессе производства продукции общественного питания для устранения (минимизации) риска или возможности его появления, а также установлению критических пределов (предельных значений параметров) для подтверждения того, что ККТ находятся под контролем.

ККТ рассматриваются как этапы, на которых можно осуществить контроль, и которые существенны с точки зрения предотвращения, устранения или уменьшения до приемлемого уровня опасного фактора. Критические пределы рассматриваются как максимальные и/или минимальные величины, за пределы которых не должны выходить биологические, химические или физические параметры, которые



измеряются и контролируются в ККТ. При помощи критических пределов определяются условия протекания процесса, недопустимые с точки зрения безопасности продукции, которые нельзя переходить. В том случае, если критический предел перейден, необходимо проводить корректирующие действия.

В соответствии с системой НАССР при производстве продукции общественного питания с точки зрения источников возникновения все риски подразделяются на три типа: биологические, химические и физические.

Физические опасности – наиболее общий тип опасности, который может проявляться в продукции общественного питания и характеризуется присутствием инородных материалов. Физическая опасность в конечном продукте может возникать из нескольких источников, таких как загрязненное сырье, несоответствующие вспомогательные приспособления и оборудования, производственная среда, производственный персонал при несоблюдении им правил личной гигиены. Вероятность возникновения физической опасности существует практически на каждом этапе производства продукции общественного питания при несоответствующем проведении технологических процессов.

Химические опасности могут стать причиной пищевых заболеваний вследствие попадания в продукцию общественного питания с сырьем (пестициды, ветеринарные препараты, удобрения, тяжелые металлы, радионуклиды, диоксины, нитриты, нитраты, различные примеси), в процессе технологической обработки (пищевые добавки - консерванты, усилители вкуса и аромата, красители), из оборудования (смазочные материалы, красители), при санитарной обработке (очистители, дезинфицирующие, моющие средства), а также при хранении, транспортировании, реализации и организации потребления.

Вероятность возникновения физических и химических опасностей на предприятиях общественного питания может быть сведена к минимуму при осуществлении предварительной программы НАССР, обеспечивающей, с одной стороны, получение сырья и полуфабрикатов у проверенных поставщиков, которые подтверждают качество своих продуктов соответствующими документами, и, с другой стороны, гарантирующей выполнение работниками предприятия правил гигиены и правил ведения технологического процесса.

Биологические опасности относятся к наиболее серьезному виду загрязнений продукции общественного питания и требуют особого внимания при разработке системы НАССР. В общем случае для ККТ при биологических рисках контрольными параметрами при производстве продукции общественного питания являются температура и время приготовления, хранения в горячем виде, охлаждения и повторного разогрева. Для каждой ККТ должны определяться критические пределы, т. е. время обработки или хранения, температура, pH другие параметры, соблюдение которых необходимо для гарантии безопасного производства. Установленные критические пределы должны быть



измеримыми. Иногда критический предел - это сочетание двух параметров, например, времени и температуры, иногда - это предельное значение одного параметра (минимальное или максимальное). Критические пределы следует включать во все рецептуры и производственные схемы, таким образом интегрируя систему HACCP в производственный процесс.

При определении ККТ и критических пределов в обязательном порядке следует учитывать особенности традиционных способов технологической обработки при производстве кулинарных изделий и продукции общественного питания. Например, при производстве некоторых блюд из овощей, круп, макаронных изделий с использованием такого технологического процесса как варка, этот процесс не является ККТ, а температура и продолжительность варки не должны рассматриваться как критические пределы по нескольким причинам.

Во-первых, при нормальном атмосферном давлении температура кипения воды в основных кулинарных системах составляет приблизительно 98-100 °С. Поэтому сам процесс кипения, который поддерживается в процессе варки, свидетельствует о температурах, близких к 100.

Во-вторых, в процессе тепловой обработки таких продуктов, как овощи, крупы, макаронные изделия в жидкой среде происходит размягчение тканей этих продуктов и изменение консистенции. Процесс размягчения тканей происходит во времени и требует определенной длительности обработки при конкретной температуре, в данном случае, при температуре 98-100 °С. Как показал анализ, для достижения биологической безопасности продукции общественного питания вполне достаточно сроков, необходимых для размягчения вышеназванных продуктов. Биологическая безопасность обеспечивается путем нагревания продуктов в течении этих сроков при высоких температурах, вызывающих гибель патогенных микроорганизмов. Размягчение продуктов в процессе варки является главным органолептическим критерием, позволяющим определить окончание технологического процесса варки. Размягчение продукта, как следствие, свидетельствует о необходимой длительности процесса и достижении биологической безопасности продукции.

При варке изделий из мяса, рыбы, птицы, доведение до состояния кулинарной готовности которых сложно проконтролировать по изменению консистенции, продолжительность варки должна строго контролироваться.

При жарке, запекании и выпечке кулинарных изделий и продукции общественного питания эти процессы должны рассматриваться как ККТ, а для температуры и продолжительности обработки должны быть установлены критические пределы. Необходимость выделения этих параметров как контролируемых обусловлена спецификой выполнения операций. Так, при завышенных температурах обработки внешние признаки (наличие образовавшейся корочки) могут



свидетельствовать о том, что продукт подвергся тепловому воздействию в достаточной для биологической безопасности и кулинарной готовности степени. Однако часто при таких условиях внутренние слои изделия не достигают требуемой температуры и состояния кулинарной готовности. Ведение технологического процесса жарки и запекания для крупных изделий должно осуществляться при более низких температурах и в течение более длительного периода, что позволяет изделиям до момента образования корочки достичь внутри изделия требуемых для биологической безопасности и кулинарной готовности температур.

Для обеспечения отсутствия рисков биологического характера при производстве продукции общественного питания большое значение имеет создание необходимых условий при хранении сырья и полуфабрикатов на стадии производства, а также при хранении готовых изделий после окончания технологического процесса.

Например, при приготовлении салатов в большом количестве расходуются разнообразные продукты (огурцы, томаты, зеленый горошек, маслины, яйца, мясопродукты, зелень и т.п.), которые должны храниться на рабочем месте повара в течение определенного времени как в целом, так и в нарезанном виде при соответствующем температурном режиме (4-8° С), препятствующем возникновению рисков биологического характера. И для бутербродов, и для салатов стадия хранения готовых изделий перед отпуском потребителю будет являться ККТ. Так как данные блюда готовы к употреблению и не подлежат дальнейшей термической обработке, необходимо четко контролировать температурный режим и продолжительность их хранения.

Таким образом, при разработке системы НАССР для предприятий общественного питания на этапе определения ККТ и установления критических пределов следует учитывать особенности традиционных способов технологической обработки пищевых продуктов, а также технологические свойства сырья и полуфабрикатов.

Литература:

1. Система безопасности продуктов питания на основе принципов НАССР: монография / В.М. Кантере, В.А. Матисон, М.А. Хангажеева, Ю.С. Сазонов. - М.: МГУПП, 2004. - 461 с.
2. Системы управления качеством и безопасностью продукции на основе анализа рисков и критических контрольных точек: рекомендации по построению и применению / В. Н. Корешков [и др.]. - Минск: Консорциум Наука Экономика Право, 2006. - 173 с.
3. Эффективное внедрение НАССР: Учимся на опыте других / Т. Мейес, С. Мортимор; пер. с англ. В. Широкова. – СПб: Профессия, 2005. - 288 с.



**TO THE QUESTION OF PUBLIC CATERING PRODUCTION
 SAFETY ON THE BASIS OF HACCP SYSTEM**

Abramovich N.V.

Establishment of education «Mogilev State University of food technologies»,
 Republic of Belarus

Summary

The paper discusses approaches for indentifying critical control points and establishing critical limits for biological hazard prevention in public catering production. HACCP system has been used for determining above mentioned parameters.

**დიოქსინის საშიშროება და მასზე პროდუქტებისა და
 საზოგადოების დაცვის თანამედროვე სისტემები**

არაბიძე თ., მახათაძე ნ.,* ხუციძე ც.**

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონალური
 სამმართველო,

*სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქუთაისის
 ზონალური დიაგნოსტიკური ლაბორატორია

** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

არასწორად წარმართული ეკონომიკურ-ტექნიკური პროგრესი, საწარმოო და სამედიცინო ნარჩენები, ტექპარკების მასიური ხანძრები იწვევს ეკოლოგიური გარემოს დაბინძურებას, რასაც შეუქცევად სავალალო შედეგებად მიყვავართ. მანვე ნივთიერებები ჰაერიდან, წყლიდან და ნიადაგიდან საკვების გზით ხვდება ადამიანის ორგანიზმში, რასაც მოყვება ტოქსინების კუმულაცია და აქედან გამომდინარე, ონკოლოგიური, იმპოტენციური, ნერვოლოგიური და სხვა სახის დაავადებები.

პირველი ცნობები დიოქსინის მაღალტოქსიკურობაზე გაჩნდა გასული საუკუნის 30-იან წლებში. ეს ნივთიერება წარმოადგენს მრავალი ქიმიური რეაქციის თანამდევ არასასურველ პროდუქტს, რომელიც მიმდინარეობს მაღალტემპერატურაზე ქლორის თანაობისას. ბიოსფეროში დიოქსინის ემისის ძირითადი მიზეზია უპირველეს ყოვლისა ქლორირების მაღალტემპერატურული ტექნოლოგიები და ქლორორგანული ნაერთების გადამუშავება, საწარმოო და სამედიცინო ნარჩენების წვა, ტექნიკური ზეთების, ჰერბიციდების და დეფოლიანტების წარმოება, საყოფაცხოვრებო ნაგვის წვა, ცელულოზა-ქაღალდის



წარმოება და სხვ. ასევე, ტექნიკური ავარიები, რასაც თან ახლავს გარემოში დიდი ან მცირე ოდენობით დიოქსინების გასროლა, არც თუ ისე იშვიათად გვევლინება გარემოს ძირითად დამაბინძურებელ ფაქტორად. ამას ემატება ტყის მასივების წვა, ვულკანური ამოფრქვევები, ავტომობილთა გამონაბოლქვი, სიგარეტის კვამლი ...

დიოქსინები – ტრივიალური სახელწოდებაა. მათ ოჯახში შედის ასობით ქლორორგანული, ბრომორგანული და შერეული ქლორობრომორგანული ციკლური ეთერები, რომელთაგან 17 მეტად ტოქსიკურია. ისინი წარმოადგენენ კუმულაციურ შხამს და მიეკუთვნებიან საშიში ქსენობიოტიკების რიცხვს.

დიოქსინები უფერო, უსუნო კრისტალებია ხილული ან თვალისათვის უხილავი ფორმით. წყალში არ იხსნებიან. იშლებიან მხოლოდ 900 გრად. C ტემპერატურის ზევით. გარემოში ნახევარდაშლის პერიოდი აჭარბებს 10 წელიწადს. ბუნებაში, პრაქტიკულად, ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური ზემოქმედებით არ იცვლებიან. ლაბორატორიულ პირობებში ნეიტრალიზდება დექლორირების მეთოდით, მაგ. ნატრიუმის ნაფტალიატით. ისინი ფლობენ მძლავრ მუტაგენურ, იმუნოდეპრესანტულ, კანცეროგენულ და ემბრიოტოქსიკური ზემოქმედების უნარს, ძნელად იხლიჩებიან და გროვდებიან როგორც ადამიანის ორგანიზმში, ასევე პლანეტის ბიოსფეროში, ჰაერში, წყალში, საკვებში. ადამიანისთვის ლეტალური დოზაა 10-6 გ/კგ ცოცხალ მასაზე, რაც გაცილებით ნაკლებია სხვა მომწამვლელი ნივთიერებების დოზასთან შედარებით. დიოქსინების მაღალტოქსიკურობის მიზეზია მათი უნარი, ზუსტად ჩაეკერონ ცოცხალი ორგანიზმის რეცეპტორებში და დააქვეითონ ან მთლიანად შეცვალონ მისი სასიცოცხლო ფუნქცია. აქვეითებენ რა იმუნიტეტს, უხეშად ერევიან უჯრედების სპეციალიზაციისა და გაყოფის პროცესში, აპროვოცირებენ ონკოლოგიური დაავადებების განვითარებას; ერთვებიან რეპროდუქციულ ფუნქციაში და მკვეთრად ანელებენ სქესობრივ მომწიფებას უნაყოფობის განვითარებით; ამსხვრევენ ინმუნიტეტს ე.წ. „ქიმიური შიდსის“ მდგომარეობამდე მიყვანით; იწვევენ სიმახინჯეს და ბავშვთა განვითარების პრობლემებს. აქვთ არა მარტო დაუყოვნებლივ ზემოქმედების, არამედ კუმულაციურ-ტოქსიკური ეფექტიც.

ადამიანის ორგანიზმში დიოქსინები აღწევენ რამოდენიმე გზით: 90% - წყლითა და საკვებით საჭმლის მომნელებელი ორგანოებიდან, 10% - ჰაერიდან და მტვერისაგან სასუნთქი გზებითა და კანით. ეს ნივთიერებები ცირკულირდებიან სისხლში, გროვდებიან ცხიმოვან ქსოვილსა და ყოველგვარი უჯრედის ლიპიდებში. ორგანიზმიდან გამოდევნის პერიოდი 7-დან 30 წლამდეა.

ბუნებაში დიოქსინები სწრაფად შეიწოვება მცენარეებისა და ნიადაგის მიერ. ამ გზით ხვდებიან ადამიანისა და ცხოველის საკვებში.

განვითარებული ქვეყნები აწარმოებენ სისტემატიურ კონტროლს კვების



პროდუქტებში დიოქსინის ოდენობის განსაზღვრაზე, სადაც პრობლემის გამოსაგლენად ჩამოყალიბებულია რისკის მართვის ეფექტური სისტემები, ნორმატიული დოკუმენტები, ძვირადღირებული კვლევის საშუალებები და საზოგადოებრივი მთლიანობის მგრძობელობის მაღალი დონე საშიში სასურსათო პროდუქტის მიმართ.

1998 წლის მარტში გერმანიაში რეალიზებულ რქეში აღმოაჩინეს დიოქსინის მაღალი დონე, რაც გამოწვეული იყო ბრაზილიიდან შემოტანილი ციტრუსის პულპის გრანულების შერევით ცხოველის საკვებში.

2006 წელს ცხოველის საკვების დაბინძურების მიზეზი ზეთი აღმოჩნდა, რომელიც ერთ-ერთ ინგრედიენტს წარმოადგენდა.

ცოტა ხნის წინ გერმანიაში წარმოშობილი დიოქსინის სკანდალის დაწყებამდე ჩრდილოეთ „რეინ-ბესტვალის“ ფედერალურ ტერიტორიაზე აღმოაჩინეს და რეალიზაციიდან ამოიღეს საქონლის ხორცის პარტია დიოქსინის გადაჭარბებული ოდენობით - დაბინძურებული აღმოჩნდა თავისუფალი საძოვარი.

ადამიანებზე დიოქსინის ზემოქმედების უდიდესი ნაწილი გამოწვეულია ხორცისა და რძის პრიდუქტებისაგან. აქედან გამომდინარე, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება წარმოების პროცესში ახალი მიდგომების დანერგვას.

მართალია, ამერიკაში კვების პროდუქტების და მედიკამენტების ხარისხის ზედამხედველობის სამსახურს აქვს სპეციალური პროგრამა, რომელიც ამოწმებს იმპორტით შემოსული კვების პროდუქტების ხარისხს, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს საკმარისი არ არის. მაგ. ბოლო 10 წლის მონაცემებით ცნობილია, რომ ითვალისწინებს ერთი სინჯის აღებას 900 ტონა ფორთოხალზე, 3600 ტონა ყურძენზე, 1800 ტონა ტომატზე, 2500 ტონა ყავაზე.

როგორი პარადოქსულიც არ უნდა იყოს, აშშ თვითონაა აკრძალული პესტიციდების იმპორტიორი განვითარებად ქვეყნებში, აქედან კი ეს პესტიციდები კვების პროდუქტების სახით უკან უბრუნდება არა მარტო ამერიკელებს, არამედ ევროპის მთელ რიგი ქვეყნების მოსახლეობასაც, თურქეთიდან კი ისინი შემოდის საქართველოში და კავკასიის მთელ რეგიონში - ბანანთან, ფორთოხალთან და ყავასთან ერთად.

2005-2008 წლების მონაცემების მიხედვით გამოკვლეული ამერიკელების 80-85%-ს სისხლში და ცხიმოვან ქსოვილებში დღე და ქლორორგანული პესტიციდების გარკვეული რაოდენობა ან კვალი არის აღმოჩენილი, ხოლო განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობაში კი ეს მაჩვენებლები გაცილებით მეტია.

პესტიციდებს, რომელთა გამოყენება ბევრ განვითარებულ ქვეყანაში აკრძალულია, თვითონ მიაწოდებენ განვითარებად ქვეყნებს, ამასთან უეტიკეტოდ, ინსტრუქციის გარეშე. მოსახლეობას და მომუშავე პერსონალს წარმოდგენა არა აქვს მათ ტოქსიკურობაზე. ისინი დიდი ხნის განმავლობაში იმყოფება ღია ცის ქვეშ, განიცდის მზის ზემოქმედებას, რაც ხელს უწყობს მათ გაუონვას ჰაერში, ნიადაგსა და გრუნტის წყლებში. შეიძლება ზოგიერთ პესტიციდს ინსტრუქცია ახლავს, მაგრამ ის უცხო ენაზეა, თითქმის მიუწვდომელია ან ნაკლებად მისაწვდომია გლეხისათვის. მათ პესტიციდები მცენარისათვის უებარი „წამალი“ ჰგონიათ და ისიც კი არ იციან, რომ ყველა მცენარეს თავისი ინდივიდუალური პესტიციდი სჭირდება.

საქართველოში რამდენიმე წლის წინ შუა აზიიდან შემოიტანეს „უეტიკეტო“ პესტიციდი, რომელიც შაბიამნის ნაცვლად გამოიყენეს ვაზის შესაწამლად. ამის სავალალო შედეგი კარგადაა ცნობილი, არადა, როგორც გაირკვა, ეს პესტიციდი ბამბის პლანტაციის შესაწამლად იყო განკუთვნილი.

სოფლის მოსახლეობას ხშირად წარმოდგენა არა აქვს, როგორ დაიცვას თავი პესტიციდების მავნე ზემოქმედებისაგან, არ იცის, რომ მათი გამოყენებისას აუცილებელია სპეციალური ტანსაცმელი, რესპირატორი, რეზინის ჩექმები და ხელთათმანები. არადა, შიშველი ხელებით პესტიციდებთან შეხება ყოველად და-



უშვებელია.

განვითარებად ქვეყნებში მანვე პესტიციდების გამოყენება გლობალური პრობლემაა, მით უფრო, რომ შედეგები ჩვენი პლანეტის მოსახლეობის თითქმის ნახევართანაა კავშირში. არანაკლებ აქტუალურია მათი გავლენა ოზონის გარსზე.

აშშ და გერმანიის მოსახლეობის შექცეულმა ფენამ უკვე დიდი ხანია უარი თქვა პესტიციდებით მოყვანილ კვების პროდუქტებზე. ისინი კვების პროდუქტებს: განსაკუთრებით ხილს, ბაღჩეულს, ბოსტნეულს „Natur Product“-ის მაღაზიებში ყიდულობენ.

ყოველმა ჩვენთაგანმა, პესტიციდების გამოყენებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ მისი ნორმები ისევე საყურადღებოა, როგორც წამლის. ის ერთდროულად შხამიც არის და სამკურნალო საშუალებაც ცოცხალი ორგანიზმებისათვის. ამიტომ აუცილებელია მოსახლეობას ელემენტარული ცნობები მაინც მივაწოდოთ პესტიციდების შესახებ და მათ გამოყენებაზე. უნდა დაიბეჭდოს სპეციალური ბროშურები, ბუკლეტები საქართველოში ფართოდ გამოყენებულ პესტიციდებზე, მათთან მუშაობის უსაფრთხოებაზე, ნორმებზე, ინდივიდუალობაზე, რათა ყველასათვის ცნობილი ქართული მარკის კვების პროდუქტი ქართული ჩაი, ღვინო პესტიციდების ნარჩენებით დაბინძურებული არ აღმოჩნდეს.

საჭიროა, სურსათის უვნებლობის სამსახურმა გაითვალისწინოს, რომ პესტიციდებით დაბინძურებული კვების პროდუქტები საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას და დადგენილ იქნას პესტიციდების ზღვრულად დასაშვები ნორმები კვების პროდუქტებში და ეს ინფორმაცია დროულად მიეწოდოს მოსახლეობას.

შხამქიმიკატების ნორმირებული და მიზანდასახული მოხმარებით თავიდან ავიცილებთ უარყოფით შედეგებს, საკვებ პროდუქტებში პესტიციდების და მათი ნარჩენების მოხვედრას. ჩვენი ჯანმრთელობა ბევრადაა დამოკიდებული ჯანსაღ საკვებზე.

ლიტერატურა

1. ე.გამყრელიძე. პესტიციდები. თბილისი, 2002 წ.
2. П.Ревель, Ч.Ревель. Среда нашего обитания. кн.1. Народонаселение и пищевые продукты. М.Мир.1994г.
3. Н.Мельников. Пестициды. М.Химия. 1997г.
4. И.Рогов, И.Дунченко. Безопасность продовольственного сырья и пищевых продуктов. М.2007г.
5. www.dic.academic.ru/dic.nsf/enc1p/36630
6. <http://www.medichelp.ru/posts/view/6013>



PESTICIDES AND FOODS

Gamkrelidze E.

Akaki Tsereteli State University

Summary

Pesticides are the chemical substances intended for protecting of plants and animals from any pests. They can get into the human organism in different ways. The foods containing the pesticides or their waste represent the particular risk for human health. The prohibited toxic pesticide DDT has been found in organisms of people together with foods. They have been found in the drinking water as well.

In the whole world a high profile is given to introducing the rationing of pesticides in the vegetable and animal foods. Their quantity must not exceed the permissible level approved by public health services.

РАЗРАБОТКА ТЕХНОЛОГИИ ФУНКЦИОНАЛЬНОГО МНОГОКОМПОНЕНТНОГО ПРОДУКТА НА ЗЕРНОВОЙ ОСНОВЕ

Гатаулина Ю.Р.

ГОУ ВПО Московский государственный университет прикладной биотехнологии

Данная работа посвящена разработке многокомпонентного продукта функциональной направленности. Согласно результатам проведенных исследований в мире гигиенистов установлено, что создание продуктов из растительного сырья с антикарциесным эффектом- актуально и современно. Моделирование и проектирование состава готового продукта на основе смеси зерновых культур проводили по принципу мюсли. В качестве функциональной добавки подобран сублимированный порошок листьев петрушки с высоким содержанием фторид ионов.

В настоящее время широко обсуждаются вопросы о способах профилактики и методах лечения алиментарных заболеваний, обусловленных дефицитом макро и микроэлементов. Проводимые медицинские исследования по изучению стоматологического статуса различных возрастных групп населения продемонстрировали, что большинство людей имеет неудовлетворительное состояние зубов, не уделяет должного внимания ежедневной гигиене полости рта и несвоевременно обращается за квалифицированной помощью к специалистам.

С целью повышения потребления фторидов производят как фторированную



воду, так и фторированную соль, при этом используют синтетические соединения фтора. Известно, что традиционными природными источниками фторидов ионов являются грузинский черный чай, морская рыба, орехи, зелень петрушки. Свежая зелень петрушка содержит более 20 мг/ 100 г, в сухом виде концентрация фторид достигает 75 мг/ 100г.

С учетом того, что в последнее время возрос интерес к продуктам быстрого перекуса (чипсы, снеки) является актуальной разработка композиция зернового батончика мюсли. Мюсли подразделяют на две группы. Первую можно приобрести в пакетиках в виде смеси сухофруктов и злаков, готовых к употреблению. Чтобы продукт был вкуснее, в него добавляют сок, молоко или йогурт.

А что касается второй группы, то она появилась совсем недавно. Это батончики мюсли, рецепт приготовления которых требует наличия следующих ингредиентов: сухофруктов, фруктозного сиропа, меда, патоки и в некоторых случаях — шоколада.

Батончики мюсли относятся к новому поколению функциональных продуктов питания, как сбалансированный источник пищевых волокон, микроэлементов, витаминов. Мюсли в их современном виде стали популярны в западных странах, начиная с 1960-х годов, когда все больше возрастала заинтересованность в здоровом питании и диетах.

По мнению большинства диетологов, с каждым приемом пищи человек должен получать полный комплекс полезных веществ. Мюсли - как раз такой комбинированный продукт, который содержит и витамины, и аминокислоты, и белки, и жиры, и минеральные вещества. Основной компонент любых смесей мюсли - зерна или хлопья пшеницы, ржи либо овса. Стоит отметить, что целью потребления батончика не является замена основных компонентов пищевого рациона, а заключается в дополнении биологическими активными компонентами.

Основу разработанной рецептуры батончика составляют экструдированные овсяные, рисовые, гречневые хлопья, имеющие высокую пищевую ценность. Выбранные хлопья богаты клетчаткой, витаминами (В1, В2, В6, РР, Е), минеральными веществами (калий, фосфор, железо, натрий, кальций, магний). По содержанию клетчатки овсяные хлопья относятся к продуктам с очень большим количеством (в 100г хлопьев - 2,8г клетчатки). Клетчатка относится к неусвояемым углеводам, которые стимулируют двигательную функцию кишечника, желчеотделение, создают чувство насыщения, способствуют выведению из организма холестерина. Кроме того, внесение в состав продукта вкусо-ароматические добавок (сушеная вишня, сушеная малина) повышает биологическую ценность готового продукта. Добавление сублимированной петрушки 3 г/ 100 г продукта позволяет удовлетворить в количестве порядка 30% суточные потребности человеческого организма во фторе. Кроме того, применение фруктозного сиропа способствует не только приданию



готовому продукту сладости, позволяет не активировать в полости рта жизнедеятельность молочно-кислых бактерий, вызывающих кислотную атаку эмали зубов, и тем самым фруктоза не обуславливает развитие кариеса зубов.

В заключении следует отметить, что употребление батончика возможно в качестве второго завтрака и полдника, а также перед физической нагрузкой, поскольку энергетическая ценность, составляющая около 400-600 кДж, является достаточной для того, чтобы покрыть энергетические требования человеческого организма между основными приемами пищи.

DEVELOPMENT OF TECHNOLOGY FUNCTIONAL MULTICOMPONENT BASED ON THE CORN- PRODUCT

Gataulina Y.R, graduate student

GOU VPO Moscow State University of Applied Biotechnology

Summary

This work is dedicated to the development of technology of multicomponent high nutritional product. According to global studies hygienists found that the establishment of herbal products with anticariogenic effect, contemporary and modern. Modeling and design of the finished product based on a mixture of crops was carried out on the basis of muesli. As a functional additive selected freeze-dried powder, parsley leaves with a high content of fluoride ions.

ენდროს საღებარეობის გამომყენების შესაძლებლობა ხორცპროდუქტების შესაღებად

გოგისვანიძე ჯ.ვ., ფორჩხიძე ა.დ., ყიფიანი ლ.გ., გოგისვანიძე ლ.ვ.
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შესწავლილია ენდროს ფესვებიდან მიღებული წითელი საღებარეობის გამოყენების შესაძლებლობა ხორცპროდუქტების შესაღებად.

დადგენილია, რომ ენდროს ფესვებიდან მიღებული საღებარეობის 40-50%-იანი წყლიანი ექსტრაქტი წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ ხორცპროდუქტების შესაღებად, ამჟამად გამოყენებული სელიტრის ნაცვლად.

ხორცპროდუქტებისათვის სასაქონლო სახის მისაცემად ხშირად გამოიყენება არაორგანული და სინთეზური საღებარეობი, როგორცაა ნატრიუმის ნიტრიტი-სელიტრა, ტარტრაზინი და სხვა რომელთა გამოყენება ძლიერ შეზღუდულია კანცეროგენული თვისებების გამო. გარკვეული შეზღუდვებით



დაშვებულია გამოყენებული იქნეს ტარტრაზინი (E 102), ყვითელი (E 110), კარმაიზინი (E 122), ერიტროზინი (E 127), ინდიგოტინი (E 132), მწვანე (E 142). [1]

აღნიშნული საღებარებიდან ხორცპროდუქტების წარმოებაში ძირითადად გამოიყენება სელიტრა ანუ ნატრიუმის ნიტრიტი. ნიტრიტებისა და ნიტრატების მაგნე ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე ფართოდაა ცნობილი, რის გამოც ბუნებრივია დაისვა მათი შეცვლის საკითხი ბუნებრივი საღებარებით, რომლებიც არა მარტო შეუნარჩუნებს ხორცპროდუქტებს ბუნებრივ დამახასიათებელ შეფერილობას, არამედ გაამდიდრებს ბევრი სასარგებლო ნივთიერებით.

თითქმის ყველა მცენარე შეიცავს ამა თუ იმ შეფერილობის მქონე პიგმენტებს, რომელთა რაოდენობა 100 აღწევს. მათ შორის მხოლოდ 11 არის ფართოდ გავრცელებული და განსაზღვრავს ბუნების მრავალფეროვნებას. მღებავი პიგმენტების მთავარი ფუნქცია არის ყვავილებისა და ნაყოფის ფერის ფორმირება, მაგრამ რა ფუნქცია შეიძლება ჰქონდეს მღებავი ნივთიერებების ყოფნას ფოთლების, ფესვების ან ბოლქვების შემადგენლობაში. ზოგი მეცნიერის აზრით მღებავი ნივთიერება ზრდის მცენარეთა მდგრადობას სხვადასხვა დაავადებათა მიმართ. მაგ. როგორცაა მცენარეთა სოკოვანი დაავადებები. ბოლო ხანებში გავრცელდა აზრი, რომ მღებავი პიგმენტები გვევლინება ზრდის რეგულატორის როლში [2]. მიუხედავად იმისა, რომ მღებავი პიგმენტები დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი მცენარის სხვადასხვა ნაწილში, მათი ძირითადი როლი ჯერ-ჯერობით გაურკვეველი რჩება, განსაკუთრებით ეს ეხება ანტრაქინონულ პიგმენტებს, რომლებიც მრავლად მოიპოვება ენდროს ფესვებში. ანტოციანები, რომლებიც ანიჭებენ ფერს მრავალი სახის კვების პროდუქტს, იმდენად მნიშვნელოვანია ესთეტიკური თვალსაზრისით, რომ იძულებულნი ხდებიან მთელ რიგ შემთხვევებში მიიღონ გარკვეული ღონისძიებები მათი შენარჩუნების მიზნით. ბევრი ფლავონოიდური ნაერთი მონაწილეობს პროდუქტების გემოსა და არომატის ჩამოყალიბებაში. მღებავი პიგმენტების აღნაგობასა და კვების პროდუქტების გემოს შორის დამოკიდებულება შესწავლილი იყო ჰოროვიცის მიერ [3]. ფლავონოიდური პიგმენტები ადვილად გამოდის ადამიანის ორგანიზმიდან. ასე, მაგალითად რუთინი გარდაიქმნება კვერცეტინად, რომელიც შემდეგ იშლება უფრო მარტივ ფრაგმენტებად და გამოდის ორგანიზმიდან. ამრიგად, ბუნებრივი საღებარების გამოყენება კვების პროდუქტების შესაღებათ დამატებით პრობლემებს ადამიანის ორგანიზმს არ უქმნის.

ხორცპროდუქტების შესაღებად ჩვენს მიერ გამოცდილი იყო ქართული ენდროს ფესვებიდან მიღებული წყლიანი ექსტრაქტი. ენდრო (*Rubia tinctorum L. var Iberica Fisch ex.Dc*) მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, მისი ცენტრალური ძლიერი ფესვი განტოტვილია და შეიცავს 3-26% ანტრაქინონებს, როგო-



რიცაა პიბერეცინი, 3-გლუკოზიდლუტიდინი, ალიზარინი, რუტიდინი, პურპურინი, ლუციდინი, 3-0-პრიმვერაზიდრუბაიდინი, გალიოზინი, 1-0-გლუკოზიდ-ფსევდოპურპურინი, ნორდამნოკანტოლი.

ენდროს ფესვებიდან მიღებული წყლიანი ექსტრაქტის ფერის ინტენსივობა არ არის დამოკიდებული ტემპერატურაზე, მდგრადია ფერმენტატული და სხვა ზემოქმედების მიმართ. საღებარის დიდი ულუფებიც კი არ ცვლის შესაღები პროდუქტის გემოსა და არომატს. იგი არა მარტო აძლევს კვების პროდუქტებს დამახასიათებელ სასიამოვნო ფერს, არამედ ხელს უწყობს ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე მრავალ სასარგებლო პროცესს. ცნობილია, რომ ენდროს ფესვებიდან მიღებული ექსტრაქტები გამოიყენება თირკმლებისა და ნაღვლის ბუშტის კენჭოვანი დაავადებისა და ნიკრისის ქარების სამკურნალოდ. მას გააჩნია დიურეტიკული და სპაზმოლიტიკური თვისებები. დადგენილია, რომ ენდროს პრეპარატები ხელს უწყობენ ფოსფორმჟავას და სხვა მარილების ორგანიზმიდან გამოდევნას, აგრეთვე ოქსალატების, ფოსფატების და ურეატების გახსნას, რაც ამ პრეპარატში ანტრაგლიკოზიდების შემცველობითაა განპირობებული. ფესვაკვებში არსებული გლიკოზიდების გახლეჩვით მიიღება საღებარი ნივთიერებები ალიზარინი, ქსანტოპურპურინი, რუბაიდინი და სხვები, რომლებიც ძლიერ და მდგრად წითელ ფერად ღებავენ ქსოვილებს, კვების პროდუქტებს და კოსმეტიკურ საშუალებებს.

გასუფთავებულ, გამხმარ ენდროს ფესვებს გულდასმით ვაქუცმაცებდით. ექსტრაქციას ვახდენდით ცხელი წყლის საშუალებით, რომელსაც ვუმატებდით სოდას ტუტე არის შესაქმნელად. 1-1,5 საათის დუღილის შემდეგ ექსტრაქტს ვფილტრავდით ნუტჩ-ფილტრში და ვასქელებდით ვაკუუმ-ამაორთქლებელ აპარატში 45-50% მშრალი ნივთიერების შემცველობამდე. შესქელებულ ექტრაქტს სხვადასხვა დოზით ვუმატებდით საძეხვე ფარშს. ფარშიდან მზადდებოდა სხვადასხვა სახის ძეხვი.

შეღებვის ხარისხს და ორგანოლეპტიკურ მანვენებლებს ვამოწმებდით როგორც ვიზუალურად, ასევე გემოთი და არომატით. საკონტროლო ძეხვი შეღებილი იყო სელიტრით. ცდების შედეგები გვიჩვენებს, რომ ძეხვი შეღებილი ბუნებრივი საღებავით თავისი ვიზუალითა და ორგანოლეპტიკური მანვენებლებით ახლოს დგას საკონტროლო ნიმუშთან.

ამრიგად, შეიძლება გავაკეთოთ წინასწარი დასკვნა, რომ ენდროს ფესვებიდან მიღებული საღებავი წარმატებით შეიძლება გამოყენებული იქნას სხვადასხვა სახის ხორცპროდუქტების შესაღებათ.

ლიტერატურა

1. Walford I. 1978. Synthetic colourings for food "Int. Flavours and Food Addit". 9, №5.
2. Mumford F.E., Smith D.H., Castle I.E. Plant Physiol. 36, 752, 1961.
3. Horowitz R.M. In Biochemistry of phenolic Compounds. p. 545, Academic Press. New York. 1964.



USAGE OF MADDEN COLOURINGS POSSIBILITIES FOR DYING MEAT PRODUCTS

Gogisvanidze I.V., Porchkhidze A.D., Kipiani L.G., Gogisvanidze L.V.

Akaki Tsereteli State University

Summary

Is learnt the receiving process of natural colourings from Georgian madden and its usage to dye meat products instead of natrium substances.

It's fixed that 40-50% watery extracts consisting of dry substances are made of possible to use them to dye sausages and other meat products.

სასურსათო უსაფრთხოების და ჯანსაღი კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის პრობლემები საქართველოში.

გოძიაშვილი ბ. ა., ჩებოტარიოვა მ. გ.

ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალი.

რეფორმების პერიოდში საქართველოში მოხდა სიტუაციის მკვეთრი გამწვავება აგროსამრეწველო კომპლექსის სასურსათო სექტორში, რომელიც შეიძლება შეფასებულ იქნეს, როგორც ღრმა კრიზისული. ქვეყანამ გადააბიჯა სასურსათო უსაფრთხოების განმსაზღვრელ დასაშვებ საზღვრებს. სურსათის იმპორტის მკვეთრმა ზრდამ არ მოახდინა მისი წარმოების შემცირების კომპენსირება.

მოცემულია ზივიერთი მოსაზრებანი სამამულო სოფლის მეურნეობის ჯანსაღი კვების პროდუქტების წარმოებისათვის.

ბუნება, რომელიც სწავლობს ბიოლოგიური მეცნიერებების მთელ ერთობლიობას უკვე ისეთი აღარ არის, როგორც იყო უწინ. ადამიანი გაიზარდა თავისი სიძლიერით, ბუნებას უკვე აღარ შეუძლია წაშალოს ადამიანის მოღვაწეობის კვალი. უკვე დიდი ხანია ადამიანის ძალაუფლება ბუნებაზე დიდად აჭარბებს სხვა სახეების ზემოქმედებას, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ის უკვე აღარ იმყოფება წონასწორობაში გარემო არესთან. ყველაფერი ხდება ისე, რომ თითქოს ადამიანი ჩასახლდა იმიგრანტის სახით ხელსაყრელ და სრულიად უბიწო არეში. ადამიანების რიცხოვნების ზრდა ჯერ კიდევ მიდის ექსპონენციალური კანონით. (1). არ უნდა დიდი წინასწარმეტყველება იმას, თუ



რა უამრავი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემების წინაშე დგას კაცობრიობა მომავალში. საკმარისია გავითვალისწინოთ კვების პროდუქტებზე მოთხოვნილების პრობლემა, განპირობებული მოსახლეობის ზემოდაღები რიცხოვნობით. უწინარეს ყოვლისა, სანამ ადამიანი იპოვის ამ პრობლემის გადაწყვეტის რადიკალურ გზებს, საჭიროა სასწრაფოდ, თუნდაც პალლიატიური საშუალებების გამოხატვა, რომლებიც მოგვცემენ უფლებას უზრუნველყოთ ხვალინდელი ადამიანის სიცოცხლე. მაგრამ, რომ ვიმოქმედოთ ამისათვის უნდა ვიცოდეთ.

კაცობრიობის სულ უფრო მზარდმა პროცესმა უკვე წარმოშვა არასასურველი მოვლენები და საჭიროა სულ ცოტა, რომ მან მიგვიყვანოს კატასტროფამდე. ყველაზე უმთავრესი მდგომარეობს იმაში, რომ მილიარდობით ადამიანთა მასისათვის აუცილებელია საკვების უდიდესი რაოდენობა, რომელიც ყველა დროს იყო ძნელად მოსაპოვებელი და მომავალშიც ამ ამოცანის შესრულება არ გახდება იოლი.

უნდა ვიცოდეთ, რომ ხმელეთის მხოლოდ მცირე ნაწილი შეიძლება გადააქციოს რენტაბელურ სახნავად, ამასთან მისი ფართობის სწრაფი გადიდება შეუძლებელია, ყოველ შემთხვევაში ეს ზრდა მიმდინარეობს გაცილებით ნელა, ვიდრე მოსახლეობისა. ეს ბრწყინვალედ შენიშნა მალთუსმა მე-19-ე საუკუნის დასაწყისში. მსოფლიო მეცნიერების გამოკვლევებით, საკვების რაოდენობა დედამიწაზე, ხმელეთისა და ზღვის ყველა შესაძლებელი რესურსების გამოყენებითაც კი არ შეიძლება გავზარდოთ 10-ჯერ მეტად, ამასთან ეს მაქსიმალური მაჩვენებელია. (1).

საქართველო ოდითგანვე ითვლებოდა აგრარულ ქვეყანად, რომელსაც გააჩნია ბუნებრივ-კლიმატური რესურსების უზარმაზარი პოტენციალი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. აქ შესაძლებელია ხორბლის, სიმინდის, ყურძნის, ჩაის, ციტრუსების, ხილის, ბოსტნეულის და სხვ. ეკოლოგიურად სუფთა უამრავი პროდუქციის მოყვანა, როგორც საკუთარი მოხმარებისათვის, ისე საექსპორტოდ. ქვეყანას მეღვინეობის განსაცვიფრებელი ტრადიციები აქვს. აქ მეცხოველეობის განვითარების კარგი პირობებია. უნდა აღსდგეს მეფუტკრეობა. ქართული ფუტკრის მსოფლიო აღიარება დადასტურდა მეფუტკრეობის საერთაშორისო კონგრესებზე. საქმე იქამდე მივიდა, რომ ქართული ფუტკრის ჯიშობრივი სიწმინდისათვის საქართველოს ტერიტორია 1958 წლიდან გამოცხადებული იყო ნაკრძალად.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობაზე, მათ შორის სოფლის მეურნეობაზეც. სასურსათო უსაფრთხოება მნიშვნელოვანია ქვეყნის სტაბილურობისა და პროგრესისათვის, ეს არის მოსახლეობის უზრუნველყოფა კვების პროდუქტებით საერთაშორისო ნორმებისა და სტანდარტების შე-



საბამისად, მიუხედავად საშინაო და საგარეო საშიშროებისა, ოღონდ ეს მიზანი აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებისადმი მიუწვდომელია.

საგანგაშოა, რომ ასეთ ხელსაყრელ ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში, სასოფლო-სამეურნეო მიწების უდიდესი ნაწილი წლობით დაუმუშავებელია. ქვეყანაში ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი შიმშილობს. შიმშილობის მეცნიერული განმარტება ასეთია- შიმშილობს ის ადამიანი, რომელიც ვერ იღებს ცილებისა და ცხიმების შესაბამის რაოდენობას.

2009 წლის შემაჯამებელი სტატისტიკური მონაცემებით საქართველოში ორჯერ შემცირდა ხორბლის ნათესი ფართობები, რის შედეგადაც ხორბლის პროდუქციის წარმოება ოთხჯერ შემცირდა. ჩვენ ხორბლის 90 პროცენტი შემოგვაქვს უცხოეთიდან. კარტოფილის ნათესი ფართობები შემცირდა ორჯერ, კარტოფილის პროდუქტების წარმოება კი 2,5-ჯერ. ამ ფონზე ორნახევარჯერ გაიზარდა კარტოფილის იმპორტი. ასე და ამგვარად ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების იმპორტმა საგანგაშო ზღვარს მიაღწია, შემოდის იაფფასიანი საკვები პროდუქტები. ქვეყანაში არ არსებობს არავითარი კონტროლი საკვები პროდუქტების ხარისხის სფეროში. საჭიროა გაკეთდეს გენმოდულიზირებული პროდუქტების იდენტიფიცირება, მოსახლეობა საქმის კერაში უნდა იყოს რას ჭამს.

წელს გარკვეული ნაბიჯი გადაიდგა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, ხელისუფლებამ 150 მილიონი ლარი გამოყო.

საჭიროა დამყარდეს ნორმალური ფასები მიწის გადასახადზე. არ უნდა დავუშვათ ტყეებისა და მიწის გაყიდვის ფაქტები უცხოელებზე.

მეცნიერების კვლევებით მსოფლიოში მიდის გლობალური დათბობის პროცესი. უკვე მილიონობით ტონა (2 ტრილიონი ტონა) ყინული დადნა, გოლფსტრიმი თითქმის გაჩერებულია და თუ საწინააღმდეგო მიმართულებით დაიწყო დინება, პლანეტის კლიმატური ზონები ადგილებს გაცვლიან, რის გამოც ევროპა ყინულით დაიფარება. საბედნიეროდ ეს ბუნებრივი კატაკლიზმები კავკასიას ნაკლებად შეეხება, რის გამოც მიწას იქროს ფასი დაედება. ჩვენი პატრიარქიც ქადაგებს სოფლებისაკენ დაბრუნებას. უდაბნოს მკვიდრნი საკუთარ მიწას ამწვანებენ, ჩვენ კი მწვანეში ჩაფლულ მამულს ვაუდაბნოებთო.

უკვე 20 წელია მიტოვებულია ჩაის პლანტაციების ათასობით ჰექტარი, რომლის გამოყენება არ ხდება, ხალხი კი შიმშილობს. ჩვენი აზრით აუცილებელია საქართველოში ჩაის წარმოების აღდგენა, რომლის განხორციელებით საექსპორტო პროდუქციაც გვექნება და ხალხიც დასაქმდება. ჩვენგან წადებული ჩაის თესლით და ნერგებით ჩაის მრეწველობა აზერბაიჯანში და თურქეთში აღმავლობის გზაზეა. ჩაის წარმოება საქართველოში უნდა აღსდგეს არა იმ მასშტაბებით რომელიც იყო. იქ სადაც სხვადასხვა მიზეზების გამო



ჩაის ბუჩქმა ნორმალურად ვერ გაიხარა, უნდა შეიცვალოს სხვა კულტურებით, რომელთა გაშენების ტექნოლოგიებიც დამუშავებულია ჩაის, სუბტროპიკული კულტურებს და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალის აგროქიმიკოსების მიერ. (2,4,5).

საგულისხმოა, რომ საქართველოში წელს შემოიტანეს ამერიკული ჰიბრიდული ჯიშის სიმინდი. ჩვენი აზრით ამ ჰიბრიდული ჯიშის მასიურ შემოტანამდე, უნდა ჩაგვეერთო მეცნიერება, რათა მოგვეწყო მისი გამოცდა საცდელ ნაკვეთებზე მინიმუმ 2 წლის განმავლობაში.

სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ სხვა ქვეყნებიდან შემოტანილ სასოფლო-სამეურნეო ჯიშების თესვებს, ჩვენ გვაქვს ჩვენს მიწაზე გამოყვანილი სასოფლო-სამეურნეო კულტურების უნიკალური ჯიშები. გენმოდირეცირებული თესლის გავრცელება დიდ საფრთხეს უქმნის სოფელს და გლეხს. გენმოდირეცირებული პროდუქცია იწვევს ათასგვარ გადახრას და მუტაციას. გენმოდირეცირებული მცენარის მტვრით შეიძლება ჯანსაღი მცენარეც «მუტანტად» გადაიქცეს, გადაგვარდეს.

მსოფლიოში სულ უფრო იზრდება ადამიანთა რიცხვი, რომელთაც ესაჭიროებათ უმაქრო დიეტა, ან ზოგ შემთხვევაში შაქრის მოხმარების მკვეთრი შემცირება. შაქრის დოზის შემცირება ან მოხმარების აკრძალვა მენიუში ადამიანებს უქმნის დისკომფორტს, რადგანაც ლტოლვა სიტკბოსადმი ქვეცნობიერი მოვლენაა. ამასთან დაკავშირებით დიდი გამოყენება ჰპოვა ქიმიური გზით შექმნილმა შაქრის შემცველებმა, რომელთა მოხმარება, ბოლო დროის გამოკვლევებით საფრთხეს წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

სამხრეთ ამერიკის ბალახოვანი მცენარე სტევია უძველესი დროიდან გამოიყენება საკვები პროდუქტების დასატკბობად. სტევიას ფოთლებში შედის 5-დან 15 პროცენტამდე ლიტერპენული გლიკოზიდები- სტევიოზიდი და რებაუდიოზიდი, რომელთა სიტკბო 300-400-ჯერ აღემატება საქაროზისას და წარმოადგენს უკალორიო დამატკბობლებს. ჩვენს მიერ დამუშავებულია ამ მცენარის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია სუბტროპიკული კლიმატის პირობებში და რიგი ტექნოლოგიური პროცესებისა მისი გამოყენებით საკვები პროდუქტების დასატკბობად.(3).

ჩვენ ვფიქრობთ სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის საჭიროა წვრილ-წვრილი ფერმერების გაერთიანებით მსხვილი ფერმერული მეურნეობებს დაფუძნება, მათთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა წარმატებული საქმიანობისათვის, წახალისება აგრარული სფეროს შედარებით პერსპექტიული სექტორების.

უმთავრესია ამაღლდეს აგრარული მეცნიერების განვითარების დონე, მისი სწავლება, რათა პროფესიული და საქმის მცოდნე ადამიანები მივიღოთ.



გამოყენებული ლიტერატურა.

1. Дажо. Основы экологии. М., 1975, с.161.
2. ბ. გოძიაშვილი., მ. ჩებოტაროვა. სასუქების შესაძლო უარყოფითი გავლენა წითელმიწა ნიადაგების ნაყოფიერებაზე.საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები. ქუთაისი, 2010 წ. გვ. 161-162.
3. ბ. გოძიაშვილი., მ. ჩებოტაროვა. სტეფია-შაქრის შემცველი, დიაბეტით დაავადებულთათვის. ბათუმი, 2010 წ. 48 გვ.
4. ბ. გოძიაშვილი., მ. ჩებოტაროვა. ჩაის ძველი, ამორტიზებული პლანტაციებიდან გამოთავისუფლებული ნიადაგების ნაყოფიერების ამაღლების ტექნოლოგია მანდარინის პლანტაციის გასაშენებლად. ჩაქვი, 2007 წ. 18გვ.
5. ჩაის ძველი, ამორტიზებული პლანტაციებიდან გამოთავისუფლებული ნიადაგების ნაყოფიერების ამაღლების ტექნოლოგია ფეიჰოას და კივის პლანტაციების გასაშენებლად. ჩაქვი, 2007 წ. 19 გვ.

THE PROBLEMS OF FOOD SAFETY AND SUPPLY WITH HEALTHY FOOD-STUFF IN GEORGIA.

Godziashvili B. A., Chebotareva M. V.

Chaqui Branch of the Institute of Tea, Subtropical Crops and Tea Industry.

Summary

The problems of supply with food-stuff for humanity are given in this article. Food-stuff is the major and unusual conditions for the life of each person and society. The scientists should protest against danger of the starvation in order to decrease the increasing number of hungry people. The situation in the agro-industrial food sector was sharpened during the periods of reforms. The situation might be valued as the deepest crisis. The abrupt increasing of food-stuff import did not affect the decreasing of its production.

აჭარის ენდემის – მცენარე წყავმაზას ფენოლური ნაერთების რაოდენობრივი ცვალეზალობა

ვანიძე მ., ჯაფარიძე ი., ქარცივაძე ი., სურმანიძე ნ.

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

განხილულია აჭარიწყლის ხეობისა და შუახევის ტერიტორიაზე გავრცელებული აჭარის ენდემის – მცენარე წყავმაზას რეპროდუქციულ ორგანოებში (ფოთოლი, ნაყოფი) ფენოლური ნაერთების (ფლავონოიდები, კატექინები, ლეიკოანტოციანები, ანტოციანები) რაოდენობრივი შემცველობა.

აჭარის ფლორა გამოირჩევა განსაკუთრებული მრავალფეროვნებითა და თავისთავადობით, რაც განპირობებულია მესამეულ პერიოდში ჩამოყალიბ-



ბებული უძველესი მცენარეული დაჯგუფებებითა და რელიქტური სახეობების სიმდიდრით (2,3).

აჭარის მცენარეულ ეკოსისტემაში ენდემურ ფლორას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. რეგიონის ენდემური ფლორის მრავალფეროვნება 218 სახეობით განისაზღვრება, რაც აჭარის მთელი ფლორისტული შემადგენლობის 11%-ს შეადგენს (2,3). ენდემური სახეობები ყველა ფლორის სპეციფიკური შემადგენელი ნაწილია და სწორედ მათ საფუძველზე ხდება ფლორის აბსოლუტური განსხვავების დადგენა. შესწავლილი იქნა ზოგიერთი მათგანის ზოგიერთი ფენოლური ნაერთის თვისობრივი შედგენილობა (1). ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა ერთ-ერთი ადგილობრივი რელიქტის, ენდემის – მცენარე წყავმაზას ნაყოფისა და ფოთლის ფენოლური ნაერთების რაოდენობრივი შემადგენლობა.

კვლევის ობიექტს წარმოადგენდა აჭარის მთიან ზონაში გავრცელებული მცენარე წყავმაზა – *Pillyrea medwedewii* Sred (*Pillyrea decora* Boiss, *Osmanthus decorus* Kasapligii), ლაზეთის ვიწრო ენდემურ სახეობა. ის მიეკუთვნება ზეთისხილისებრთა ოჯახს (1,4).

მარადმწვანე პატარა ზომის ხე ან ბუჩქია 5 მ-მდე სიმაღლის; ფოთლები დიდი ზომისაა, 6 – 12 სმ სიგრძის მოგრძო-კვერცხისებრი ან მოგრძო ლანცეტური ფორმის, ძირში შევიწროებული, უფრო იშვიათად მომრგვალო. მოკლე მსხვილყუნწიანი, ტყავისებრი, ფოთლის ფირფიტა ორივე მხარეზე წვრილწერტილოვანია. ყვავილები კონებადაა განწყობილი ფოთლის იღლიებში: ყვავილის ყუნწები წვრილია, გვირგვინის ფურცლები მოგრძოა, მკრთალი ყვითელი ფერის. კურკიანა ელიფსურია, 10-14 მმ სიგრძის შავი ლევა ფერის, წვერზე პატარა ზომის სვეტია შერჩენილი, რის გამოც ნაყოფი წაწვეტებული ჩანს. კურკიანა ადვილად ტყდება, ერთთესლიანია. მცენარე ყვავილობს აპრილ – მაისში. წყავმაზა წარმოადგენს სურნელოვან მარადმწვანე მცენარეს და მისი გამოყენება ძირითადად ხდება დეკორატიულ მებაღეობაში (4,5). ველურ ბუნებაში წყავმაზა გვხვდება მთის ქვედა სარტყლის ტყეებში: აჭარის წყლის ხეობა, სარფი, ჩაქვი და სხვა (5).

კვლევის მეთოდები – საანალიზოდ აღებული ნიმუშის ექსტრაქცია კატექინების, ლეიკოანტოციანებისა და ფლავონოიდებისათვის ხორციელდება და სხვადასხვა კონცენტრაციის სპირტიანი წყალხსნარით (40%-დან 70%-მდე) 60-80⁰ C-ის ტემპერატურის პირობებში. ანტოციანებისათვის კი –20⁰ჩ ტემპერატურაზე ექსტრაქტის სრულ გაუფერულებამდე.

ფენოლური ნაერთების რაოდენობრივ განსაზღვრას ვახდენდით სპექტრალური მეთოდით, შესაბამის საკალიბრო მრუდზე გადაანგარიშებით: ფლავონოიდებისათვის რუთინზე, კატექინებისათვის (+)კატექინზე, ლეიკოანტოციანებისათვის ციანიდინზე, ანტოციანებისათვის კი ნაყოფისაგან მიღე-



ბულ ჯამურ ანტოციანებზე. ნაერთთა კონცენტრაცია გამოსახულია მგ/100გ-ში (6).

საანალიზო ნიმუში აღებულ იქნა აჭარისწყლის ხეობის (სოფ. მახუნცეთი) ტერიტორიაზე ოქტომბრში, შუახევში კი ნოემბერში. შესაბამის პერიოდში იქნა აღებული ფოთლებიც.

მცენარე წყავმაზას ფოთოლში ფენოლური ნაერთების რაოდენობრივმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ ორივე ტერიტორიაზე (შუახევი, აჭარისწყლის ხეობა) აღებულ ნიმუშში კატექინები და ლეიკონტოციანები გაცილებით მცირე რაოდენობით არიან წარმოდგენილი, ვიდრე ფლაავონოიდები. კერძოდ, კატექინები 55 – 62, ლეიკონტოციანები 100 – 155, ხოლო ფლაავონოიდები 1900 – 2250 მგ/100გ-ში მშრალ მასაზე გადაანგარიშებით (ცხრილი1).

ცხრილი №1

ფენოლურ ნაერთთა რაოდენობრივი შემადგენლობა წყავმაზას ფოთოლში

ნიმუშის დასახელება		ფლაავონოიდები მგ/100გ-ში		კატექინები მგ/100გ-ში		ლეიკონტოციანები მგ/100გ-ში	
		40%-ანი C ₂ H ₅ OH	80%-ანი C ₂ H ₅ OH	40%-ანი C ₂ H ₅ OH	80%-ანი C ₂ H ₅ OH	40%-ანი C ₂ H ₅ OH	80%-ანი C ₂ H ₅ OH
		შუახევის ნიმუში	ნედლ მასაზე გადაანგარიშებით	608,78	1069,93	12,28	29,76
მშრალ მასაზე გადაანგარიშებით	1106,87		1945,33	22,33	54,1	82,94	100,29
მახუნცეთის ნიმუში	ნედლ მასაზე გადაანგარიშებით	749,7	1226,55	14,73	33,89	59,94	85,91
	მშრალ მასაზე გადაანგარიშებით	1359,4	2224,02	26,71	61,45	108,69	155,78

ფოთლებისაგან განსხვავებით წყავმაზას ნაყოფი შეიცავს ანტოციანურ პიგმენტებს, რომლებიც განაპირობებენ ნაყოფის – შავ, მუქი იისფერი ელფერით შეფერილობას. მათი რაოდენობა 4000-დან 4500 - მდე მგ/100გ-შია, რაც 2 ჯერ აღემატება ფლაავონოიდების რაოდენობას და 10 – 11 ჯერ ლეიკონტოციანებისას. წყავმაზას ნაყოფი გაცილებით მცირე რაოდენობით შეიცავს კატექინებს, ნაყოფში წარმოდგენილ სხვა ფენოლურ ნაერთებთან შედარებით.



ცხრილი №2

ფენოლურ ნაერთთა რადიონობრივი შემადგენლობა წყავმაზას ნაყოფში

ნიმუშის დასახელება		ფლავონოიდები მგ/100გ-ში		კატექინები მგ/100გ-ში		ლეიკოანტოციანები მგ/100გ-ში		ანტოციანები მგ/100გ-ში	
		40%-ანი	80%-ანი	40%-ანი	80%-ანი	40%-ანი	80%-ანი	3%ლიმუ/40%	3%HCl 40%
		C ₂ H ₅ OH	C ₂ H ₅ OH	C ₂ H ₅ OH	C ₂ H ₅ OH	C ₂ H ₅ OH	C ₂ H ₅ O	C ₂ H ₅ OH	C ₂ H ₅ OH
ნიმუში	ნედლ მასაზე გადა-ანგარიშებით	212,74	397,01	10,77	15,45	51,59	80,13	527,08	871,45
	მშრალ მასაზე გადა-ანგარიშებით	1063,72	1985,08	51,31	73,56	245,66	381,55	2509,9	4149,71
მასუცენტის ნიმუში	ნედლ მასაზე გადა-ანგარიშებით	251,47	413,5	11,73	17,21	50,21	80,13	575,29	901,64
	მშრალ მასაზე გადა-ანგარიშებით	1257,33	2067,51	58,65	86,07	251,06	400,65	2876,44	4508,19

მიღებული შედეგები გვიჩვენებს, რომ აჭარის ენდემის - წყავმაზას რეპროდუქციული ორგანოები - ფოთოლი და ნაყოფი მდიდარია ფენოლური ნაერთებით და შემდგომი კვლევებით შესაძლებელი იქნება მათი გამოყენება ბუნებრივი საღებავების წარმოებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვანიძე მ., სურმანიძე ნ., ქარცივაძე ი., კალანდია ა. ხეჭრელისა და წყავმაზას ფენოლური ნაერთები. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. “სუბტროპიკული ზონის დარგების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები.” ქუთაისი, 2010.
2. მემიაძე ნ. “აჭარის ენდემური ფლორის მრავალფეროვნება” ავტორეფერატი თბილისი 2004.
3. მანველიძე ზ. მემიაძე ნ. ვარშანიძე ნ. ზღვისპირა აჭარის ველური ფლორის იშვიათი და ქრობადი სახეობები/ საქართველოს მეცნიერებათა აკა-



- დემის ბათუმის ბოტანიკური ბაღის “მოამბე” 2003,
 4. საქართველოს ფლორა, გამომცემლობა მეცნიერება, 1983.
 5. А.А. Дмитриева. Определитель растений Аджарии Том 1. «Мецниереба» Тбилиси. 1990.
 6. Методы Био-химического исследования растений. А. И. Ермакову Ленинград. 1987.

QUANTITATIVE CHANGE OF PENOLE COMPOUNDS OF ADJARA ENDEMIC - PLANT TSQAVMAZA

Vanidze M., Kartsivadze M., Japaridze I., Surmanidze N.
 Shota Rustaveli State University
Summary

It is considered of Adjaratskali valley and on the Shuakhevi territory spread Adjara endemic plant- phillyrea in reproductive organs (leaves, fruit) of phenol compounds (flavonoides, catechin, leikoantocians, antocians) quantitative content.

აღნიშნული პროექტი განხორციელებულდა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური ხელეწყოებით (გრანტი #GNSF/ST08/8-513). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.

ფენოლური ნაერთების ცვალებადობა მცენარე ხეჭრელის ვეპეტაციის პროცესში

ვანიძე მ., ქარცივაძე ი., ჯაფარიძე ი., სურმანიძე ნ., კალანდია ა.
 შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

განხილულია ფენოლური ნაერთების (ფლავონოიდები, კატექინები, ლეიკოანტოციანები, ანტოციანები) ცვალებადობა გურია-აჭარის მთიან ზონაში (შუახევი, ქობულეთი) გავრცელებული მცენარე ხეჭრელის მიწისზედა ნაწილში (ღერო, ფოთოლი, ყვავილი, ნაყოფი). დადგენილია მათი დაგროვების ვადები, ასევე დადგენილია კორელაციური კავშირი ფენოლური ნაერთების ცალკეულ ჯგუფებს შორის.

ფენოლური ნაერთები ფართოდ გავრცელებული კლასია მცენარეულ სამყაროში. ისინი მონაწილეობენ რა ფოტოსინთეზისა და სუნთქვის პროცეს-



ში, განაპირობებენ ქსოვილებისა თუ უჯრედების სიმტკიცეს და იცავენ რა მცენარეს გარემოს სტრუქტურული ზემოქმედებისაგან, წარმოადგენენ მეტად აუცილებელ კომპონენტს მცენარის თითოეული უჯრედისათვის (3,4).

ველური ბუნების ბიომრავალფეროვნების გამოსავლენად და ამასთანავე ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს ფენოლური ნაერთების დაგროვების დინამიკის შესწავლას (1,5). ამ თვალსაზრისით მრავალი საინტერესო მცენარეა, მათ შორისაა გურია-აჭარის მთიან ზონაში ფართოდ გავრცელებული, მაგრამ ნაკლებად შესწავლილი ხეჭრელი (1).

კვლევის მიზანი – შეგვესწავლა მცენარე ხეჭრელის მიწისზედა ნაწილებში ფენოლურ ნაერთთა (ფლავონოიდები, კატექინები, ანტოციანები, ლეიკოანტოციანები) შემცველობა და დაგროვების ოპტიმალური ვადები.

კვლევის ობიექტს წარმოადგენდა გურია-აჭარის ტერიტორიაზე გავრცელებული ხეჭრელი – რანგულა აღნუს I . საანალიზო ნიმუში აღებული იქნა შუახევისა და ქობულეთის რაიონში, ვეგეტაციის ყველა ეტაპზე.

რანგულა აღნუს I – ოჯახი , გვარი – რანგულა I . ბუჩქი ან პატარა ზომის ხე (6-7 მ-მდე სიმაღლის), გლუვი თითქმის სავი ფერის ქერქით. ტოტები უეკლოაყლორტები შიშველი ან ოდნავ შებუსული, კვირტები ყავისფერია. ფოთლები მორიგეობითაა განლაგებული, იშვიათად მოპირდაპირედ, მოკლე ელიფსური ან უკუკვერცხისებრი ფორმის, ერთბაშად მოკლედ თავწაწვეტებული, კიდემთლიანი, მომრგვალო ან ფართო სოლისებური ფუძით. ზედა მხარეზე მუქი მწვანე, ქვედაზე – ღია ფერის. ყვავილები (2-7) ფოთლის იდლიებშია ერთად განლაგებული. ჟამი გარედან მწვანეა, შიგნიდან თეთრი. ნაყოფი სფერულია, წვნიანი, სამი კურკით (2).

იზრდება ტყის პირებში, ქვეტყის სახით გვხვდება ფოთლოვან ტყეებში, ბუჩქნარებს შორის და ღორღიან ფერდობებზე 2000 მ-მდე ზღვის დონიდან. აჭარაში გვხვდება ბათუმის ბოტანიკურ ბაღში, ქობულეთის, ჩაქვის, ქედის და შუახევის მიდამოებში (1,2).

კვლევის მეთოდები – ფენოლური ნაერთების რაოდენობრივ განსაზღვრას ვახდენდით სპექტრალური მეთოდით, ექსტრაქტზე შესაბამისი რეაქტივების დამატებით: ფლავონოიდების შემთხვევაში – ალუმინის ქლორიდი, კატექინები – რეაქცია ვანილინთან, ლეიკოანტოციანები – შემჟავებულ ბუთანოლთან, ანტოციანები კი მჟავასთან (3,4).

საანალიზოდ აღებული ნიმუშის ექსტრაქცია ხორციელდებოდა სხვადასხვა კონცენტრაციის სპირტიანი წყალხსნარით (40%-დან 70%-მდე). შესაბამისი ნაერთის სრულად ექსტრაგირებისათვის ოპტიმალური ტემპერატურული რეჟიმის გათვალისწინებით (ფლავონოიდების, კატექინებისა და ლეიკოანტოციანებისათვის 60⁰ჩ – 80⁰ჩ, ანტოციანებისათვის –20⁰ჩ).



რაოდენობრივი განსაზღვრის შედეგად მიღებული მონაცემები გადაანგარიშებულ იქნა შესაბამის საკალიბრო მრუდზე: ფლავონოიდებისათვის რუთინზე, კატექინებისათვის (+)კატექინზე, ლეიკოანტოციანებისათვის ციანიდინზე, ანტოციანებისათვის კი შაფნაყოფა კუნელის ჯამურ ანტოციანებზე.

ცხრილი №1

ფლავონოიდების, კატექინებისა და ლეიკოანტოციანების რაოდენობრივი განაწილება ხეჭრელის სხვადასხვა ორგანოებში

ნიმუში		ფლავონოიდები	კატექინები	ლეიკოანტოციანები
		მგ/100გ-ში	მგ/100გ-ში	მგ/100გ-ში
		მშრალ მასაზე გადაანგარიშებით	მშრალ მასაზე გადაანგარიშებით	მშრალ მასაზე გადაანგარიშებით
ქობულეთის რაიონი	ყვავილი	3650,05	170,21	215,11
	ფოთოლი	5003,79	96,47	168,23
	ღერო	2138,97	109,31	163,57
შუახევის რაიონი	ყვავილი	3110,49	124,38	194,39
	ფოთოლი	4158,32	66,11	144,89
	ღერო	1803,44	89,34	150,66

ცხრილი №2

ფენოლურ ნაერთთა რაოდენობრივი ცვალებადობა ქობულეთის ტერიტორიაზე აღებული ხეჭრელის ნაყოფის ვეგეტაციის პროცესში

ნიმუშის დასახელება		ფლავონოიდები		კატექინები		ლეიკოანტოციანები		ანტოციანები
		მგ/100გ-ში		მგ/100გ-ში		მგ/100გ-ში		მგ/100გ-ში
		40%-ანი C ₂ H ₅ OH	80%-ანი C ₂ H ₅ OH	40%-ანი C ₂ H ₅ OH	80%-ანი C ₂ H ₅ OH	40%-ანი C ₂ H ₅ OH	80%-ანი C ₂ H ₅ OH	3% HCl 40% C ₂ H ₅ OH
უმწიფარი ნაყოფი-მწვანე ფერის	ნელლ მას. გადაან.	825,71	1309,93	8,25	19,92	13,95	22,71	22,14
	მშრალ მას. გადაან.	3503,22	5557,61	35,00	84,47	59,18	96,35	93,93
უმწიფარი წითელი ფერის	ნელლ მას. გადაან.	790,23	912,88	7,28	14,53	12,78	22,26	49,00
	მშრალ მას. გადაან.	2862,11	3306,3	26,36	52,62	46,28	80,62	177,47
მწიფე ნაყოფი-შავი ფერის	ნელლ მას. გადაან.	557,49	774,36	17,85	56,82	48,55	155,91	1413,18
	მშრალ მას. გადაან.	2447,27	3399,3	78,35	249,42	213,12	684,42	6203,59



ცხრილი №3

ფენოლურ ნაერთთა რაოდენობრივი ცვალებადობა შუახევის ტერიტორიაზე აღებული ხეჭრელის ნაყოფის ვეგეტაციის პროცესში

ნიმუშის დასახელება		ფლავონოიდები მგ/100გ-ში		კატექინები მგ/100გ-ში		ლეიკონტოცინები მგ/100გ-ში		ანტოციანები მგ/100გ-ში
		40%-ანი C ₂ H ₅ OH	80%-ანი C ₂ H ₅ OH	40%-ანი C ₂ H ₅ O	3% HCl 40% C ₂ H ₅ OH	40%-ანი C ₂ H ₅ OH	80%-ანი C ₂ H ₅ OH	3% HCl 40% C ₂ H ₅ OH
უმწიფარი ნაყოფი-მწვანე ფერის	ნედლ მას. გადაან.	984, 28	1428,05	11,55	24,15	19,67	30,42	–
	მშრალ მას. გადაან.	4014,19	5824,02	47,1	98,49	80,22	124,01	–
უმწიფარი ნაყოფი-წითელი ფერის	ნედლ მას. გადაან.	1188,22	1424,11	9,34	20,16	21,03	29,04	36,12
	მშრალ მას. გადაან.	4448,6	5331,74	34,96	75,47	78,73	108,72	135,23
უმწიფარი ნაყოფი-მწვანე მოწითალო ფერის	ნედლ მას. გადაან.	765,68	1072,59	6,78	15,80	8,63	16,56	58,69
	მშრალ მას. გადაან.	2990,03	4189,80	26,48	61,72	33,71	64,69	229,26
უმწიფარი ნაყოფი-შინდისფერი ფერის	ნედლ მას. გადაან.	723,58	998,55	8,66	19,89	16,74	25,73	209,09
	მშრალ მას. გადაან.	2411,93	3328,5	28,87	66,3	55,8	85,77	696,73
მწიფე ნაყოფი-შავი ფერის	ნედლ მას. გადაან.	647,69	842,28	6,01	10,22	41,58	53,56	1427,77
	მშრალ მას. გადაან.	2854,52	3712,12	26,49	45,04	183,25	236,05	6292,51

ხეჭრელის მიწისზედა ნაწილის ორგანოებში (ყვავილი, ფოთოლი, ღერო) ფენოლური ნაერთების რაოდენობრივმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ყველაზე მეტი რაოდენობით წარმოდგენილი არიან ფლავონოიდები. მათი რაოდენობა მერყეობს 1880 –დან 5000-მდე მგ/100გ-ში მშრალ მასაზე გადაანგარიშებით (ცხრილი 1). რაც იმაზე მიუთითებს, რომ რეპროდუქციულ ორგანოებში ფლავონოიდები მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ.

ნაყოფის ვეგეტაციის პერიოდში ხეჭრელის ნაყოფში ფლავონოიდების,



კატექინების, ლეიკოანტოციანებისა და ანტოციანების დაგროვების დინამიკის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ამ ნაერთების რაოდენობა, გარდა ანტოციანებისა ნაყოფის დამწიფების პერიოდში მცირდება, ხოლო ანტოციანების რაოდენობა

მაქსიმალურად მატულობს. ვეგეტაციის დასაწყისში მწვანე ფერის უმწიფარ ნაყოფში ფლავონოიდები წარმოდგენილი არიან მნიშვნელოვანი რაოდენობით, ქობულეთის ტერიტორიაზე აღებულ ნიმუშში 5557,61 მგ/100გ-შია, ასევეაშუახვეის ზონაში აღებულ ნიმუშში 5824,02 მგ/100გ-ში. ვეგეტაციის დასასრულს კი ფლავონოიდების რაოდენობა თითქმის ნახევრდება (3285,36 – 3662,09 მგ/100გ). ცვალებადობის მსგავსი დინამიკა აღინიშნება კატექინების შემთხვევაშიც. ლეიკოანტოციანების რაოდენობრივი ცვალებადობის დინამიკამ გვიჩვენა, რომ ფლავონოიდებისა და კატექინებისაგან განსხვავებით ვეგეტაციის დასასრულს მათი რაოდენობა 2–6 ჯერ მატულობს საწყისთან შედარებით.

ნაყოფის დამწიფების პარალელურად იცვლება ნაყოფის შეფერილობაც (მწვანე შეფერილობიდან შავამდე) და შესაბამისად იმ ნივთიერებათა – ანტოციანების რაოდენობაც, რომელთა მაქსიმალური რაოდენობით დაგროვება მიგვითითებს მცენარე ხეჭრელის ნაყოფის სრულ სიმწიფეზე. ქობულეთის რაიონში ხეჭრელის ნაყოფისათვის სრული სიმწიფის პერიოდი განისაზღვრა ივლისის ბოლოსათვის, ხოლო შუახვეში, რომელიც ზღვის დონიდან 650 მ სიმაღლეზეა – სექტემბრი.

მიღებული შედეგები გვიჩვენებს, რომ გურია–აჭარის მთიან ზონაში გავრცელებული მცენარე ხეჭრელის ყვავილი, ფოთოლი, ღერო და ნაყოფი მდიდარია ბიოლოგიურად აქტიური ნაერთებით, რომელთა შორის ფლავონოიდები და ანტოციანები დომინირებენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვანიძე მ., სურმანიძე ნ., ქარცივაძე ი., კალანდია ა. ხეჭრელისა და წყავმაზას ფენოლური ნაერთები. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. “სუბტროპიკული ზონის დარგების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები.” ქუთაისი, 2010.
2. saqarTvelos flora, gamomcemloba mecniereba, 1983.
3. Запрометов М.Н. Фенольные соединения и их роль в жизни растения. – М.: Наука, 1996.
4. Э.Х. Ботиров*, А.А. Дренин, А.В. Макарова. Химическое исследование флавоноидов лекарственных и пищевых растений. Сургутский государственный университет E-mail: botirov-nepi@mail.ru
5. Методы Биохимического исследования растений. А. И. Ермакову Ленинград. 1987.



CHANGE PENOLE COMPOUNDS OF PLANT KHECHRELI IN THE VEGETATION PROCESS

Vanidze M., Kartsivadze M., Japaridze I., Surmanidze N., Kalandia A

Shota Rustaveli State University

Summary

It is explored several varieties of grape vine antocians which are common in West Georgia. It was determined that their content is changing as in different parts of the fetus as by its growing location and variety.

აღნიშნული პროექტი განხორციელებულდა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური ხელეწყობით (გრანტი #GNSF/ST08/8-513). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.

ВЛИЯНИЕ ПАРАМЕТРОВ ЩЕЛОЧНОЙ ДЕЭТЕРИФИКАЦИИ НА МОЛЕКУЛЯРНУЮ МАССУ ЯБЛОЧНОГО ПЕКТИНА

Василенко З.В., Никулин В.И., Лапковская В.В, Соловьев А.И.

Учреждение образования «Могилевский государственный университет продовольствия» г. Могилев, Беларусь

Исследовано влияние температуры, величины рН и продолжительности процесса деэтерификации на молекулярную массу яблочного пектина. Получены графические зависимости и уравнение регрессии, которые можно использовать для оптимизации процесса и расчета реакторного устройства.

Пектин является полезным компонентом при производстве пищевых продуктов лечебного и профилактического назначения благодаря своим свойствам (желирующей и комплексообразующей способности). Важное значение в студнеобразовании пектина имеет степень этерификации и величина молекулярной массы. В природе чаще всего встречаются высокоэтерифицированные пектины, а низкоэтерифицированные получают помощью деэтерификации (щелочной, кислотной или ферментативной).

Целью данного исследования было определение количества переменных факторов, областей и интервалов их варьирования, а так же влияние их на молекулярную массу пектина при обработке пектинового гидролизата щелочью.

Обработку пектинового гидролизата, полученного в результате гидролиза



яблочных выжимок [4], проводили с использованием 40 %-ного раствора гидроксида натрия. Величину pH деэтерификации и температуру процесса измеряли лабораторным pH-метром Hanna 1. Пектиновый гидролизат термостатировали в течение 10 минут до достижения требуемой температуры, затем из бюретки вводили раствор щелочи до установленного значения pH и выдерживали 5-15 минут. По истечении времени избыток щелочи нейтрализовали раствором 50 %-ной лимонной кислоты до pH 3-3,5. Осаждение и сушку пектина проводили традиционным способом [3]. Молекулярную массу определяли вискозиметрическим методом [1].

В качестве независимых управляемых переменных были приняты: величина pH гидролизата, его температуры t , а так же продолжительность процесса деэтерификации τ .

Исследования проводились в следующем диапазоне изменения режимных параметров процесса:

Величина pH гидролизата	От 8 до 12
Температура деэтерификации, t	От 5 до 25 °C
Продолжительность деэтерификации, τ	От 5 до 15 минут

Искомую зависимость молекулярной массы от принятых независимых переменных представили в виде произведения функций от отдельных аргументов, то есть:

$$M = A \cdot f_1(t) \cdot f_2(pH) \cdot f_3(\tau). \quad (1)$$

Существенным этапом в экспериментальном определении функции (1) является выбор значений независимых переменных, при которых следует проводить опыты.

В нашем случае, когда число независимых факторов равно трём, можно провести девять опытов, варьируя факторы на 3-х уровнях. Соответствующий ортогональный план, приведенный в таблице 1, составлен на основе трёх квадратов 3×3 , из которых два стандартных (упорядоченных) и один латинский [2]. Для устранения влияния времени последовательность опытов рандомизирована.

Таблица 1 – План экспериментального исследования процесса деэтерификации пектинового гидролизата

Номер опыта	pH	t, °C	τ , час
1	12	5	15
2	12	15	10
3	12	25	15
4	10	5	10
5	10	15	15
6	10	25	5
7	8	5	15
8	8	15	5
9	8	25	10



Без знания постоянной A , входящей в формулу (1), которая определяется в результате обработки экспериментальных данных, эти графические зависимости нельзя использовать непосредственно для определения, например, молекулярной массы при данных pH , t и τ , поскольку они представляют усредненные, а не дискретные значения. При этом при построении каждой зависимости мы использовали результаты всех 9 экспериментов, а каждая точка зависимости построена по результатам трех опытов.

Обработка полученных экспериментальных данных [5] позволила получить зависимости молекулярной массы от управляемых переменных pH , t и τ . Графики этих зависимостей представлены на рисунке 1.




Рисунок 1 –Зависимости влияния управляемых переменных на молекулярную массу пектина

Как видно из рисунка 1, все факторы оказывают существенное влияние на молекулярную массу пектина в исследуемом диапазоне изменения режимных параметров pH , t , τ .

Анализ зависимости молекулярной массы от температуры деэтерификации свидетельствует, что при увеличении температуры деэтерификации от 5 до 25 °C значение молекулярной массы уменьшается в 5 раз по сравнению с контрольным образцом, причем при температуре 25 °C молекулы рамногалактуронана подвергаются деэтерификации наиболее интенсивно. Изменения значений pH и продолжительности деэтерификации пектинового гидролизата имеют линейный характер. При значении



pH деэтерификации более 10 молекулярная масса пектина уменьшается с 44822 Да до 16 400 Да. С увеличением продолжительности деэтерификации молекулярная масса уменьшается с 56 165 Да до 12 703 Да.

Обработка экспериментальных данных позволила получить уравнение (2), определяющее зависимость молекулярной массы (*M*) от независимых управляемых параметров *pH*, *t*, τ :

$$M(pH, t, \tau) = 2,73 \cdot 10^{-9} \cdot (51957 - 2980 \cdot pH)(35843 - 865,22 \cdot t) \times (28813 - 701,42 \cdot \tau) \quad (2)$$

Уравнение (2) адекватно описывает процесс щелочной деэтерификации и позволяет рассчитать молекулярную массу с погрешностью 5-9% в следующем диапазоне изменения параметров:

Величина <i>pH</i> гидролизата	От 8 до 12
Температура деэтерификации, <i>t</i>	От 5 до 25 °C
Продолжительность деэтерификации, τ	От 5 до 15 минут

На основании проведенных экспериментов было получено эмпирическое уравнение, связывающее молекулярную массу с основными параметрами процесса. Полученное уравнение может быть использовано для оптимизации процесса щелочной деэтерификации пектина.

ЛИТЕРАТУРА

1. Арасимович, В.В. Методы анализа пектиновых веществ, гемицеллюлоз и пектолитических ферментов в плодах / В.В. Арасимович. – Кишнев: РИО АН МССР, 1970. – 84 с.
2. Грачев, Ю.П. Математические методы планирования эксперимента / Ю.П. Грачев // Пищевая промышленность, 1978 – 197с.
3. Донченко, Л.В. Технология пектина и пектинопродуктов / Л.В. Донченко. – М.:ДеЛи, 2000. – 255с.
4. Заявка 20100159 Беларусь, МПК (2009) А 23L 1 /052 С 08В 37/00 Способ получения фракций пектина из выжимок яблочных сушеных/ Василенко З.В., Никулин В.И., Лазовикова Л.В., Лапковская В.В.; заявитель Учреждение образования “Могилевский государственный университет продовольствия” (ВУ).- заявл. 05.02.2010; опубл. 30.10.2010, Бюл.№5; - 5с.
5. Шенк, Х. Теория инженерного эксперимента / Х. Шенк. – М.:Мир,1972. – 151с.

ALKALINE DEMETHYLATION EFFECTS ON APPLE POMACE PECTIN MOLECULAR WEIGHT

Vasilenko Z.V., Nikulin V. I., Lapkovskaya V.V., Soloviev A.I.

Mogilev state foodstuffs university, Mogilev, Belarus

Summary

Effects of temperature, pH and time reaction of demethylation on apple pomace pectin molecular weight are investigated. The graphic dependences and regress equation are received which can be used for optimization process and equipment calculation .



ИССЛЕДОВАНИЕ ПОКАЗАТЕЛЕЙ КАЧЕСТВА И БЕЗОПАСНОСТИ МАЙОНЕЗА ФУНКЦИОНАЛЬНОГО НАЗНАЧЕНИЯ

Василенко З.В., Ромашихин П.А., Болашенко Т.Н., Мацикова О.В.

Учреждение образования «Могилевский государственный университет продовольствия»
г. Могилев, Беларусь

Представлены результаты исследований качества и показателей безопасности нового майонеза «Здоровье» 40%-ой жирности, обогащенного конъюгированной линолевой кислотой в виде пищевой добавки с торговым названием «Тоналин TG 80». Установлено, что по физико-химическим, санитарно-химическим и микробиологическим показателям качества майонез «Здоровье» соответствует требованиям гигиенической безопасности и может быть рекомендован к серийному производству.

Пищевой статус и структура питания населения являются приоритетным направлением политики всех развитых государств и служат одним из главных показателей уровня их социально-экономического развития, здоровья и процветания нации. Современная стратегия развития пищевой промышленности и общественного питания тесно связана с созданием технологий продуктов функционального назначения, обеспечивающих здоровое питание с учетом практических рекомендаций нутрициологов [1–2].

Не менее важной, на наш взгляд, является оценка такой работы со стороны наших коллег с выпускающих пищевых кафедр – 3 работы были внедрены в лабораторный практикум: курса аналитической химии и физико-химических методов анализа кафедры химии, кафедры «Технологии предприятий общественного питания и мясопродуктов» в курсе «Прикладная биотехнология» студентов специализации «Технология мяса и мясопродуктов» и кафедры «Технологии пищевых производств» в курсе «Основы научных исследований» студентов специализации «Технология консервирования» Могилевского государственного университета продовольствия.

Следует отметить, что выполняемая работа лежит в русле общемировых тенденций развития человеческого общества, о чем свидетельствуют издающиеся в последнее время многочисленные монографии, публикации в научных и научно-популярных журналах и изданиях, в материалах многочисленных международных научных и научно-практических конференций по проблемам безопасного питания, создание в разных странах специальных тематических программ на телевидении и специализированных кулинарных телеканалов, а также многочисленные интернет-сайты по вопросам безопасного питания.

В заключение хочется высказать мнение, что крайне важно воспитывать в будущих специалистах пищевой промышленности *чувство гражданской ответственности и долга* перед обществом за его здоровье так же, как это имеет место в медицинских вузах. Ведь в случае производства некачественной продукции пострадать могут тысячи граждан. Для этого необходимо вооружить студентов соответствующими знаниями. Может быть, выпускники вузов пищевого профиля перед началом трудовой деятельности обязаны давать клятву, аналогичную той, что и студенты-медики.



ИССЛЕДОВАНИЕ ВЛИЯНИЯ ТЕМПЕРАТУРНОГО РЕЖИМА ЗАМАЧИВАНИЯ НА ПРОДОЛЖИТЕЛЬНОСТЬ И СТЕПЕНЬ ЗАМАЧИВАНИЯ ГРЕЧИХИ

Косминский Г.И., Царева Н.Г.

Учреждение образования «Могилевский государственный университет
продовольствия»

Статья посвящена разработке технологии пивоваренного солода из гречихи, как сырья, совершенно не содержащего глютена. Исследованы физико-химические показатели качества трех сортов гречихи: «Сапфир», «Кармен», «Влада». Установлено, что по всем показателям эти сорта гречихи пригодны для производства пивоваренного солода.

Замачивание всех сортов гречихи воздушно-оросительным способом проводили до влажности 46%. В качестве контроля служил пивоваренный ячмень сорта «Надзея». Изучаемые образцы замачивали по трем температурным режимам: холодному (10-12°C), нормальному (14-15 °C), теплomu (17-18 °C).

Установлено, что оптимальными условиями замачивания гречихи является холодный режим замачивания (10-12°C), продолжительность замачивания около 16 часов до достижения степени замачивания 44-46%.

Глютен – общее обозначение белковой фракции пшеницы, в которой для больных целиакией (глютеновой энтеропатией – аутоиммунным заболеванием) токсичен проламин (спирторастворимый белок). Пшеница и рожь, и ячмень – все эти злаки и их проламины – токсичны для больных целиакией. Единственным способом лечения целиакии является исключение из рациона питания пшеницы, ржи, ячменя и всех получаемых из них продуктов. Поэтому больным целиакией не рекомендуется употреблять пиво, приготовленное из ячменного и пшеничного солодов.

Наиболее перспективным сырьем, совершенно не содержащим глютена является гречиха [1].

Гречиха имеет много дополнительных для здоровья свойств. Белок гречихи характеризуется высоким содержанием лизина. В ней содержатся фитостеролы (в частности рутин – витамин Р), снижающий уровень холестерина. Гречиха превосходит другие культуры по содержанию ниоцина, рибофлавина, фолиевой кислоты, тиамина, а также растворимых и нерастворимых пищевых волокон. В ней содержится значительное количество микроэлементов – железа, меди, кобальта, марганца и других элементов, необходимых для жизнедеятельности человека. Кроме того, потребление гречихи и приготовленных из нее продуктов благотворно сказывается на лечении диабета II, что объясняется присутствием фагопиринов [2, 3].

Таким образом, использование гречихи для производства пивоваренного солода, а из него пива, является актуальным.

Гречиху для производства пивоваренного солода используют как лущеную,



так и не лущеную. Оказывается, по мнению ряда исследователей, что использовать не лущеную гречиху лучше, чем лущеную, так как поглощение влаги зерном в этом случае происходит медленнее и улучшается ферментативная активность солода. Кроме того, лужга может служить вспомогательным фильтрующим материалом при фильтровании затора.

Исследованы физико-химические показатели качества трех сортов гречихи урожая 2009 года: «Сапфир», «Кармен», «Влада», выращенные в Жодинском районе, Минской области республики Беларусь.

Оценку качества сортов гречихи и их пригодности для производства пивоваренного солода проводили по показателям качества на пивоваренный ячмень [4]. Качественные показатели представлены в таблице 1, и свидетельствуют, что исследованные сорта гречихи обладают средним содержанием экстракта (соответственно 68, 71, 75%), невысоким содержанием белка (10,2; 10,9; 11,26%), высокими показателями энергии (95,0; 94,0 и 96%) и способности прорастания (97,0; 96,0 и 98,0).

Кроме того, эти сорта содержат значительное количество крахмала (39,73; 40,73; 43,15) и мало гемицеллюлоз (12,42; 11,56; 11,56) по сравнению с ячменем.

Сорт	Нагура, г/л	Абсолютная масса, г	Влажность, %	Содержание, % на сухое вещество				Энергия прорастания, %	Способность прорастания, %
				Крахмала	Гемицеллюлозы	Белка	Экстракта		
Сапфир гречиха	605	29,02	12,53	39,73	12,42	10,2	68	95	97
Кармен гречиха	600	31,05	11,01	40,73	11,56	10,9	71	94	96
Влада гречиха	600	29,13	13,67	43,15	10,35	11,26	75	96	98
Ячмень Надзея	685	45	14	58,43	11,3	11,3	79	96	98

Установлено, что по всем перечисленным показателям эти сорта гречихи пригодны для производства пивоваренного солода, однако сорт гречихи «Влада» обладает наиболее высокими технологическими показателями.

Замачивание является первым и весьма важным этапом сложного процесса соложения. Во время замочки зерно должно получить необходимое количество влаги и кислорода воздуха для прорастания и последующего накопления ферментов. Замочка оказывает большое влияние на прорастание, на потери при соложении и на качество получаемого солода. Для обеспечения нормального протекания ферментативных процессов в зерне при прорастании должно быть оптимальное



количество влаги, которое колеблется в пределах 42–46%.

Продолжительность и степень замачивания гречихи зависит от величины зерна, особенностей состава гречихи и способа замачивания.

Замачивание всех сортов гречихи воздушно-оросительным способом проводили до влажности 46%. В качестве контроля служил пивоваренный ячмень сорта «Надзея» урожая 2009 года.

Исследуемые образцы замачивали по трем температурным режимам: холодному (10-12°C), нормальному (14-15°C) и теплomu (17-18°C). Выбор данных температурных режимов замачивания объясняется следующим: в практике отечественного солодовенного производства процесс замачивания ячменя ведут при температуре $12\pm 2^\circ\text{C}$, которая позволяет регулировать степень замачивания и избежать перемочки.

Однако современными исследователями установлено, что повышение температуры замочной воды до 17-18°C способствует более быстрому наклеиванию зерна и значительно сокращает процесс замачивания и проращивания [6, 7].

Поглощение влаги зерном гречихи в процессе замачивания идет неравномерно и непропорционально времени замачивания. В первые часы замачивания вещества зерна энергично поглощают влагу, но по мере насыщения зерна водой процесс все более замедляется. Сравнительно быстрое поглощение воды в начале замачивания ячменя объясняется капиллярным проникновением воды в пустоты и трахеиды под мякинной оболочкой. Гречиха замачивается быстрее из-за неплотно прилегающей оболочки и специфики строения зерна. Влага попадает в зерно через 4 кончика зерна гречихи, что и обеспечивает более быстрое замачивание.

При первоначальной влажности зерна гречихи до замачивания 11,01-13,67% уже через 6-8 часов холодной замочки при температуре 10-12°C зерно поглотило 27-29% воды, далее процесс замачивания замедляется и к концу первых суток зерно поглотило всего 3-4% воды. Оптимальное содержание влаги после 16 часов замачивания при температуре 10-12°C составляет 42-44%. Для достижения максимальной влажности зерна гречихи 44-46% требуется около 21-24 часов. Замачивание гречихи при температурах 14-15°C происходит быстрее, степень замачивания гречихи 42-44% достигается уже через 12-15 часов. Теплый способ замачивания 17-18°C самый быстрый, данная степень замачивания достигается уже через 8-10 часов.

Температура воды, применяемой при замачивании, не должна быть слишком высокой, чтобы не оказать отрицательного влияния на жизнедеятельность зерна, особенно зародыша. В воде при более высокой температуре растворимость кислорода меньше, чем при более низкой. При температуре воды 15-18°C бактериальная микрофлора, находящаяся на поверхности зерна, усиленно развивается и потребляет значительное количество кислорода, что может также привести к недостатку его для дыхания зародыша.



Кроме того, при температурах 15-18°C при замачивании гречихи всех исследуемых сортов до влажности 42-46% наблюдается наклевание зерна, что ведет к потерям сухих веществ.

Таким образом, оптимальными условиями замачивания гречихи является: холодный режим замачивания при температуре 10-12°C, продолжительность замачивания около 16 часов до достижения степени замачивания 44-46%.

Литература.

1. Бэмфорт У. Новое в пивоварении. Научные основы и технологии. – СПб.: Профессия, 2007.
2. Фесенко Н.В. Селекция и семеноводство гречихи. – М.: Колос, 1983.
3. Ермакова А.И. Биохимия культурных растений. 1958.
4. Косминский Г.И. Технология солода, пива и безалкогольных напитков. Лабораторный практикум по технохимическому контролю производства. – Минск.: Дизайн. ПРО, 2001.
5. Мальцев П.М. Технология солода и пива. – М.: Пищевая промышленность, 1964.
6. Поляков В.А., Лернер И.Г., Маковецкий В.П. Новое в технологии производства солода в СССР и за рубежом. – М.: ЦННИТЭИ Пищепром, 1980.
7. Косминский Г.И. Влияние температуры замочки ячменя на белковый состав солода. // Ферментная и спиртовая промышленность, 1977, №6 – с. 16-17.

INVESTIGATION OF STEEPING TEMPERATURE CONDITIONS INFLUENCE ON DURATION AND DEGREE OF BUCKWHEAT STEEPING

Kosminski G.I., Tsareva N.G.
Mogilev State University of Food
Summary

Article is devoted for working out of technology of reception of a brewer's malt from buckwheat, as a gluten-free raw material. The quality physical-chemical characteristics of three sorts of buckwheat were investigated: «Sapfir», «Carmen», «Vlada». There was determined that by all characteristic these sorts of buckwheat are suitable for brewer's malt manufacture.

Steeping of all sorts of buckwheat by air-irrigating method was carried out up to humidity of 46%. Brewer's barley of «Nadzeya» sort was used as a control. Investigated samples were steeped according to three temperature conditions: cold (10-12°C), normal (14-15 °C), warm (17-18 °C).

There was determined that optimal conditions for buckwheat steeping is cold steeping conditions (10-12°C), duration of steeping about 16 hours, for achievement of steeping degree of 44-46%.



ИСПОЛЬЗОВАНИЕ ЗВЕРОБОЯ, КОРИАНДРА ПРИ ПРОИЗВОДСТВЕ ПИВА

Косминский Г.И., Царева Н.Г.

Учреждение образования «Могилевский государственный университет
продовольствия»

Статья посвящена разработке технологии новых сортов пива с использованием нетрадиционного сырья, произрастающего в Белоруссии.

Разработаны новые сорта пива с массовой долей сухих веществ начального суслу 11%, с добавлением кориандра, экстракта зверобоя. Экспериментально подобрана оптимальная доза задачи кориандра, экстракта зверобоя.

Были исследованы физико-химические показатели и проведена органолептическая оценка полученных новых сортов пива. Физико-химические показатели новых сортов пива соответствуют требованиям СТБ 395-2005 на светлые сорта пива.

Одним из направлений пивоварения Республики Беларусь в настоящее время является разработка новых сортов пива с привлечением нетрадиционных видов сырья, что способствует расширению национального ассортимента пива, снижению его себестоимости, а также обогащение пива полезными для здоровья человека веществами.

Сегодня около 90% потребителей считают травы очень важным компонентом здорового питания. Они популярны благодаря их положительному воздействию на здоровье. Продукты питания, содержащие лекарственные травы, потребитель детерминирует как функциональное питание и поэтому покупает их даже по повышенным ценам. Источник лекарственной силы трав – биологически активные вещества. Растения вырабатывают эти биоактивные вещества в первую очередь для того, чтобы защититься самим от вредителей и возбудителей болезней. При этом речь идет о сложных биохимических соединениях, содержащихся в растениях, например, продуктах вторичного метаболизма, таких, как флавоноиды и полифенольные вещества; эфирные масла.

Объектами исследований выбраны зверобой и кориандр, которые имеют много полезных для здоровья человека свойств. Зверобой помогает при бессоннице и нервных расстройствах, возбуждает деятельность пищеварительных (а также желчевыводящих) органов и тонизирует кровообращение. Препараты зверобоя оказывают антисептическое, антибактериальное, выраженное вяжущее действие, стимулируют регенерацию тканей.

Семена кориандра богаты эфирным маслом, содержат витамины А и С, дубильные вещества, азотистые вещества, крахмал, сахар, витамины, минеральные вещества и др. Из-за наличия всех этих веществ кориандр обладает общеукрепляющим эффектом, а также антиоксидантными свойствами.



Антиоксидантные вещества, замедляют и предотвращают процессы, приводящие к сердечно-сосудистым, онкологическим заболеваниям.

Выбор этого сырья обоснован его ценным химическим составом, лечебно-профилактическими свойствами, которые могут повысить питательную ценность пива, а с помощью эфирных масел можно придать специфический аромат продукту.

Целью работы является разработка технологии и рецептур новых сортов пива с использованием зверобоя и кориандра, сырья – нетрадиционного для пивоварения.

Для реализации цели поставлены следующие задачи:

- изучение технологических свойств различных видов ароматического сырья;
- изучение влияния на свойство готового пива разных доз зверобоя, кориандра;
- проведение экстрагирования ценных веществ из растительного сырья с использованием различных режимов с целью выбора оптимальных температур, продолжительности экстрагирования и соотношения сырья и воды при экстрагировании;
- определение оптимального времени задачи экстрактов;
- исследование физико-химических и органолептических показателей полученных сортов пива;
- разработка технологии и рецептуры новых сортов пива.

Применены два способа внесения кориандра и экстракта зверобоя: первый – в сусло за 10-15 минут до окончания кипячения, второй – в начале брожения. Установлено, что по органолептическим показателям пиво, приготовленное по второму способу имеет более выраженный вкус и аромат.

Экспериментально подобрана оптимальная доза задачи кориандра, экстракта зверобоя. Установлено, что в новых сортах пива следует считать оптимальной дозой 7% экстракта зверобоя и 0,2% кориандра.

Были исследованы физико-химические показатели и проведена органолептическая оценка полученных новых сортов пива с начальной концентрацией сусла 11%.

Пиво с кориандром быстро осветляется, в нем не развивается эффект холодного помутнения, так как кориандр обладает консервирующими и осветляющими свойствами. Пиво получается немного сладковатое, слегка пряное, с насыщенным вкусом. Кориандр действует как катализатор, который усиливает вкус других ингредиентов и смягчает переход одного аромата к другому. Пиво с экстрактом зверобоя обладает профилактическими свойствами, отличными органолептическими показателями, имеет слаженный букет и неповторимый вкус.

Физико-химические показатели новых сортов пива соответствуют требованиям СТБ 395-2005 на светлые сорта пива.

Достоинствами сортов пива является использование местного растительного сырья и простая технологическая схема производства, что в будущем положительно



скажется на внедрении данных сортов пива на пивоваренные заводы страны.

Химический состав разработанных сортов пива приведен в таблице 1.

Таблица 1 – Физико-химические показатели новых сортов пива

Образец	Массовая доля Сухих веществ в начальном сусле, %	Действительный экстракт, %	Видимый экстракт, %	Содержание спирта, % об.	Кислотность, к.ед.	pH	Цвет, цв.ед.
7% экстракта зверобоя	11	3,70	2,80	2,85	2,15	4,15	0,70
0,2% кориандра	11	3,75	2,90	2,80	2,04	4,20	1,15

Таким образом, в результате экспериментальных исследований в данной научной работе были разработаны технологические инструкции, которые могут использоваться пивоваренными заводами для разнообразия национального ассортимента выпускаемой продукции на основе нетрадиционных сырьевых компонентов. Технологические инструкции разработаны в соответствии с действующими нормативно-технологическими и отраслевыми документами, учтены современные требования к оформлению, обязательные требования к качеству пива, направленные на обеспечение безопасности жизни и здоровья людей.

USE OF ST. JOHN'S WORT, CORIANDER BY BEER MANUFACTURE

Kosminski G.I., Tsareva N.G.

Mogilev State foodstuffs university, Mogilev, Belarus

Summary

Article is devoted for working out of technology of reception of new kinds of beer with non-traditional materials which have been grown up in Belarus.

New kinds of beer with initial solid wort concentration of 11% have been developed, with addition of coriander and St. John's wort's extract. Optimal dose of coriander and St. John's wort proportion has been found out experimentally.

The physical-chemical characteristics have been investigated and organoleptic assessment of new kinds of beer has been carried out. The physical-chemical characteristics of the new kinds of beer meet the light beer standards of Belarus (395-2005).



ქართული ორბანული ჩაის წარმოების ტექნოლოგიის დამუშავება – მინდვრის ცდა

ლომინაძე შ., ბიგვაგა ლ., ჭანუყვაძე ფ., ჩიკაშუა ქ., ჯიჯიეშვილი გ.
 აიპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული
 კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტი

ავტორებს მიაჩნიათ, რომ უსაფრთხო საკვები პროდუქტებით ქვეყნის მოსახლეობის უზრუნველყოფის გზაზე ერთ-ერთ სერიოზულ მიმართულებას სოფლის მეურნეობაში ორგანული სექტორის ჩამოყალიბება და განვითარება წარმოადგენს.

ნახევრებია ქართული ორგანული ჩაის წარმოებისათვის შერჩეულ საცდელ ნიადაგებსა და ჩაის მცენარეებზე დაკვირვებისა და გამოყენებული ორგანული სასუქების შესწავლის შედეგები.

მოსახლეობის უვნებელი სურსათით უზრუნველყოფა თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს.

სხვადასხვა ფაქტორების ხანგრძლივი ზემოქმედებით დაბინძურებული გარემო, გლობალური დათბობის საფრთხე და მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები, განშირებული ეკოლოგიური კატასტროფები, რომელთა მასშტაბების პროგნოზირება დღეისათვის პრაქტიკულად შეუძლებელია – კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი სურსათის წარმოებას, რომელზეც მოთხოვნა ჩვენი აზრით ახლო მომავალში მკვეთრად გაიზრდება.

ბუნებრივია, რომ შექმნილი ახალი რეალობიდან გამომდინარე საერთაშორისო ორგანიზაციები განვითარებული ქვეყნების მთავრობებთან ერთად სერიოზულ და მრავალმხრივ საჭიმიანობას ეწვევიან, რომელთა საერთო მიზანს მომხმარებელთა ინტერესების დაცვა და უვნებელი სურსათით მათი უზრუნველყოფის ხელშეწყობა წარმოადგენს. აღიარებულია, რომ ამ თვალსაზრისით ერთ-ერთ სერიოზულ მიმართულებას ორგანული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა, მისი არეალის გაფართოება და განვითარება წარმოადგენს.

ორგანულს უწოდებენ პროდუქტებს, რომლებიც არ შეიცავენ გენეტიკურად მოდიფიცირებულ ორგანიზმებს, სასოფლო-სამეურნეო ქიმიასა და ქიმიურ საკვებ დანამატებს. დადგენილია, რომ ორგანულად მიღებული სურსათი კონვენციურთან შედარებით უფრო მეტ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს შეიცავს და კარგი გემოვნური თვისებებით გამოირჩევა (2)

ავსტრიელი ფილოსოფოსის რუდოლფ შტაინერის მიერ გასული საუკუნის 20-იან წლებში ინიცირებულ ბიოდინამიური სოფლის მეურნეობის კონცეფციას (5) მრავალი მიმდევარი გაუჩნდა ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის განვითარებულ ქვეყნებში.



სამწუხაროდ საქართველო იმ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, სადაც ორგანული სოფლის მეურნეობა სუსტად არის განვითარებული. პროფ. ფ. პარკერის გათვლებით (6) ქართული ბაზრის ლატენტური მოთხოვნა ორგანულ საკვებ პროდუქტებზე 2011 წლისათვის 79.4 მლნ ამერიკულ დოლარს შეადგენს, რაც გლობალური მოთხოვნის მხოლოდ 0,05 %-ია. მიუხედავად ზემოთქმულისა მიგვაჩნია, რომ თუ გავითვალისწინებთ უკანასკნელ პერიოდში ქვეყნის ეკონომიკურ მიღწევებს, ხელსაყრელ ნიადაგობრივ და კლიმატურ პირობებს, ნიადაგის ორგანულად განოციერებისათვის მდიდარ სანედლეული რესურსებს და მაღალ სამეცნიერო-პრაქტიკულ პოტენციალს და ამ შესაძლებლობებს გონივრულად გამოვიყენებთ, მაშინ საქართველოში ორგანული სოფლის მეურნეობა შესაძლოა ბევრად უფრო სწრაფად განვითარდეს, ვიდრე ეს მრავალ სხვა ქვეყანაში ხდება. (2,3)

სწორედ ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ საგრანტო პროექტის № GNSF/STO 08/8-503 ფარგლებში მიმდინარე კვლევითი სამუშაოები, რომელთა მიზანს ქართული ორგანული ჩაის ტექნოლოგიის დამუშავება წარმოადგენს.

წინამდებარე ნაშრომში ნაჩვენებია ანასეულში, ჩაქვში, ზუგდიდსა და წყალტუბოში მინდვრის ცდებისათვის შერჩეული ნიადაგების, ჩაის ნარგავებისა და კომპოსტირებისათვის გამოიზნული ორგანული და მინერალური სასუქების წინასწარი შესწავლის შედეგები და მათი შედარებითი დახასიათება.

ჩაის შერჩეულ ნაკვეთებზე მათი ცდისათვის მომზადების მიზნით, მთელი სეზონის განმავლობაში ხდებოდა დაკვირვება ძირითადი საკვები ელემენტებით (NPK) ნიადაგის უზრუნველყოფის ხარისხზე და მისი ფიზიკური თვისებების შესწავლა. მიღებული შედეგები მოცემულია ცხრილში №1.

ცხრილის მონაცემები გვიჩვენებს, რომ ყველა საცდელი ნიადაგი მჟავაა, მათ შორის pH-ის შედარებით მაღალი მაჩვენებელი (4.0-4.2) ანასეულისა და ჩაქვის საცდელ ნაკვეთებზეა, ხოლო გაცვლითი მჟავიანობით წყალტუბოს ჩაის ნიადაგი გამოირჩევა (7.9-9.7) მგ/ეკვ. რაც შეეხება ნიადაგის ნაყოფიერების ისეთ მნიშვნელოვან მაჩვენებელს, როგორც ჰუმუსია, მისი მაქსიმუმი წყალტუბოსა (6.9) და ჩაქვის (6.4) საცდელ ნაკვეთებზე ფიქსირდება.

ჩაის მცენარისათვის ადვილად შესათვისებელი ძირითადი საკვები ელემენტებიდან, ჰიდროლიზური აზოტის შემცველობა საცდელ ნიადაგებში საშუალოზე მაღალ დონეზეა, ასევე საშუალო დონეზეა მოძრავი ფოსფორით უზრუნველყოფა თუ არ ჩავთვლით წყალტუბოს საცდელ ნაკვეთს, სადაც 0-20 სმ ნიადაგის ფენაში მისი შემცველობა (60,0) ოპტიმალურ უახლოვდება; რაც შეეხება მოძრავ კალიუმს, გარდა ანასეულისა სადაც იგი საშუალო უზრუნველყოფის დონეზეა (21,0), საცდელი ნიადაგები ამ ელემენტის დაბალი შემცველობით გამოირჩევიან.



ცხრილი 1

საველე ცდის ნიადაგების აგროქიმიური და
აგროფიზიკური გამოკვლევის შედეგები

№	საცდელი ნაკვეთი	მანვენებ-ლები/ნიადა-გის ფენა, სმ	pH სუსპენზი-აში		გაც-ვლითი მუავია-ნობა მგ/ეკვ.	ჰუმუ-სი, %	საერ-თო აზო-ტი, %	მოძრავი ფორ-მე-ბი, მგ 100 გ ნია-დაგში		
			H ₂ O	KCL				ჰიდრ. N	P ₂ O ₅	K ₂ O
1	ოზურგე-თი-ანასეული	0-20	5.2	4.0	6.2	5.5	0.27	22.6	42.5	21.0
		20-40	5.0	4.0	8.1	4.8	0.24	19.4	38.7	15.0
2	ქობულე-თი-ჩაქვი	0-20	5.1	4.0	6.2	6.4	0.30	21.8	42.5	7.0
		20-40	5.2	4.2	7.8	4.6	0.25	19.0	32.2	5.4
3	წყალტუ-ბო-რიონი	0-20	4.5	3.4	7.9	6.9	0.31	20.3	60.0	15.0
		20-40	4.6	3.0	9.7	5.3	0.25	18.1	37.5	8.5
4	ზუგდი-ლი-რუსი	0-20	4.8	3.8	6.6	4.8	0.24	21.0	43.7	10.5
		20-40	4.9	3.9	8.5	3.3	0.16	18.6	26.5	6.2

ნიადაგის განოყიერებისა და კომპოსტირებისათვის გამოსაყენებლად ჩვენს მიერ შერჩეულ იქნა სურსათის ორგანულად წარმოებისათვის ნებადართული (1) ორგანული სასუქები და აგრომადნები, მათ შორის – ნაკელი, ტორფი, მურა ნახშირი, ცეოლითი და ფოსფორიტის ფქვილი.

კომპოსტების მომზადებამდე ცალკეული ნედლეულიდან აღებულ იქნა ნიმუშები, რომელთა სათანადო დამუშავების შემდეგ ჩატარდა მათი ფიზიკო-ქიმიური გამოკვლევა. მიღებული შედეგები წარმოდგენილია ცხრილში №2.

მიღებული მონაცემები გვიჩვენებს, რომ ჩვენს მიერ შექმნილი ნაკელის ხარისხი სრულად აკმაყოფილებს კომპოსტირებისათვის საჭირო მოთხოვნებს და მასში ნორმის ფარგლებშია როგორც ტენის, ასევე ორგანული ნაერთებისა და ძირითადი საკვები ელემენტების შემცველობა.

ცხადია, რომ ნარევიში მისი არსებობა საუკეთესო ფონს ქმნის მიკროორგანიზმების აქტიურობისათვის, რაც ბუნებრივია ხელს შეუწყობს ძნელად ხსნადი ორგანული ნაერთების მინერალიზაციას.

როგორც ცხრილიდან ირკვევა, მალთაყვის ტორფიც ასევე სრულად აკმაყოფილებს კომპოსტირებისათვის საჭირო მოთხოვნებს – ორგანული ნაერთების შემცველობა, ნაცრიანობა და დაშლის ხარისხი ნორმის ფარგლებშია, ნორმასთან ახლოსაა აგრეთვე საკვები ელემენტებისა და საერთო ფორიანობის პროცენტული შემადგენლობა.



ცხრილი 2

კომპოსტების მოსამზადებლად გამოყენებული
 ნედლეულის ფიზიკო-ქიმიური შემაღვენლობა

მაჩვენებლები ნედლეული	ტენი, %	pH KCL სუს- პენ ზიაში	დაშ- ლის ხა- რის- ხი, %	ნა- ცა- რი, %	ორ- გა- ნიკა, %	საერთო ფორმები მშრალი წონიდან, %				
						N	P ₂ O ₅	K ₂ O	CaO	MgO
ნაკელი	48.0	6.8	-	22.0	78.0	1.64	0.20	1.50	-	-
ტორფი	52.0	55.5	21.0	25.0	75.0	1.85	0.12	0.14	1.2	0.24
მურა ნახ- შირი	27.0	5.2	-	35.0	65.0	0.50	0.01	-	-	-
ცეოლითი	5-10	8.0	-	-	-	-	0.30	1.0- 1.8	3.0- 6.0	1.0-1.5
ფოსფორი- ტის ფქვი- ლი	5.1	-	-	-	-	-	20,0	-	-	-

ნარევეში თავისი მრავალმხრივი დადებითი თვისებებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩვენს მიერ კომპოსტირებისათვის გამოყენებული მურა ნახშირი, ცეოლითი და ფოსფორიტის ფქვილი. მთავარი იყო მიგვეღწია ცალკეული კომპონენტების ოპტიმალური თანაფარდობისათვის, რაც განხორციელდა ლაბორატორიული კვლევებით გამოვლენილი საუკეთესო რეცეპტურების შესაბამისად.

ჩაის პლანტაციების არსებული მდგომარეობის შეფასების მიზნით, სეზონის მთელი პერიოდის განმავლობაში ხდებოდა მოსავლიანობის აღრიცხვა, ჩაის ფოთლის მექანიკური და ქიმიური შემაღვენლობის შესწავლა.

ჩაის საცდელ პლანტაციებში მოსავლიანობის აღრიცხვის მასალებმა გვიჩვენა, რომ საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 2,5-2,8 ტონის ფარგლებში იცვლება, რაც ვფიქრობთ ნორმალური მაჩვენებელია ისეთი ფართობებისათვის, სადაც მრავალი წლის მანძილზე არ ხდებოდა ნიადაგის სათანადო განოფიერება, არ ტარდებოდა აუცილებელი აგროტექნიკური ღონისძიებები და უხეშად ირღვეოდა კრეფის წესები.

მიღებული მონაცემების თანახმად უკლებლივ ყველა საცდელ ნაკვეთზე მოკრეფილ ჩაის ფოთოლში ნორმალური დუყებისა და ნაზი ფრაქციის შემცველობა სეზონის დასაწყისიდან კანონზომიერად მცირდება და თავის მინიმალურ მნიშვნელობას სეზონის ბოლოსათვის აღწევს. შესაბამისად ამ პერიოდისათვის ნედლეულში ადექვატურად იზრდება ყრუ დუყებისა და მოუხემო ფრაქციის შემცველობა, რაც სრულად შეესაბამება ჩაის ფოთლის დამზადების ჩვენში გავრცელებულ პრაქტიკას.

როგორც მოსალოდნელი იყო, საცდელი ნაკვეთებიდან ნორმალური



დუეებისა და ნაზი ფრაქციის შემცველობით წყალტუბოს ზონის ჩაის ფოთოლი გამოირჩევა, სადაც მაის-ივნისში დამზადებული ნედლეულის 80,4 % ნაზი აღმოჩნდა, ხოლო მოუხეშო ფრაქციის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სეზონის ბოლოს უგდიდის საცდელ ნაკვეთზე დაფიქსირდა – 59.7 %.

რაც შეეხება ჩაის ფოთლის ქიმიურ შემადგენლობას (ექსტრაქტული ნივთიერებები, ფენოლური ნაერთების ჯამი), აქ საცდელ ვარიანტებს შორის რაიმე არსებითი ხასიათის კორელაცია არ გამოვლინდა, თუმცა სეზონის ბოლოს დამზადებულ ნედლეულში ადგილი აქვს ამ მაჩვენებლების რამდენადმე შემცირების ტენდენციას, რაც ასევე სავსებით კანონზომიერია.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ მიღებული ექსპერიმენტული მასალა სავარაუდოდ ადექვატურად ასახავს დღეისათვის საქართველოს მეჩაიეობის ტრადიციულ რეგიონებში არსებული ტიპიური ნიადაგებისა და ჩაის პლანტაციების ფიზიკო-ქიმიურ მდგომარეობასა და თვისებებს.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად მივიღეთ ერთგვარი საბაზო მონაცემები, რომლებიც კვლევის შემდეგ ეტაპზე საშუალებას მოგვცემს რელიეფურად წარმოვადგინოთ ორგანული კომპოსტებით განოციერების ზემოქმედება ნიადაგის, ნედლეულისა და მზა ჩაის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, რის საფუძველზეც ნიადაგობრივ-კლიმატური პირობების გათვალის-წინებით დამუშავდება ქართული ორგანული ჩაის წარმოების ტექნოლოგიური რეგლამენტები.

ავტორები გაწეული დახმარებისათვის მადლობას უხდიან აკად. ვ. ცა-ნავას.

ლიტერატურა

1. კოდექს ალიმენტარიუსის კომისია – ერთობლივი სს/ჯმო სასურსათო სტანდარტების პროგრამა – ორგანულად მიღებული სურსათი, თბილი, 2004.
2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, №20, 2007, №27, 2010.
3. ჟურნალი „სუბტროპიკული კულტურები“, №1-4, 2010.
4. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ინტერნეტ-კონფერენცია „ბიოუსაფრთხო კვების პროდუქტთა პრობლემები და ბიზნეს გარემო“ შრომების კრებული, ქუთაისი, 2010.
5. Steiner, Rudolf, 1993, Spiritual Foundations for the Renexal of agriculture: A course of lectures, Bio-Dynamic Farming and Gardening Association, Kimberton, PA, 310 p.
6. The 2006-2011 world outlook for Organic Foods Professor Philip M. Parker, Ph. D., c 2005 ICON Croup International, inc.



ELOPEMENT TECHNOLOGY OF PRODUCTION GEORGIAN ORGANIC TEA FIELD EXPERIMENT

Lominadze Sh., Bigvava L., Chanukvadze Ph., Chikashua Q., Jijieshvili G.

Institute of Tea, Subtropical Crops and Tea Industry of Georgia State Agrarian University

Summary

Authors consider that foundation and development of organic sector in agriculture is one of the serious directions on the way of ensuring country's population with safe food.

Results of study organic fertilizers and composts used for soil fertilization as well as results of observation on experimental plots selected for Georgian organic tea production are shown.

ამინომჟავების ფიზიოლოგიური მნიშვნელობა

ლომსიანიძე ი.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნასრომში განხილულია ამინომჟავების როლი ორგანიზმში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლის პროცესში, დახასიათებულია შენაცვლადი და შეუნაცვლადი ამინომჟავების ფიზიოლოგიური როლი, მათი დეფიციტით გამოწვეული დარღვევები, დასაბუთებულია ცილის ოპტიუმის დაცვის აუცილებლობა ადამიანის კვების რაციონში.

ორგანიზმში ცილების ნორმალური ცვლისათვის, რაც მათი სინთეზის საფუძველია, აუცილებელია საკვებთან ერთად სხვადასხვა ამინომჟავების მიღება. მისაღები ამინომჟავების რაოდენობრივი შეფარდების შეცვლით ან საკვებიდან ამა თუ იმ ამინომჟავის გამორიცხვით, აზოტოვანი ბალანსის, ზრდის, მასის და ზოგადი მდგომარეობის მიხედვით შეიძლება იმაზე მსჯელობა თუ რა მნიშვნელობა აქვს ცალკეულ ამინომჟავას. ექსპერიმენტულად დადგენილია, რომ ცილების შედგენილობაში შემავალი 20 ამინომჟავიდან 12 სინთეზირდება ორგანიზმში (შენაცვლადი ამინომჟავები), ხოლო 8 არ სინთეზირდება (შეუნაცვლადი ამინომჟავები). შეუნაცვლადი ამინომჟავების გარეშე ცილის სინთეზი მკვეთრად ირღვევა და ვითარდება აზოტის უარყოფითი ბალანსი, ჩერდება ზრდა, ეცემა სხეულის მასა.

ორგანიზმში აზოტის ძირითადი წყარო არის ცილა, ამიტომ აზოტის ბალანსით შეიძლება მსჯელობა ორგანიზმში მიღებულ და დაშლილ ცილის რაოდენობათა შეფარდებაზე. საკვებით მიღებული აზოტის რაოდენობა განსხვავდება ორგანიზმის მიერ შეთვისებული აზოტის რაოდენობისაგან, რად-



გან აზოტის გარკვეული რაოდენობა იკარგება განავალით.

აზოტის შეთვისებას ანგარიშობენ იმ სხვაობით, რომელიც არსებობს საკვებით მიღებულ აზოტსა და განავალში არსებულ აზოტს შორის. შეთვისებული აზოტის რაოდენობის ცოდნით ადვილია ორგანიზმის მიერ შეთვისებული ცილის საერთო რაოდენობის გამოთვლა, რადგან ცილაში საშუალოდ 16% აზოტია, ანუ 1 გ. აზოტს შეიცავს 6,25 გ. ცილა. მაშასადამე, თუ აზოტის მიღებულ რაოდენობას გავამრავლებთ 6,25 შეიძლება გამოვიანგარიშოთ ცილის რაოდენობა.

ამისათვის, რომ გამოვიანგარიშოთ დაშლილი ცილის რაოდენობა, საჭიროა ვიცოდეთ ორგანიზმიდან გამოყოფილი აზოტის საერთო რაოდენობა. ცილოვანი ცვლის აზოტის შემცველი პროდუქტები (შარდოვანა, შარდის მუავა, კრეატინინი და სხვა). უპირატესად გამოიყოფა შარდით და ნაწილობრივ ოფლით. ამიტომ ორაგინში დაშლილი ცილის რაოდენობის განსაზღვრისათვის პოულობენ აზოტის რაოდენობას შარდში და ამრავლებენ 6,25.

ზრდასრულ ადამიანში ადექვატური კვებისას, როგორც წესი, მიღებული აზოტის რაოდენობა ტოლია გამოყოფილი აზოტის რაოდენობისა. ამ მდგომარეობას ეწოდება აზოტური წონასწორობა.

იმ შემთხვევაში, როდესაც აზოტის მიღება ჭარბობს მის გამოყოფას ლაპარაკობენ აზოტის დადებით ბალანსზე. ამ დროს ცილის სინთეზი სჭარბობს მის დაშლას, აზოტის მდგრადი დადებითი ბალანსი აღინიშნება ყოველთვის, როდესაც მატულობს სხეულის მასა. იგი აღინიშნება ორგანიზმის ზრდის პერიოდში, ორსულობის დროს, მძიმე დაავადების შემდეგ, გამოჯანმრთელებისას და აგრეთვე გაძლიერებული სპორტული ვარჯიშის დროს, რომელსაც თან ახლავს კუნთების მასის ზრდა. ასეთ შემთხვევებში ხდება ორგანიზმში აზოტის შეკავება (აზოტის რეტენცია).

ორგანიზმში ცილების დეპონირება არ ხდება, ე.ი. არ ხდება მათი დაგროვება მარაგის სახით, ამიტომ საკვებთან ერთად ორგანიზმში მოხვედრილი ცილის მნიშვნელოვანი რაოდენობიდან მხოლოდ ნაწილი იხარჯება პლასტიკური მიზნებისათვის, უფრო დიდი ნაწილი კი ხმარდება ორგანიზმის ენერგეტიკულ მიზნებს.

როდესაც ორგანიზმიდან გამოყოფილი აზოტის რაოდენობა სჭარბობს მიღებულს, ამბობენ აზოტის უარყოფით ბალანსზე, აზოტის უარყოფითი ბალანსი აღინიშნება ცილოვანი შიმშილის დროს და აგრეთვე მაშინ, როდესაც ორგანიზმი არ ღებულობს ზოგიერთი ცილების სინთეზისათვის აუცილებელ ამინომჟავებს.

შეუნაცვლებადი ამინომჟავა ჰისტიდინი მნიშვნელოვანი რაოდენობით შედის ჰემოგლობინის, აგრეთვე კარნოზინისა და ანსერინის შედგენილობაში. ჰისტიდინი დეკარბოქსილირების დროს წარმოქმნის ჰისტამინს, რომელიც



დიდ როლს ასრულებს სისხლძარღვთა გაფართოებასა და განვლადობის გაძლიერებაში.

ვალინის ფიზიოლოგიური როლი საკმარისად არ არის შესწავლილი. მისი ნაკლებობის დროს ვირთაგეგებს აღენიშნებათ საკვებზე მოთხოვნილების დაქვეითება, მოძრაობის კოორდინაციის დარღვევა - ჰიპერესტეზია, შემდგომში ორგანიზმი კვდება.

ლეიცინის უკმარისობის დროს აღინიშნება ზრდის და წონის შეფერხება, აგრეთვე ცვლილებები თირკმლებსა და ფარისებრ ჯირკვალში.

ლიზინი შედის იმ ამინომჟავათა ტრიადაში, რომლებსაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კვების სრულფასოვნების განსაზღვრისას (ლიზინი, ტრიპტოფანი, მეთიონინი)..

მეთიონინს მიაკუთვნებენ გოგირდშემცველ ამინომჟავებს. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ორგანიზმში მიმდინარე მეთილირებისა და ტრანსმეთილირების პროცესების ნორმალიზაციაში.

ტრიფტოფანი დიდ გავლენას ახდენს ზრდის პროცესებზე და ქსოვილოვან სინთეზზე. არსებობს მონაცემები იმის შესახებ, რომ ტრიპტოფანი მნიშვნელოვან როლს ასრულებს შრატის ცილებისა და ჰემოგლობინის წარმოქმნაშიც.

ფენილალანინი მოქმედებს ფარისებრი და თირკმელზედა ჯირკვლების ფუნქციაზე, ქმნის ბირთვის თიროქსინის სინთეზისათვის, ეს უკანასკნელი კი ფარისებრი ჯირკვლის ცილის ძირითადი ამინომჟავს.

შეუნაცვლებად ამინომჟავებზე მოთხოვნილების შესწავლა და მათი ოპტიმალური შეფარდება საშუალებას იძლევა პრაქტიკულად გადაწყდეს ადამიანის საკვებში ამინომჟავების ბალანსირების პრობლემა. არსებობს მოსაზრება, რომ საკვების ამინომჟავური სრულფასოვნების შეფასებაში საკმარისია ვიხელმძღვანელოთ სამი შეუნაცვლებადი ამინომჟავას - ტრიპტოფანის, ლიზინის და მეთიონინი + ცისტინის ადრიცხვით, რომელთა შეფარდება 1:3:3 უნდა იყოს.

ის გარემოება, რომ თითოეულ ამინომჟავას თავისი დანიშნულება აქვს, არ გამორიცხავს მათ შორის როგორც ხელშემწყობ, ისე ანტაგონისტურ მოქმედებას. მაგალითად, ზოგი ამინომჟავა (ცისტინი, არგინინი) ხელს უწყობს ონკოგენური სიმსივნეების განვითარებას, ზოგი კი, პირიქით, ეწინააღმდეგება. ლიზინი და ცისტინი ხელს უწყობს ლეიკოციტოსს, ტრიპტოფანი კი აბრკოლებს მას და სხვა.

შენაცვლებადი ამინომჟავები გავლენას ახდენს ორგანიზმის მნიშვნელოვან ფუნქციებზე, რის გამოც ზოგიერთ მათგანს (გლუტამინმჟავას, ცისტინს, თიროზინს და სხვა) არანაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე შეუნაცვლებად ამინომჟავებს..



საკვების არასაკმარისი კალორიულობის დროს ცილები პირველ რიგში იხარჯება ენერგეტიკულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და არა ანაბოლური პროცესებისათვის. თანამედროვე საერთაშორისო სამედიცინო ორგანიზაციები ცილოვან - კალორიულ უკმარისობას განიხილავენ, როგორც ერთ მთლიან პრობლემას და მოითხოვენ, რომ ცილების არასაკმარისი მოხმარების და კალორიული ნაკლებობის ცალ-ცალკე შესწავლა არ შეიძლება.

ზრდასრულ ადამიანს საშუალო სიმძიმის ფიზიკური შრომის პირობებში დღეღამეში საშუალოდ სჭირდება 118 გ. ცილა.

დასავლეთში, განსაკუთრებით აშშ-ში, მეცნიერები მრავალჯერ აწარმოებდნენ გამოკვლევებს იმის დასადგენად, შესაძლებელია თუ არა ორგანიზმში შეყვანილი ცილის რაოდენობის შემცირება ისე, რომ არ დაირღვეს აზოტოვანი წონასწორობა უარყოფითი აზოტოვანი ბალანსისაკენ, ე.ი. რომ არ განვითარდეს ცილოვანი შიმშილი. ეს მკვლევარები ცდილობდნენ განესაზღვრათ ცილოვანი მინიმუმი, ე.ი. ცილის მინიმალური რაოდენობა, რომლის მიღებითაც შესაძლებელია აზოტოვანი წონასწორობის შენარჩუნება. ასეთ მინიმუმად ჩათვალეს 25-35 გ დღეღამეში (თუმცა ასეთ პირობებში აღინიშნებოდა აზოტის ქრონიკული უარყოფითი ბალანსი). შეუძლებელია ყველა გამოსაკვლევ პირში აზოტოვანი წონასწორობის მიღწევა მაშინაც კი, როდესაც ისინი დღეღამეში 50 გ. ცილას ღებულობენ. ეს ფაქტები მოწმობენ, რომ დაუშვებელია საკვებში ცილის ნორმის მკვეთრად შემცირება, რადგან ხანგრძლივად ცილის მიღების შეზღუდვამ შეიძლება უარყოფითი შედეგი გამოიღოს დროის შედარებით დიდი ინტერვალის შემდეგ. დადგენილია, რომ ცილის მცირე რაოდენობით მიღებისას ქვეითდება ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარი ინფექციისადმი. ცილის რაოდენობა საკვებში უნდა იყოს აზოტურ ნაერთებზე მინიმალურ მოთხოვნილებაზე მაღალი, ვინაიდან საჭიროა გარკვეული რეზერვი, რომელიც გამოიყენება ფიზიოლოგიური მოქმედების გაძლიერების დროს.

ამრიგად, საკვები რაციონის შედგენისას აუცილებელია ორიენტაციის აღება არა ცილის მინიმუმზე, არამედ ცილის ოპტიმუმზე, ე.ი. საკვები ცილის იმ რაოდენობაზე, რომელიც საკვებით უზრუნველყოფს ორგანიზმის მოთხოვნილებას, კარგ გუნება-განწყობას, მაღალ შრომისუნარიანობას, საკმაო წინააღმდეგობის უნარს მანვე ფაქტორებისადმი, ხოლო ბავშვებში ზრდის პროცესებს.

ლიტერატურა:

1. მ. ზურაბიშვილი – „კვების პიგიენა“, თბილისი, 1989 წ.
2. გ. მიქელაძე – „კვების ფიზიოლოგია“, თბილისი, 1988 წ.
3. მ. კოკინაშვილი – „ნივთიერებათა ცვლის მოშლა“, თბილისი, 1988 წ.
4. მ. კოკინაშვილი – „სამედიცინო ბიოქიმია“, თბილისი, 1996 წ.
5. Физиология пищеварения - В серии "Руководство по физиологии", Л. 1974 г.



THE PHYSIOLOGICAL IMPORTANCE OF AMINO ACIDS

Lomsianidze I.

Akaki Tsereteli State University

Summary

By means of changing the quantitative ratio of amino acids or deducting some amino acids from the food ration and according to the nitrogen balance, growth, weight and general conditions the importance of each amino acid can be judged.

A facilitating as well as antagonist action can be found among individual amino acids.

It is established that the protein quantity in food should be higher than the minimal requirement towards the nitrogen compounds, since several reserves are necessary to be used in case of the intensification of a physiological action.

When composing food ration it is necessary to aim not at minimization of the protein but at its optimization that will fully meet body requirements.

თანამედროვე ბიოტექნოლოგიური მეთოდების გამოყენების შესაძლებლობა ვაზის სანამყენო ფორმების მიღებისათვის

მანჯგალაძე ს.

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თანამედროვე ბიოტექნოლოგიური მეთოდების გამოყენებით შესაძლებელია ქართული ვაზის ჯიშების in vitro კულტურაში მასიური გამრავლება, უვირუსო კულტურების მიღება, მიკროკაღმების დაფესვიანება და მცენარე-რეგენერანტების მიღება.

საქართველო აგრარული ქვეყანაა და მეტად აქტუალურია მაღალმოსავლიანი, ეკოლოგიურად სუფთა და გენეტიკურად ჯანსაღი სანერგე მასალის წარმოება და დანერგვა. სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო მნიშვნელობის მქონე კულ-ტურების სანერგე და სანამყენე მასალის მასიურად მისაღებად დიდ ყურადღებას იმსახურებს ქსოვილური კულტურების მეთოდის გამოყენება, რომლის შედეგადაც გაუმჯობესდება არა მარტო მიღებული ფორმების მოსავლიანობის, სიცოცხლისუნარიანობის და ადაპტაციის ხარისხი, არამედ პარალელურად გავრცელება გა-მორჩეული მორფოლოგიური, ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური ნიშანთვისებების მქონე ფორმები.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზნად დავისახეთ აჭარაში გაე-



რცელებული, საქართველოსათვის ენდემური ვაზის ჯიშის, “ჩხავერი“-ს სწრაფი და მასიური გამრავლებისათვის უახლესი მეთოდების გამოყენება და სახალხო მეურნობაში დანერგვის პერსპექტივების შესაძლებლობა (1,2).

ექსპერიმენტულ ბოტანიკასა და ფიზიოლოგიაში ორ უდიდეს მოვლენად ითვლება მცენარეთა ზრდის და ორგანოთა ფორმირების ჰორმონალური რეგულაციის შესაძლებლობა და ქსოვილებისა და ცალკეული უჯრედების კულტივირებისათვის საჭირო მეთოდური ოპერაციები, რომელთა განხორციელების შედეგადაც შესაძლებელია ინ ვიტრო პირობებში მცენარეთა რეგენერაცია.

ყველა ამ სამუშაოს განხორციელებისას, შემუშავდება სხვადასხვა შერჩეული ფორმების მცენარე-რეგენერანტების სწრაფად და მასიურად მიიღების ტექნოლოგიები, რომლებსაც შენარჩუნებული ექნებათ ყველა ის ნიშან-თვისება, რისთვისაც გამორჩეული იყვნენ თავდაპირველად. ეს შეეხება მათ მორფოლოგიურ, ბიოქიმიურ, ფიზიოლოგიურ მახასიათებლებს. საბოლოოდ შესაძლებელი გახდება მათი გავრცელება სავსელე პირობებში და დამკვიდრება სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკაში.

კვლევის ობიექტს წარმოადგენდა *in vitro* კულტურაში, საკუთრივ მიკროგამრავლების ეტაპზე მიღებული 40-50 მმ სიმაღლის მიკროკალმები (3)(4) სურ.1. მათ კულტივირებას ვაწარმოებდი მერასიგე-სკუგის განახევრებული მინერალური მარილების შემადგენლობის საკვებ არეზე. ფესვების ინიცირებისა და ფესვთა სისტემის განვითარებისათვის საკვებ არეს ვუმატებდით აუქსინური ბუნების ფიტოჰორმონებს. გამოვცადეთ ინდოლილერბომჟავას (იემ) და ნაფტილმარმჟავას (ნმმ) სხვადასხვა კონცენტრაციების გავლენა დაფესვიანების პროცესზე. შევისწავლეთ თითოეული ფიტოჰორმონის 5, 10, 15, 20 მკმ კონცენტრაციის გავლენა და მოქმედება მიკროკალმების დასაფესვიანებლად. კულტურებს ვათავსებდით ფიტოტრონში 25°C ტემპერატურაზე, 16/8 ფოტოპერიოდის პირობებში. ეტაპობრივად ვახდენდით დაკვირვებასა და აღრიცხვას.



ცალკე-ცალკე შევისწავლეთ აუქსინების 5, 10, 15, 20 მკმ კონცენტრაციის გავლენა დაფესვიანების პროცესზე. ექსპერიმენტებმა გვაჩვენა, რომ იემ და ნმმ-ას გამოყენებამ 5 მკმ კონცენტრაციით ვერ უზრუნველყო ფესვების ინიცირება და მათი შემდგომი ზრდა-განვითარება. ცალკეულ შემთხვევაში ფესვების ინიცირება კი ხდებოდა, მაგრამ მათი ზრდა შეფერხებული იყო კალუსური ქსოვილის განვითარების გამო.

10 მკმ კონცენტრაციით ფიტოფორმონების გამოყენების დროს, ორივე ფიტოჰორმონის შემთხვევაში ფესვების ინიცირება და მათი შემდგომი ზრდა სწრაფად მიმდინარეობდა და 20-25 დღის ბოლოს ვლენობლით კულტურებს კარგად განვითარებული ფსვთა სისტემით. მაგრამ ამ შემთხვევაშიც შეიმჩნეოდა განსხვავება იემ-ს და ნმმ-ს მოქმედებას შორის. ნმმ-ს გამოყენებისას ფესვები სიგრძეში კი იზრდებოდნენ, მაგრამ ძალიან წვრილი და შეუბუსავი ფესვები ვითარდებოდა. ასეთი კულტურები აკლიმატიზაციას ვერ გადიოდნენ, რადგანაც ფესვები ვერ უზრუნველყოფდა ნიადაგიდან წყლის შეწოვას და მცენარეთა კვებას. რაც შეეხება იემ-ას, 10 მკმ კონცენტრაციის გავლენით ფესვების სიგრძეში ზრდა სწრაფად მიმდინარეობდა და დიამეტრით უფრო მსხვილი და შებუსული იყო. 90% კულტურებისა კარგად დაფესვიანდა და პარალელურად შეინიშნებოდა აპიკალური კვირტის განვითარება და ელორტის სიმადლეში ზრდა.

ფიტოჰორმონების კონცენტრაციის მომატება, ორივე შემთხვევაში უარყოფითად მოქმედებდა მორფოგენეზზე. იწვევდა ბაზალური ნაწილის და ღეროს გამსხვილებას, ფესვებიც მსხვილი და მოკლე ვითარდებოდა. ფოთლები ზომაში მატულობდა. ახალი კვირტების განვითარება საერთოდ არ მიმდინარეობდა.

შემდგომში, ექსპერიმენტის მიზანს წარმოადგენდა დაფესვიანებული მიკროკალმების აკლიმატიზაცია და გამოწოთობა ატმოსფერული ჰაერით სუნთქვასა და ნიადაგში არსებობასთან ადაპტაციის მიზნით. სანამ მოგახდენდით დაფესვიანებული კულტურების სუბსტრატში გადატანას, მანამ კოლბებს, რაშიც ეს კულტურები იყო გაზრდილი, ვაძრობდით საცობებს და 10 დღის განმავლობაში საკუთარ კულტურალურ ჭურჭელში აგრზელებდნენ არსებობას და პარალელურად ეხვეოდნენ ატმოსფერული ჰაერით სუნთქვას. აგარიან საკვებს ყოველ დღე ვავლებდი წყალს რათა არ გამომშრალიყო და შეფერხებულიყო მაკრობების გაჩენა. ამ პერიოდის გასვლის შემდეგ კი კულტურებს სააკლიმატიზაციო ჭურჭელში ვრგავდით. სუბსტრატი იყო წინასწარ დაორთქლილი ნიადაგისა და ქვიშის ნარევი 1:1, ამ სუბსტრატს ვტყავდი მურასიგე-სკუგის მინერალური მარილების წყალხსნარით. უნდა ავღნიშნო ის ფაქტი, რომ აგარის ნარჩენებს არ ვაცილებდით ფესვებს რათა არ მომხდარიყო მათი დაზიანება და ისე ვრგავდით კარგად დატკეპნილ სუბსტრატში. 3 დღის განმავლობაში სააკლიმატიზაციო ჭურჭელს ვაფარებდით მინას, ტენიანობის შენარჩუნების მიზნით, მაგრამ პერიოდულად ვაძროდდით საფარს გადახურებისაგან დასაცავად. ერთი კვირის შემდეგ ნათლად გარკვეული იყო აკლიმატიზირებული მცენარეების მდგომარეობა. ამ მეთოდის გამოყენებით 85



% კულტურებისა ინარჩუნებდა სიცოცხლისუნარიანობას და ახალი აპიკალური კვირტის განვითარების შემდეგ მცენარეები მზად იყო გრუნტში გადასატანად.

ყოველივე აქედან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ *in vitro* მეთოდის გამოყენებით შესაძლებელია „ჩხავერის“ მიკროგამრავლება და შესწავლილია რეგენერანტების მიღების შესაძლებლობებიც, ასევე პერსპექტიულია ამ გზით სხვადასხვა აბორიგენული ვაზის ჯიშების გამრავლება და მასიურად სანამყენე ვაზის ფორმების წარმოება.

ლიტერატურა

1. მანჯგალაძე ს., ზარნაძე ნ., ზარნაძე რ., ალასანია ნ. ზრდის რეგულატორების გავლენა ვაზის ენდემური ჯიშის “ჩხავერის” მიკროკლონურ გამრავლებაზე. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები, ბათუმი, 2003 წ., გვ. 31-37.
2. მანჯგალაძე ს., ზარნაძე ნ., ლომთათიძე ნ., ალასანია ნ. ვაზის ჯიშში “ჩხავერი“-ს ინ ვიტრო კულტურაში მიკროკლონური გამრავლების რეგულირება ზრდის რეგულატორების თანაფარდობის ცვალებადობის მიხედვით. ბათუმის ბოტანიკური ბაღის მოამბე, ბათუმი, 2003 წ., 32, გვ.121-123.
3. ალასანია ნ., მანჯგალაძე ს., ლომთათიძე ნ., ცქვიტინიძე ს. საკვები არის გავლენა ვაზის ჯიშის “ჩხავერი“-ს გამრავლების ინ ვიტრო სისტემაში. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, თბილისი, 2007 წ., № 3, გვ. 94-96.
4. ალასანია ნ., მანჯგალაძე ს., ხომერიკი ქ. ხელოვნური საკვები არეებისა და ფიტოჰორმონების თანაფარდობის დადგენა ვაზის ჯიშ “ჩხავერი“-ს ინ ვიტრო კულტურაში გამრავლებისათვის. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი, მედიცინა, შრომები XII , 2008 წ., გვ. 96-99

POSSIBILITY OF APPLICATION OF MODERN SCIENTIFIC APPROACHES FOR RECEPTION SHOOT GRAPES FORMS

Manjgaladze S.

Shota Rustaveli State University

Summary

Georgia is an agrarian country and it is more actual to produce and establish highly fruiting, ecologically clean and genetically healthy nursery material. In order to get virus less nursery and engrafting material cultures of agricultural and industrial importance, the method of tissue cultures should be considered. The result of which will be harvesting, viability and adaptation of the received forms, but simultaneously forms having distinguished morphologic, physiologic and biochemical peculiarities will be spread.

Were worked out the optimal conditions of vine “Tskaveri’s” microloan reproduction in the bubs culture. It was studied that, the hormonal and mineral ingredients of food cause the massive regeneration of adventure bubs from explantals.



კავკასიური დეკას ფოთოლი – პერსპექტიული ნედლეული “მატეს” ტიპის ჩაის მიღებისათვის

მელქაძე რ., კერესელიძე ო.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ცენტრი

სტატიაში განხილულია კავკასიური დეკას ფოთლების დიაგნოსტიკური და ხარისხობრივი მახასიათებლები.

კვლევა განხორციელდა ფოთლების ფლავონოიდურ ნივთიერებებზე და მათ ცვალებადობაზე ვეგეტაციის პროცესის განმავლობაში. დამტკიცებულია, რომ ფლავონოიდური ნივთიერებები შეიცავენ შემდეგ კომპონენტებს – კატეჩინებს (19,2 - 36,1 მგ/გ), ლეიკოანთოციანიდებს (164-209 მგ/გ) და ფლავონოიდებს (15,1-34,0 მგ/გ).

ფლავონოიდების ცვლილების ხასიათი შემდგენიარად ვლინდება: ყვავილობის დროს (მაის-ივნისში) მათი საერთო რაოდენობა ოდნავ მცირდება (163,6 მგ/გ), მატულობს აგვისტოში (279,1 მგ/გ) და იკლებს ვეგეტაციის პერიოდის ბოლოს (211,8 მგ/გ).

გამოკვლევულია ტექნოლოგიური პარამეტრები კავკასიური დეკას ფოთლებიდან ჩაის პროდუქტის მიღებაზე, დადგენილია ნედლეულის გადამუშავების ოპერაციები: ღნობა, დაქუცმაცება, მოხალვა, თერმული დამუშავება, განმეორებითი დაქუცმაცება და დახარისხება.

ნაჩვენებია, რომ მიღებული ჩაის პროდუქტი განსხვავდება შავი და მწვანე ჩაებისაგან ორგანული მახასიათებლებით და უფრო ენათესავება პარაგუაის ჩაის „მატეს“.

ეს დასკვნა შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც მნიშვნელოვანი მტკიცებულება „მატეს“ ჩაის ნედლეულის ბაზის გაფართოებისათვის საქართველოს სუბტროპიკების პირობებში.

საკვანძო სიტყვები: კავკასიური დეკა, დიაგნოსტიკური მახასიათებლები, ფლავონოიდები, ჩაის პროდუქტი „მატეს“.

1. შესავალი

დეკა მიეკუთვნება Ericaceae D.C ოჯახს. მცენარეები ამ ოჯახიდან ფართოდაა გავრცელებული ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ზომიერი კლიმატის არეალში, განსაკუთრებით სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და ჰიმალაის მთებში. დეკას სახეობები აგრეთვე იზრდება არქტიკულ ზონაში, მაღალ კუნძულებზე, ახალ გვინეასა და ჩრდილო ავსტრალაში. საქართველოში გავრცელებულია ამ მცენარის 5 სახეობა: ესენია: კავკასიური დეკა, შქერი, უნგერნი, სმირნოვი და ყვითელი .

პრაქტიკული გამოყენების მხრივ მნიშვნელოვანია კავკასიური დეკა, რომელიც მიეკუთვნება კავკასიის ენდემურ მცენარეთა ჯგუფს. საერთო ფართობი, რომელიც უჭირავს საქართველოში ამ მცენარეს, შეადგენს 120 ათას ჰექტარს.

დეკა მარადმწვანე ბუჩქია, რომლის სიმაღლე შეადგენს 1,5 მ-ს. მისი



ფოთლები მუქი მწვანე ფერისაა და მოგრძო ოვალური ფორმის, ფოთლის სიგრძე 4,5–12 სმ-ია და მოკლე, აქვს მოწითალო ფერის ღერო. მცენარის ყვავილები, რომლებიც ივნის–ივლისში ყვავილობენ, ვარდისფერია და აქვს სასიამოვნო სუნი. მცენარე იზრდება მაღალმთიან რეგიონში 1600-3000 მ-ის სიმაღლეზე ზღვის დონიდან. დეკა აგრეთვე გავრცელებულია საქართველოს მთიან რაიონებში.

კავკასიური დეკა ყვავილობს მაის–ივნისში, ორ წელიწადს და ჭკნება მესამე წლის ბოლოს.

ფოთლის სტრუქტურა განსხვავდება ვეგეტაციის სხვადასხვა პერიოდების მიხედვით: ბოლო წლის ფოთლები (მეორე წლის სამწლიანთან ერთად) ჭარბობს გაზაფხულზე და შემოდგომაზე.

ლიტერატურულ მონაცემებზე დაყრდნობით, დეკას ფოთლები შეიცავენ ტერპენებს, მუავებს სტეროიდებს, ჩ და - ვიტამინს, ფენოლებს და მათ წარმოებულებს – არბუთინს, კატექინებს, ტანინებს, ფლავონიდებს, ანტოციანებს.

დადგენილია, რომ ფოთლებიდან დამზადებული ექსტრაქტი როგორც წყლიანი, ისე სპირტული ეფექტურად ებრძვის ბაქტერიულ მიკრობებს და ამ ტიპის სხვა დაავადებებს.

ხალხურ მედიცინაში მცენარის ფოთლებიდან დამზადებული ნაყენი გამოიყენება სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ. ესენია: ეპილეფსია, თავის ტკივილი, უძილობა, საშარდე ბუშტის დაავადებები, რევმატიზმი, დიზენტერია და ა.შ..

ამას გარდა სახალხო მედიცინის მიხედვით დეკა გამოიყენება ჰაერის უკმარისობის სინდრომის სამკურნალოდ.

წყალ-სპირტული ნაყენი არეგულირებს წნევას. ის შეიცავს კუნთების მოქმედების მასტიმულირებელ ნივთიერებებს.

საქართველოს მთის მოსახლეობა კავკასიური დეკას გამომშრალ ფოთლებს იყენებს, როგორც ეფექტურ მატონიზირებელ საშუალებას და როგორც ჩაის სრულფასოვან შემცველს.

ზემოთმოყვანილი მასალების საფუძველზე, ჩვენ მოცემულ ნაშრომში მიზნად დავისახეთ დეკას ფოთლების მახასიათებლების დეტალური შესწავლა მისი პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით.

2. მასალები და მეთოდები

კვლევის საგანს წარმოადგენდა საქართველოს კავკასიონის ალპურ ზონაში (სვანეთისა და რაჭა–ლეჩხუმის ფართობზე) გავრცელებული კავკასიური დეკას ორწლიანი ფოთლები.

ფოთლების დიაგნოსტიკური მახასიათებლების შესწავლა განხორციელდა მიკროსკოპული, ხოლო თვისობრივის – ქიმიური შემადგენლობის განსაზღვრის მეთოდებით.



ამის გარდა, ჩვენ ჩავატარეთ დამატებითი ლაბორატორიული ცდები კავკასიური დეკადან ჩაის პროდუქტის დამუშავებაზე შემდეგი ტექნოლოგიური ოპერაციების საფუძველზე:


ნედლი ფოთლებს ვათავსებდით კოხის აპარატში და ვაფიქსირებთ წყლის ორთქლით 3-5 წთ-ის განმავლობაში; შემდეგ ვაგრილებდით ოთახის ტემპერატურამდე და ვატარებდით „კუტერის“ ტიპის ხორცსაკეპ მანქანაში, 3-5 მმ ზომის ნაწილაკებამდე.

დაქუცმაცებული ნედლეულს ვხალავდით ლაბორატორიულ სახალავ ტაფაზე 150-160⁰ჩ-ზე 10-15 წთ-ის განმავლობაში, ვაგრილებდით და ვათავსებდით ლაბორატორიულ საშრობში 70-75⁰ჩ ტემპერატურაზე და ვაყოვნებდით 4-6 სთ-ის განმავლობაში. დაქუცმაცებული ნედლეულის ნაწილაკებს ვაგრილებდით და ვცრიდით ვიბროსაცრებში.

შემდეგ ვახდენდით მიღებული პროდუქტის ორგანოლეპტიკურ შემოწმებას დეგუსტირებით.

3. შედეგები და მსჯელობა

კავკასიური დეკას ფოთლების მიკროსკოპული ანალიზის საფუძველზე დადგინდა შემდეგი დიაგნოსტიკური მახასიათებლები:



ნახაზი. კავკასიური დეკას ფოთლების ეპიდერმისის სტრუქტურა

- 1-პარაციტული ტიპის ბაგე
საკონდიტრო მრეწველობა ამზადებს ფართო ასორტიმენტის ფქვილოვან ნაწარმს, რომელიც გამოირჩევა თავისი გემოვნებით, ნაზი არომატით, რეცეპტურით და ლამაზი გარეგნული გაფორმებით. საკონდიტრო ნაწარმს ასეთ თვისებებს ანიჭებს მის დასამზადებლად გამოყენებული სხვადასხვა სახის კვებითი ნედლეული (შაქარი, თაფლი, ბადაგი, საკვები მჟავები, არომატული ნივთიერებები და სხვა). ნედლეულის განსხვავება განაპირობებს ნახევარფაბრიკატების თვისებების განსხვავებულობასაც. აქ ფართოდ გამოიყენება როგორც მცირე, ასევე მაღალი სიბლანტის მქონე საკვები მასები, რომლებსაც ახასიათებთ მნიშვნელოვანი ძვრის ზღვრული დაძაბულობები, სიმკვრივე და ადჰეზიური თვისებები და რომლებიც ამცირებენ მათ დენადობას. აღნიშნული თვისებების გამო ასეთი მასების ცხოვილის ზედაპირზე წასვება, ბუნკერიდან ჩამოდინება, ან ტრანსპორტირება გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ დღეისათვის წარმოებაში თითქმის არ გამოიყენება ცხოვილზე კრემის წამსვები მანქანები. არსებული მემქანიზმები კი ძალზე მცირე მწარმოებლობით ხასიათდება, მოუ-



ხერხებელია გამოყენებისათვის და ემსახურება ძირითადად ცალკეული ოპერაციების შესრულებას.

ჩვენს მიერ დამუშავებულია მაღალი სიბლანტის მქონე მასების (კრემის) ცხობილზე წამსვები ახალი მოწყობილობა, რომლის პრინციპული სქემა წარმოდგენილია ნახ. 1–ზე.

ცხობილზე მაღალი სიბლანტის კრემის წამსვები მოწყობილობა შეიცავს უჟანგავი ფოლადისაგან დამზადებულ და ვერტიკალურად განლაგებულ ბუნკერს 1, რომლის შიგა კედლებთან მინიმალური ღრეხობით დაცილებულია ასევე უჟანგავი ფოლადისაგან დამზადებული ვერტიკალური გადაადგილების მქონე სახურავი 2. ბუნკერს 1 განივკვეთში აქვს მართკუთხედის ფორმა. ბუნკერის ძირში ჰორიზონტალურად განლაგებულია ცილინდრული ფორმის მქონე გორგოლაჭი 3 ისე, რომ ბუნკერის ვერტიკალური კედლის 4 გასწვრივ მდებარეობს ამ გორგოლაჭის ჰორიზონტალური ღერძი. გორგოლაჭი 3 და ბუნკერის ვერტიკალური კედელი 4 მინიმალური ღრეხოთია ერთმანეთისაგან დაცილებული. ამ ვერტიკალური კედლის 4 მოპირდაპირე კედლის 5 გორგოლაჭის 5 გასწვრივ მდებარე ქვედა ნაწილი 6 დახრილია ჰორიზონტალურად დიამეტრის გასწვრივ. ეს წიბო აღჭურვილია გორგოლაჭსა 3 და კედლის ქვედა ნაწილს 6 შორის ღრეხოს 7 სარეგულირებელი ფართით 8. გორგოლაჭის 3 ლილვი კონუსური გადაცემით 9 დაკავშირებულია ვერტიკალურ ლილვთან 10, რომელიც თავის მხრივ კბილანური გადაცემით 11 დაკავშირებულია ვერტიკალური ბრუნვის ღერძის მქონე კბილანასთან 12. კბილანას 12 შიგნით განლაგებულია ქანჩი 13, რომელიც დასმულია საგალ ხრახნზე 14. საგალი ხრახნი, თავის მხრივ, დამაგრებულია ბუნკერის სახურავზე 2. სახურავის 2 ზედა კიდურა მდებარეობიდან 5–10 მმ–ით ქვემოთ ბუნკერის ვერტიკალურ კედელში 5 გაკეთებულია ჩამტვირთი ხვიმირა 15.


მოწყობილობა განლაგებულია ცხობილის მიმწოდი ტრანსპორტიორის 16 თავზე ისე, რომ კრემის წამსვები გორგოლაჭის 3 დაშორება ტრანსპორტიორის მუშა შტოს ზედაპირიდან ამ შტოზე განლაგებული ცხობილის სისქეზე 2–3 მმ–ით ნაკლები იყოს.

მოწყობილობა შემდეგნაირად მუშაობს.

ბუნკერის სახურავის 2 ზედა კიდურა მდებარეობაში ყოფნის პირობებში ჩამტვირთი ხვიმირას 15 გავლით ბუნკერში 1 ჩაიტვირთება მაღალი სიბლანტის მქონე მასა (კრემი), რომელიც შეავსებს ბუნკერის მთელ მოცულობას. ამის შემდეგ ჩაირთვება ცხობილის მიმწოდი ტრანსპორტიორი 16, რომელიც ახდენს ცხობილების გრძივად გადაადგილებას გორგოლაჭისაკენ 3. ტრანსპორტიორსა და გორგოლაჭს 3 შორის არსებული მანძილის გამო (ეს მანძილი ნაკლებია ცხობილის სისქეზე 2–3 მმ–ით) გორგოლაჭის ცხობილთან



შეხების შემდეგ ხდება ამ გორგოლაჭის გადაგორება ცხობილის ზედაპირზე. გორგოლაჭი იწყებს ბრუნვით მოძრაობას და ამ ბრუნვას კონუსური 9 და კბილანური 11 გადაცემების დახმარებით გადასცემს კბილანას 12 შიგნით განლაგებულ ქანჩს 13. ეს უკანასკნელი იწყებს ბრუნვით მოძრაობას საკუთარი ღერძის გარშემო, რის შედეგადაც მასთან მოდებაში მყოფი ხრახნი 14 იწყებს გადაადგილებას ვერტიკალურად ზევიდან ქვევით. ეს კი განაპირობებს ხრახნზე 14 დამაგრებული სახურავის 2 გადაადგილებას ქვევით. ამის შედეგად სახურავი ზევიდან აწვება მაღალი სიბლანტის მქონე კრემს და გამოდევნის მას გორგოლაჭსა 3 და სარეგულირებელ ფარს 8 შორის არსებული ღრეხოს 7 გავლით. ღრეხოდან გამომავალი კრემი გორგოლაჭის 3 ბრუნვის პირობებში ზემოდან წაესმება ცხობილს.



ნახ. 1. ცხობილზე კრემის წამსვები მექანიზმის პრინციპული სქემა

როგორც კი ცხობილი გასცილდება გორგოლაჭს და მათ შორის კონტაქტი შეწყდება, გორგოლაჭი გაჩერდება. ეს იწვევს სახურავის 2 შეჩერებას და კრემის ღრეხოს 7 გავლით გამოდინების შესაბამის შეწყვეტას. კრემის თვითდინებით ჩამოდვრა გამორიცხულია მისი მაღალი სიბლანტის გამო.

როდესაც გორგოლაჭი 3 შეხებაში მოვა ტრანსპორტიორზე 16 მოძრავ მეორე ცხობილთან, იგი კვლავ იწყებს ბრუნვას და ზემოთ აღწერილი თანა-



მიმდევრობით ახდენს კრემის წასვებას უკვე ამ მეორე ცხობილზე. აღნიშნული წესით ცხობილებზე კრემის წასვება გრძელდება მანამ, სანამ სახურავი 2 არ მიაღწევს ქვედა კიდურა მდებარეობას. ამის შემდეგ მომსახურე პერსონალი გორგოლაჭის 3 რევერსიული ბრუნვით აიყვანს სახურავს 2 ზედა კიდურა მდებარეობაში და კრემის ახალი ულუფით შეავსებს ბუნკერს 1.

როგორც ვხედავთ, წარმოდგენილი კონსტრუქცია ახორციელებს ცხობილებზე კრემის წასვებას დანაკარგების გარეშე. ეს უზრუნველყოფილია მექანიზმის კონსტრუქციული სიახლით, რადგან კრემის ჩამოღინება და ცხობილზე წასმა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ცხობილი შეხებაში მოდის გორგოლაჭთან. ამასთან, გორგოლაჭი ერთის მხრივ უზრუნველყოფს კრემის ჩამოღინებას ზუსტად საჭირო მომენტში (ცხობილის მიწოდების პირობებში), ხოლო მეორეს მხრივ იგი ხელს უწყობს ცხობილის ზედაპირზე კრემის მაქსიმალური თანაბრობით განაწილებას. ეს კი, საერთო ჯამში, გამორიცხავს კრემის დანაკარგებს, აუმჯობესებს სანიტარულ პირობებს და უზრუნველყოფს ცხობილზე კრემის წასვების ხარისხის და მწარმოებლობის ამაღლებას.

ლიტერატურა

1. ე.სადალაშვილი, ს.მღებრიშვილი. მკვებვი ბუნკერების გამოსასვლელი ფანჯრის მინიმალური ზომების დადგენა მაღალი სიბლანტის მქონე საკვები მასებისათვის. სტუ. თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები № 4 (474). 2009 წ. 119–122 გვ.
2. ს.ო.მღებრიშვილი. ანტიადგეზიური მუყაოს გამოყენება ცხობის პროცესში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის “გამოყენებითი ქიმიის პრობლემები“ შრომათა კრებული. თბილისი: 2011 წ. 140–144 გვ.
3. Е.П.Козьмина. Технология производства изделий из теста в общественном питании. Экономика. М. 1979 г - 151 с.

THE NEW EQUIPMENT FOR THE CREAM GREASE ON THE BISCUITS

Megrelidze T., Mgebrishvili S., Sadagashvili E., Gugulashvili G.

Technical university of Georgia

Summary

The principle scheme of the new equipment for the cream grease on the biscuits is presented. With the using of this equipment it is possible to achieve diminish of the cream loss, the improvement of the sanitary terms, and increase of the cream grease process quality and productivity.



მემბრანის ფორმის ზომის განსაზღვრის ინოვაციური მეთოდი

რუხაძე შ., აფრიდონიძე მ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში განხილულია პოლიმერული მემბრანების ფორმის ზომების განსაზღვრის მეთოდი, რომელიც დამყარებულია ფორმებში კაპილარული ძალების მოქმედების ეფექტზე. კაპილარში გარკვეულ სიმაღლეზე ასული სითხე შეიძლება უკან დავაბრუნოთ წნევით, რომლის სიდიდეც ეკვივალენტურია კაპილარში სითხის სვეტის სიმაღლის. მაშასადამე, თუ გავზომავთ წნევას, რომლის დროსაც სითხე გამოიდევნება კაპილარიდან შეიძლება გამოვთვალოთ მისი დიამეტრი. მემბრანული ფილტრაციის დროს შეიძლება ჩავთვალოთ, რომ მემბრანის ფორმები ეკვივალენტურია კაპილარების და წყალი ამ ფორმებში კავდება იმავე სახით - კაპილარული ძალებით.

მემბრანული გაყოფის პროცესის ხარისხიანად წარმართვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მემბრანის სწორად შექვევას. მემბრანების დამამზადებელი ფირმები თავიანთ კატალოგებში უჩვენებენ მემბრანის ფორმის ზომებს სიზუსტით, რომელიც არ შეესაბამება სინამდვილეს. მემბრანებისათვის უჩვენებენ ფორმის ზომების ან ნომინალურ, ან აბსოლიტურ მნიშვნელობებს. ნომინალური ზომა აღნიშნავს, რომ მემბრანის მიერ შეკავდება ნაჩვენები ზომის ნაწილაკების საერთო რაოდენობის რაღაც ნაწილი (ბევრ შემთხვევაში 98%-მდე). მაშინ, როდესაც აბსოლიტური ზომა ნიშნავს, რომ ყველა 100% ნაჩვენები ზომის ნაწილაკებისა რჩება მემბრანაზე. უნდა აღნიშნოთ, რომ ამ მარკირებებიდან არც ერთი არ ეკუთვნის უშუალოდ ფორმის ზომებს, არამედ გულისხმობს მემბრანის მიერ შეკავებული ნაწილაკების ზომებს.

როგორ ზომავენ მემბრანების ფორმის ზომებს? ძველ მეთოდებში ამისათვის იყენებდნენ სტანდარტული ზომის ოქროს კოლოიდური ნაწილაკების სუსპენზიებს. საზღვრავდნენ რა მემბრანაში გასული უმცირესი ნაწილაკების ზომებს, შეედლოთ შეფასებინათ ფორმის ზომები. მიუხედავად იმისა, რომ ამ მეთოდის განხორციელება არ არის დაკავშირებული რაიმე სირთულესთან, მას აქვს რიგი შეზღუდვები. ჯერ ერთი ნაწილაკების ზომები უნდა განისაზღვროს დამოუკიდებელი გაზომვების დახმარებით, მაგ. ელექტრონულ მიკროსკოპზე ან ულტრაცენტრიფუგირებით და მეორეც ნაწილაკებზე, რომელთა ზომები მცირეა ფორმის ზომებთან შედარებით შეიძლება მოახდინოს შემაკავებელი მოქმედება ადსორბციამაც, რასაც მიყვავართ მცდარ შეფასებამდე. რაც შეეხება სტანდარტულ ბაქტერიოლოგიური სუსპენზიების გამოყენებას, მას მართალია იყენებენ მემბრანების მთლიანობის დასადგენად, მაგრამ ფორმის ზომების რაოდენობრივი შეფასებისათვის ასეთი სუსპენზიები არ მოგვიტანენ დიდ



სარგებელს.

ფორების ზომების განსაზღვრისათვის გთავაზობთ ე.წ. ბუშტუკის წერტილის მეთოდს. არა მარტო თავისი სიმარტივის გამო არამედ იმიტომაც, რომ ფორების ზომების რაოდენობრივი განსაზღვრა მისი დახმარებით არ ახდენს გავლენას მემბრანის საწყის მახასიათებლებზე.

ბუშტუკის წერტილის მეთოდი დაფუძნებულია კაპილარობის ეფექტზე, რომლის თანახმადაც კაპილარში წყლის სვეტის სიმაღლე, მისი დიამეტრის უკუპროპორციულია. კაპილარში წყალი კავდება ზედაპირული დაჭიმულობის ძალებით და თუ კაპილარის დიამეტრი შემცირდება წყლის სვეტის სიმაღლე მოიმატებს. თუმცა წყალი, რომელიც კაპილარში ასულია გარკვეულ სიმაღლეზე, შეიძლება უკან დავაბრუნოთ წნევით, რომლის სიდიდეც ეკვივალენტურია კაპილარში წყლის სვეტის სიმაღლის. მაშასადამე, თუ გავზომავთ წნევას, რომლის დროსაც წყალი გამოიდევნება კაპილარიდან შეიძლება გამოვთვალოთ მისი დიამეტრი. მემბრანული ფილტრაციის დროს შეიძლება ჩავთვალოთ, რომ მემბრანის ფორები ეკვივალენტურია კაპილარების და წყალი ამ ფორებში კავდება იმავე სახით - კაპილარული ძალებით.

ფილტრის (მემბრანის) დამჭერი მოწყობილია ისეთნაირად, რომ მემბრანის ზედა ნაწილი კონტაქტშია სითხესთან, ხოლო ქვედა - ჰაერთან. ფილტრის დამჭერის კორპუსი შეერთებულია შეკუმშული ჰაერის წყაროსთან, რომლის წნევაც შეიძლება ვარგეულიროთ. გაზომვების დროს წნევას თანდათან უმატებენ, ამ დროს მემბრანის ზემოთ სითხეში აღინიშნება ბუშტუკების გამოჩენა. ბუშტუკების წარმოქმნის წერტილს ქვემოთ წნევაზე გაზი გაივლის მემბრანას მხოლოდ დიფუზიით, ხოლო როცა წნევა ხდება საკმაოდ მაღალი, ისე რომ სითხე გამოიდევნება ფორებიდან, ადგილი აქვს აირის მოცულობით დინებას (ნახ.1). ამ წნევაზე ბუშტუკები კარგად შესამჩნევი ხდება. ეს გარდამავალი წნევა, რომელსაც “ბუშტუკის წერტილი” ჰქვია, როგორც ქვემოთ ვაჩვენებთ დაკავშირებულია ფორების ზომებთან.

ფორების მაქსიმალური დიამეტრის საშუალო მნიშვნელობა მიკრონებში იანგარიშება ფორმულით [1]:


$$D = 4\gamma(\cos \Theta) / P, \quad (1)$$

სადაც P - ბუშტუკის წერტილი;

γ - სითხის ზედაპირული დაჭიმულობის ძალა (წყლისათვის 72 დინი/სმ);

Θ - მემბრანის დასველების კუთხე (წყლისათვის, როგორც წესი აიღება ნულის ტოლი, ვინაიდან წყალი პრაქტიკულად იდეალურად ასველებს მემბრანას);

D - ფორის დიამეტრი.



ნახ.1 მემბრანაში აირის ნაკადის სიჩქარის დამოკიდებულება წნევაზე

თუ დასველების კუთხეს ავირებთ ნულის ტოლს, მაშინ წყლისათვის (1) ფრმულა შეიძლება ჩავწეროთ უფრო მარტივი სახით

$$D = 221,3/P,$$

სადაც P - იზომება სმ ვერცხლის წყლის სვეტის.

ძალიან წვრილი ფორების შემთხვევაში წნევა რომელზედაც მიიღწევა ბუშტუკის წერტილი, წყლის სისტემების ფილტრაციისას, შეიძლება ისე მაღალი იყოს, რომ მემბრანის მასალა დეფორმირდება და ეს თავის მხრივ კვლევის შედეგებს გახდის არასწორს. ამ პირობებში წნევის საიმედო მნიშვნელობის მისაღებად, რომელზედაც მიიღწევა ბუშტუკის წერტილი, უნდა გამოვიყენოთ სითხეები, რომლებსაც ზედაპირული დაჭიმულობა მცირე აქვთ ვიდრე წყალს. მაგალითათ მინერალური ზეთის შემთხვევაში, დაჭიმულობის ძალით 34,7 დინი/სმ გამოსახულება (1) იღებს სახეს

$$D = 106/P$$

სადაც P იზომება სმ ვერცხლის წყლის სვეტის.

ბუშტუკის წერტილის მეთოდით ფორების ზომების განმსაზღვრელი ფორმულები სამართლიანია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ფორებს აქვთ ცილინდრის ფორმა, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მემბრანულ ფილტრებს აქვთ



კლასიკური ფორმის სტრუქტურა [2,3]. მაშინ სინამდვილეში რას შეესაბამება ფორმის ზომების აღნიშვნა, რომლებიც დატანილია მემბრანაზე დამამზადებელი ფორმების მიერ? ზემოთ ჩვენ ვაჩვენეთ, რომ მემბრანების ფორმის ზომები უშუალოდ არ იზომება, მათ ანგარიშობენ მათემატიკური მოდელების დახმარებით, რომლებიც დაფუძნებულია კაპილარობის თეორიაზე. მიუხედავად ამისა ყველა მწარმოებელი მათ მიერ გამოშვებულ მემბრანებზე უჩვენებს ზუსტ ზომებს.

შეკვლევთ თუ არა ჩვენ თეორიულად მივიღოთ თანაფარდობა რომელიც დააკავშირებს ბუშტუკის წერტილსა და კვეთში არაწრიული ფორმის ფორის ზომას? საწყისად აქ შეიძლება იყოს ის, რომ გამოსახულებაში (1) მონაწილეობენ ორი ურთიერთ საწინააღმდეგო ძალები: ერთი - ნაკადისათვის ხელშემწყობი, და მეორე - მისი მოწინააღმდეგე. პირველი მათგანი - ზედაპირული დაჭიმულობის ძალა, რომელიც არის ფორის კვეთის პერიმეტრის ფუნქცია, და მეორე - ჰიდროსტატიკური, რომელიც დამოკიდებულია ფორის კვეთის ფართობზე. მაშასადამე ჩვენ გვაქვს

$$\text{ზედაპირული დაჭიმულობის ძალა} = (\text{კვეთის პერიმეტრი}) \cdot \gamma \cdot \cos \Theta, \quad (2)$$

$$\text{ჰიდროსტატიკური ძალა} = (\text{კვეთის ფართობი}) \cdot P, \quad (3)$$

ვინაიდან ბუშტუკის წერტილი მახასიათებელია წონასწორობის მდგომარეობისათვის, გამოსახულებები (2) და (3) შეიძლება გავუტოლოთ ერთმანეთს:

$$(\text{კვეთის პერიმეტრი}) \cdot \gamma \cdot \cos \Theta = (\text{კვეთის ფართობი}) \cdot P, \quad (4)$$

აქედან P-სთვის ვიღებთ შემდეგ გამოსახულებას:

$$P = \gamma \cdot \cos \Theta \cdot \text{კვეთის პერიმეტრი} / \text{კვეთის ფართობი} \quad (5)$$

მაშასადამე ვნევა, რომელიც შეესაბამება ბუშტუკის წერტილს არის ფუნქცია თანაფარდობისა ფორის კვეთის პერიმეტრის ფორის კვეთის ფართობთან. წრიული ფორმის კვეთის შემთხვევისათვის ფორის პერიმეტრის სიგრძე ტოლია - πD (აქ D ფორის დიამეტრია), ხოლო ფორის კვეთის ფართობი ტოლია $\frac{\pi D^2}{4}$. ამ დროს (5) გამოსახულება შეიძლება გადავწეროთ შემდეგი სახით

$$\pi D \gamma \cos \Theta = \left(\frac{\pi}{4}\right) D^2 P, \quad (6)$$

საიდანაც ვიპოვიით

$$D = 4\gamma(\cos \Theta) / P, \quad (7)$$

ადვილად შევამჩნევთ, რომ უკანასკნელი გამოსახულება ემთხვევა ფორმულას (1).



შეკვლევთ ჩვენ ახლა მივიღოთ იმ ფორმის ზომის გამოსახულება განსაზღვრული ბუშტუკის წერტილით, თუ ფორს არ აქვს წრის ფორმა? სხვადასხვა მემბრანების მიკროფოტოგრაფიების შესწავლა გვიჩვენებს, რომ ბევრ შემთხვევაში ფორმებს აქვთ დაახლოებით ელიფსური კვეთი. ელიფსს აქვს ორი დერძი დიდი და პატარა. ფილტრაციის მიზნით მნიშვნელოვანია მცირე დერძი, რადგანაც მისით განისაზღვრება ნაწილაკების ზომები, რომლებიც შეიძლება გავიდეს მემბრანაში. თუ მცირე დერძს ავღნიშნავთ D , ხოლო დიდი დერძის პატარასთან შეფარდებას ავღნიშნავთ E , მაშინ ელიფსური კვეთის ფართობი ჩაიწერება ფორმულით

$$\text{ფართობი} = \left(\frac{\pi}{4}\right) D^2 \cdot E$$

ელიფსის პერიმეტრი ზუსტად შეიძლება განვსაზღვროთ, თუ გამოვიყენებთ სრული ელიფსური ინტეგრალების ცხრილებს, მაგრამ მიახლოებით ფორმულას აქვს სახე:

$$\text{პერიმეტრი} = \pi D \sqrt{(1 + E^2)} / 2 \quad (8)$$

ორივე ფორმულის (5)-ში ჩასმით მივიღებთ ძირითად ფორმულას წნევისათვის ბუშტუკის წერტილში ფორმის ელიფსური კვეთის დროს

$$D = \frac{4\gamma \cos \Theta \sqrt{(1 + E^2)} / 2}{E \cdot P} \quad (9)$$

შეგახსენებთ, რომ E - დიდი და პატარა დერძების თანაფარდობაა. წრისათვის $E=1$, და (9) გამოსახულების ნაცვლად ჩვენ კვლავ გვაქვს (7) ფორმულა. რომ მოვახდინოთ იმის ილუსტრაცია თუ როგორ შეიძლება ვისარგებლოთ (9) გამოსახულებით, დავუშვათ, რომ ბუშტუკის წერტილი ტოლია $14,6 \text{ კგ/სმ}^2$, ამ დროს გამოსახულებიდან (7), გამომდინარეობს, რომ ფორმის გაანგარიშებული დიამეტრი თუ ის არის წრიული ფორმის, შეადგენს $0,20 \text{ მკმ}$. ელიფსური ფორმისათვის დიდი დერძით, რომელიც ორჯერ აჭარბებს პატარას ($E=2$), ფორმის დიამეტრი გაანგარიშებული ფორმულით (9), ტოლია $0,16 \text{ მკმ}$. თუ $E=10$, მაშინ გაანგარიშებული დიამეტრი ტოლია $0,14 \text{ მკმ}$.

მაშასადამე ფორმის დიამეტრის მნიშვნელობა სინამდვილეში მცირეა გაანგარიშებულზე, რომელიც მიღებულია დაშვებით, რომ ფორს აქვს მრგვალი კვეთი. აქედან გამომდინარეობს, რომ დაშვებას ფორმის წრიულობაზე, თუ მას სინამდვილეში აქვს ელიფსის ფორმა, მიყვავართ შეცდომამდე, ვინაიდან ფორმის ზომა სინამდვილეში მცირეა ვიდრე გაანგარიშებით მიღებული.



გამოყენებული ლიტერატურა

1. Schroeder H.G., Deluca P.P “სტერილური ფილტრაციის და საფილტრაციო მასალის მთლიანობაზე გამოცდის თეორიული ასპექტები”. – Pharm. Technol., 3, 80-85 (1980).
2. Cotton R.A., Fifield C.W. “მიკრობიოლოგიური გამოყენების მემბრანული ფილტრების სტანდარტიზაცია”, pp. 19-39.- In: Membrane Filtration,; Application, Techniques and Problems (ed. B.J. Dutka), Marcel Dekker, New York, 1981.
3. Reti A.R. “ მასტერიზირებელი ფილტრების ეფექტურობისა და მთლიანობის შეფასების კრიტერიუმების განხილვა”.- Bull. Parent. Drug Assoc., 31, 187-194 (1977)

FORE MEMBRANE INNOVATIVE METHOD OF DETERMINING THE SIZE OF

Rukhadze Sh., Apridonidze M. D.,
Akaki Tsereteli State University
Summary

Theoretically we have ratio, which connects the bubbles point and crosses in the form of not round Fore measure. Image involves two mutually opposite forces: one – for the favorable flows, and the other – his opponent. The first of them – tension surface force, which is a function of the perimeter section Fore, and the second – hydrostatically, which depends on the Fore carving area. Thus we have: pressure which corresponds to bubbles is a function of point mix Fore, Fore carving the perimeter of the area.

Different membrane micrographs study shows that in many cases they have about Fore elliptical crosses. Axis of the ellipse has two large and small. Filtration is very important to the small axis, because it is defined as the particle sizes, which can pass the membranes. Fore round access to, if it is in fact a form of ellipse, leads to an error, because the size Fore actually received less than the estimates.

**ბაცივებული და ბაჟინული ხორცპროდუქტების
შეთბობისა და გაღვობის პროცესების გამოკვლევა**

სესიკაშვილი ო.
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში მოცემულია მალეფუჭებადი კვების პროდუქტების შენახვის პირობების ანალიზი, გაცივებული ხორცპროდუქტების შეთბობის პროცესის ანალიზი და დადგენილია ხორცპროდუქტების შეთბობის საუკეთესო ვარიანტის პარამეტრები. განხილულია ასევე გაყინული ხორცპროდუქტების გაღვობის მეთოდების ანალიზი და მოცემულია ამ პროცესის გამოკვლევა. დადგენილია ხორცპროდუქტების გაღვობის საუკეთესო პროცესის პარამეტრები.



ხორცპროდუქტების შეთბობა საჭიროა იმისათვის, რომ ცივი გარემოდან პროდუქტის თბილ გარემოში მოხვედრის შემდეგ არ მოხდეს მასზე ნამის წარმოქმნა, რომელიც წარმოადგენს შესანიშნავ გარემოს მიკროორგანიზმების გამრავლებისათვის.

ზოგიერთი პროდუქტი არ საჭიროებს შეთბობას. ასეთი პროდუქტების რიგს ეკუთვნის ნაღების კარაქი, არაქანი, ხაჭო, ყველეული, დამარილებული თევზეულის პროდუქტები და სხვა. ამ პროდუქტებს ქსელში უშვებენ მაცივრიდან შეთბობის გარეშე. ცხრილში 1. მოცემულია ზოგიერთი პროდუქტის შენახვის პირობები და ხანგრძლივობა.

ცხრილი 1.

პროდუქტის სახეობა	ჰაერის ტემპერატურა, °C	ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, %	შენახვის ვადა, დღე-ღამე	დატვირთვა მ ² -ზე
ხორცი				
გაცივებული	0	80	3	100-120
გაყინული	4	85	4	120-140
ფრინველი				
გაცივებული	0	80	2	120-140
გაყინული	-3	90	5	160-180
გარეული ფრინველი				
გაყინული	-3	90	3	160-180
თევზი				
დამარილებული	-3	95	4	180-200
გაყინული	3	90	5	260-300
რძე	2	-	0,5	120-160
მაწონი, კეფირი	2	85	1	120-160
ხაჭო, არაქანი	2	85	2	120-160
კარაქი ნაღების	2	85	3	160-200
გამდნარი	2	85	10	180-220

შეთბობას აწარმოებენ სპეციალურ საკნებში, დეფროსტერებში საკონდიციონერო ჰაერის გაძლიერებული ცირკულაციით. პროდუქტს საკნებში ათავსებენ ისე, რომ მათ თავისუფლად გარს ევლებოდეს ჰაერი. პროდუქტის ტემპერატურას შეთბობის დროს უმატებენ თანდათანობით, შესაბამისად უმატებენ ჰაერის ტემპერატურას დეფროსტერში ისე, რომ ის ყოველთვის 2-3°C -ით მეტი იყოს პროდუქტის ტემპერატურაზე. ამ დროს ასევე რეგულირდება მიწოდებული ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, იმისათვის რომ პროდუქტი არ დანესტიანდეს, ფარდობით ტენიანობას ინარჩუნებენ 80%-ის ფარგლებში. მშრალი ჰაერი სასურველი არ არის, რადგან შეიძლება ამან გამოიწვიოს პროდუქტის გამოშრობა.

პროდუქტის შეთბობის საბოლოო ტემპერატურა დამოკიდებულია გარემოს ტემპერატურასა და ტენიანობაზე. თუ გარემო ჰაერი ძლიერ ტენიანია, მაშინ პროდუქტის შეთბობის საბოლოო ტემპერატურა უნდა იყოს 2-3°C -ით ნაკლები



ჰაერის ტემპერატურაზე, ხოლო თუ გარემო ჰაერი ძლიერ მშრალია, მაშინ ეს სხვაობა უნდა შეადგენდეს 4-5⁰C. შეთბობა პრაქტიკულად უნდა გაგრძელდეს 30-40 სთ.

პროდუქტის გაღებობას აწარმოებენ მის დასაბრუნებლად საწყის მდგომარეობაში, რომელიც ჰქონდა მას გაყინვამდე. ამ დროს ყინულის კრისტალები, რომელიც პროდუქტშია გადადის თხევად მდგომარეობაში და ნაწილდება ბოჭკოებს შორის ისე, როგორც ეს იყო პროდუქტის გაყინვამდე. გასაგებია, რომ გაყინვის პროცესის სრულ შექცევადობას ვერ მივაღწევთ. ბოჭკოების და უჯრედების ტენშეკავების უნარი მნიშვნელოვნად მცირდება ყინულის კრისტალებით მათი ტრავმირების გამო და ცილოვანი ნივთიერებების ჰიდრატაციის უნარის დაქვეითების გამო. ამის გამო წვენი

ნაწილი გამოდის პროდუქტიდან და იკარგება.

პროდუქტის გაღებობა უნდა მოხდეს მისი გამოყენების ან გადამუშავების წინ. ცდებმა გვიჩვენა, რომ პროდუქტის გაღებობა უნდა მოხდეს უშუალოდ გადამამუშავებელ წარმოებაში და არა იმ მაცივარში, სადაც ინახებოდა პროდუქტი.

თანამედროვე პირობებში ცნობილია გაღებობის რამდენიმე მეთოდი. სითბოს მატარებლად ან სითბოს წყაროდ ამ დროს გვევლინება ჰაერი, ორთქლ-ჰაერის ნარევი, სითხე, მაღალი სიხშირის დენი, ინფრაწითელი სხივები და ულტრაბგერა.

ხორცისა და ხორცპროდუქტებისათვის გაგრძელება ჰპოვა მხოლოდ ჰაერით და ორთქლ-ჰაერის ნარევით გაღებობამ. ყველაზე უფრო პერსპექტიულ გაღებობის მეთოდს წარმოადგენს გაღებობა ჰაერის ნაკადით. ამ მეთოდის გამოყენების დროს პროცესის ინტენსიფიკაციის ხარჯზე უფრო უკეთესად ხდება ხორცის ფერის შენარჩუნება, შესამჩნევად მცირდება ხორცის ზედაპირის მიკრობული დატუჭუქიანება, რაც ზრდის მის მდგრადობას, სწრაფად წარმოიქმნება გარე ქერქი, რომელიც ხელს უშლის ხორცის ზედმეტ გამოშრობას და ტენი მჭიდროდ შეკავშირდება ბოჭკოებს შიგნით, ეს კი ეწინააღმდეგება წვენი დაკარგვას.

ჰაერით გაღებობის დროს დეფროსტერებში ამონტაჟებენ ჰაერის არხებს, რომელსაც აძლევენ მრავალკუთხედის ფორმას. არხების დიამეტრს დებულობენ 40-50 მმ-ის ტოლად. ჰაერის არხების ყოველ მეტრზე ამონტაჟებენ ექვს ჰაერის მიმწოდებელ მილყელებს ჭადრაკულად, საიდანაც ჰაერის გამოდინების საწყისი სიჩქარე შეადგენს 10მ/წმ, პროდუქტებს შორის ჰაერის სიჩქარე შეადგენს 1,5-2 მ/წმ-ში, ხოლო ნიხბებთან ახლოს შეადგენს 0,7 მ/წმ-ში.

ჰაერით შეიძლება გავაღლოთ თითქმის ყველა სახის პროდუქტი, რომელსაც ტარაში აწყოებენ შტაბელებად ჭადრაკული პრინციპით, ხოლო რიგებს შორის ათავსებენ ხის თამასებს. შეუფუთავ პროდუქტს ჩამოკიდებენ საკიდებზე. საცირკულაციო ჰაერის ტემპერატურას თანდათანობით ზრდიან ისე, რომ მისი ტემპერატურა ყოველთვის 5-6⁰C-ით მეტი იყოს გასაღებობი პროდუქტის ტემპერა-



ტურაზე. პროცესს ვამთავრებთ მას შემდეგ რაც ხორცის სიღრმეში ტემპერატურა მიაღწევს 0°C-ს.

შესაძლებელია ხორცის, თევზის გაღებობა წყალში თუ ეს პროდუქტები ექვემდებარება სასწრაფო კულინარულ გადამამუშავებას. გასაღებობ პროდუქტს ჩაძირავენ წყალში ან შედგავენ გამდინარე წყლის ქვეშ. დავადგინეთ, რომ გამდინარე წყლის ქვეშ პროდუქტის გაღებობა იძლევა უკეთეს შედეგებს, ვიდრე მისი ჩაძირვა წყალში.

წყალში პროდუქტის გაღებობა უკეთესია იმიტომ, რომ გაცილებით მცირდება პროცესის დრო და გამორიცხებულია პროდუქტის მასის დანაკარგი მისგან ტენის აორთქლების გამო, მაგრამ მასის დანაკარგი წვეწვების გამოღების გამო მაინც მიმდინარეობს.

ხორცის და ხორცპროდუქტების გაღებობის დროს ვაკუუმით მათ ვათავსებდით კონტეინერებში სადაც იქმნება ვაკუუმი. კონტეინერის შიგნით ვათავსებდით ჭურჭელს წყლით. ვაკუუმის გავლენით წყალი სწრაფად აორთქლდება და კონდენსირდება პროდუქტის ცივ ზედაპირზე. ამ დროს წყლის აორთქლი პროდუქტს გადასცემს კონდენსაციის ფარულ სითბოს, რის ხარჯზეც პროდუქტი ღვდება. ეს მეთოდი ეკუთვნის ზედაპირული გაღებობის მეთოდს, როდესაც გაღებობისათვის საჭირო ენერგია შედის პროდუქტში მისი ზედაპირიდან.

პროდუქტის შინაგანი გათბობის მეთოდები დაფუძნებულია ელექტრომაგნიტური ველის გამოყენებაზე პროდუქტში ელექტრული მუხტების აღსაძრავად, რომელიც თითქმის ყველა პროდუქტშია. ბოჭკოების მოლეკულები შთანთქმვენ ამ ენერგიას და პროდუქტი თბება. ამ დროს გამოყოფილი სითბოს რაოდენობა დიდაა და დამოკიდებული პროდუქტის ელექტრო მახასიათებლებზე, რადგან როგორც წესი პროდუქტი არ წარმოადგენს კომპოზენტურ მასას და შეინიშნება პროდუქტის სხვადასხვა ადგილებში გათბობის ძლიერ განსხვავებული მნიშვნელობები. ამასთან ერთად შინაგანი გათბობის მეთოდები ხასიათდება დიდი ელექტრული დანახარჯებით, რაც საკმაოდ ფინანსებთანაა დაკავშირებული, მაგრამ ამ ბოლო წლებში სულ უფრო მეტად იყენებენ პროდუქტის შინაგანი გათბობის მეთოდებს გაღებობის, გაცხელების და მომზადებისათვის.

ლიტერატურა

1. Мещеряков Ф. Е. Основы холодильной техники и холодильной технологии. М.: Пищевая Промышленность, 1975 г. 540 ст.



COLD AND FROZEN MEAT PRODUCTS WARMING AND THAWING PROCESS RESEARCH.

Sesikashvili O.

Akaki Tsereteli State University, Kutaisi

Summary

The article provides the quick-spoiling products preservation conditions analyses, cooled meat products' warming process analysis and identifies the parameters for the meat products' warming best practices. The article also reviews frozen meat products' thawing methods analyses and provides the research of that process. The Article also gives the best process parameters needed for the meat products' thawing process.

თერმოპლასტიკური ექსტრუზიის მეთოდით ფოროვანი სტრუქტურის მქონე კვების პროდუქტების წარმოების პროცესის კვლევა, მცირე წარმადობის ექსტრუდერის და ბებმარების მიხედვით.

ცაგარეიშვილი შ., თვალჭრელიძე ა. ცაგარეიშვილი დ.
 აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში მოყვანილია თერმოპლასტიკური ექსტრუზიის მეთოდით კვების პროდუქტების წარმოების აქტუალურობა და პროცესის ოპტიმალური პარამეტრების დადგენის მიზნით ჩატარებული კვლევები, მცირე წარმადობის ექსტრუდერის და ბებმარებისათვის.

თერმოპლასტიკური ექსტრუზია არის ერთ-ერთი თანამედროვე და აქტუალური პროცესი, რომელმაც ფართო გამოყენება ჰპოვა კვების; ქიმიური; მეტალურგიული და სხვა დარგებში გამოყენებულ ტექნოლოგიებში.

სიტყვა „ექსტრუზია“ ლათინური წარმოშობისაა და მიღებულია ზმნის „ექსტრუდირებისაგან“ რაც ქართულად ნიშნავს „გარეთ გამოწნეხვას“ ექსტრუზიული პროცესი მიმდინარეობს ერთ აპარატში მაღალი წნევისა და მაღალი ტემპერატურის პირობებში ხანმოკლე დროის განმავლობაში. ნომენკლატურა პროდუქტებისა, რომლებიც მიიღებიან ამ პროგრესული ტექნოლოგიით, ითვლის მრავალ დასახელებას, რომლებიც თავის მხრივ კლასიფიცირდებიან სამ ჯგუფად: ფოროვანი, ანიზოტროპიული და იზოტროპიული სტრუქტურის მქონე პროდუქტებად.

* მზა საუხმეები; მშრალი კონცენტრატები; საკნატუნოები და სხვა პროდუქტები მიეკუთვნებიან ფოროვანი სტრუქტურის მქონე პროდუქტებს.



* ხორცისა და თევზის პროდუქტების ანალოგები; სწრაფი მომზადების მაკარონები წარმოადგენენ შესაბამისად ანიზოტროპიული და იზოტროპიული სტრუქტურის მქონე პროდუქტებს.

აღნიშნულ შემთხვევაში კვლევები ეხება ფოროვანი სტრუქტურის მქონე პროდუქტებს, რომლებიც მიიღებიან სიმინდის ფქვილის ფუძეზე, რომლის ძირითად ცომპონენტს შეადგენს სახამებელი (75%) და თითქმის დანარჩენი ცილა.

ექსტრუზიის პროცესის წარმართვისათვის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს ტემპერატურათა სხვაობა მუშა საკანსა და გარემოს შორის და წნევათა სხვაობა დამფორამებულ მატრიცასა და გარემოს შორის. გადასამუშავებელი, ექსტრუდირებული მასა გამოდის რა მატრიციდან, ამ დროს ხდება წნევისა და ტემპერატურის მყისიერი მოხსნა და უჯრედებში არსებული ტენის მყისიერი აღორქლება, რის შედეგადაც ტენი ტოვებს უჯრედს და მზა პროდუქტის სტრუქტურა (მესერი) მიღება ფოროვანი.

იმის მიხედვით თუ როგორ წარვმართავთ ექსტრუზიის პროცესს, როგორია მისი რეჟიმული პარამეტრები, შეიძლება ვიმსჯელოთ პროდუქტის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე.

ლიტერატურული კვლევის საფუძველზე ჩვენს მიერ დადგენილი იქნა საკითხის აქტუალობა და დაუსახეთ კვლევის მიზნები და ამოცანები

კვლევის ამოცანებს წარმოადგენს თერმობლასტიკური ექსტრუზიის პროცესის შესწავლა, პროცესის ოპტიმალური, რაციონალური პარამეტრების დადგენა და მცირე წარმადობის ერთშენკიანი ექსტრუდერის დაგეგმარება.

ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო გახდა გადაჭრილიყო შემდეგი ძირითადი ამოცნები :


- ტენის გავლენა სახამებლის კლეისტურიზაციის და ქიმიური დაშლის ტემპერატურებზე და წარმოქმნილი სახამებლის ლაბის თვისებებზე
- ექსტრუდატების ფიზიკო-ქიმიური და მექანიკური თვისებების შესწავლა
- პროცესის ოპტიმალური პარამეტრების დადგენა
- ექსტრუზიის პროცესით მიღებული ფოროვანი სტრუქტურის მქონე პროდუქტების შენახვის პირობების დადგენა
- მიღებული შედეგების საფუძველზე მცირე წარმადობის (60კმ/სთ) ერთშენკიანი ექსტრუდერის გაანგარიშება

ამ მიზნით კვლევებს ვაწარმოებდით ექსტრუდატების მოდეულურ სისტემებზე, კერძოდ სახამებლის ლაბაზე. შეიქმნა ხელსაწყო სხვადასხვა ტენშემცველობის სახამებლის ლაბის მისაღებლად, რომელზედაც პარალელურად ხდებოდა კლეისტურიზაციის (ღღობის) და ქიმიური დაშლის ტემპერატურების განსაზღვრა. ფიზიკო-მექანიკური თვისებების განმსაზღვრელ მანქანაზე „I შოდ ” ხდებოდა სხვადასხვა დატვირთვების შემთხვევაში ნიმუშების ფი-




ზიკო-მექანიკური თვისებების შესწავლა.


დადგინდა ტენის გავლენა, როგორც პროცესის ტექნოლოგიურ პარამეტრებზე, ასევე ექსტრუდატების მომხმარებლურ, ხარისხობრივ თვისებებზე. მიმდინარე კვლევების საფუძველზე დადგინდა პროცესის ოპტიმიზაციის ამოცანის გადასაჭრელად სასაზღვრო პირობები. ფიზიკო-მექანიკური კვლევების შედეგად დადგინდა ექსტრუდერში ზონების მიხედვით წნევების ფიზიკური სიდიდეები, დრეკალობის მოდული და შესაბამისი დატვირთვები. ტენის სორბციის პროცესის შესწავლის საფუძველზე გაირკვა ექსტრუდატების შენახვის პირობები, მისი შეფუთვის და სასურველი მიკროკლიმატის შექმნის პირობები. ამჟამად მიმდინარეობს მიღებული კვლევების საფუძველზე მცირე წარმადობის დანადგარის კონსტრუქციული და პროცესული პარამეტრების გაანგარიშება პროექტირებისათვის. ექსპერიმენტალური კვლევების მონაცემები მოყვანილია ქვემოთ.




ნახ.1. ექსპერიმენტული სტენდი



ნახ.2.



ნახ.3.



ნახ.4



Tsagareishvili Sh., Tvalchrelidze A., Tsagareishvili D.
 Akaki Tsereteli State University
Summary

The article explains importance the food manufacturing has today, through the thermoplastic extrusion method. The author also provides the results from the conducted researches, with the aim to establish the extrusion process optimal parameters. The results could be used to plan the small output extruder machinery.

**ხორც-პროდუქტების ბაცივიზა, ტრანსპორტირება და
 ბაჟინვა მშრალი ყინულის გამოყენებით**

ცაგარეიშვილი დ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში გამოკვლეულია ხორცპროდუქტების სწრაფი გაყინვის პროცესი მყარი ნახშირბადის დიოქსიდის („მშრალი ყინული“) საშუალებით, უშუალო კონტაქტის გზით. გაყინვის ასეთი მეთოდი ხელს უწყობს პროდუქტის საკვები ღირებულებების შენარჩუნებას, ზრდის შენახვის ხანგრძლივობას და შესაბამისად ახშობს სხვადასხვა მიკროორგანიზმების მოქმედებას.

მშრალი ყინული ეს არის მყარი ნახშირბადის დიოქსიდი. ეს მაცივარაგენტი R744 ფართოდ გამოიყენება კვების პროდუქტების გაცივებისა და გაყინვისათვის უშუალო ან ირიბი კონტაქტით პროდუქტთან.

მყარი CO₂ ატმოსფერული წნევის ქვეშ, თხევადი ფაზის გამოტოვებით (სუბლიმირდება) გარდაიქმნება გაზად (აირად) რის გამოც მან მიიღო მშრალი ყინულის სახელწოდება.

მშრალი ყინული სხვადასხვა ფორმის ნაჭრების სახით გამოიყენება, როგორც მაცივარაგენტი სხვადასხვა სახის ხორც-პროდუქტების, ტრანსპორტირების, გაცივების ან გაყინვის შემთხვევაში. (ხორცის ნაჭრების, გულიაშის ნაჭრები).

ასეთი პროდუქტების ტრანსპორტირების დროს მშრალი ყინული თავსდება პროდუქტისგან განსაზღვრულ მანძილზე, რათა არ გამოიწვიოს მისი გაყინვა, ხოლო გაყინული პროდუქტების ტრანსპორტირებისას დასაშვებია მშრალი ყინულის უშუალო კონტაქტი ხორც-პროდუქტებთან.

მშრალ ყინულს უმეტეს შემთხვევაში ათავსებენ პროდუქტების ზემოთ ბუნკერებში, კონტეინერის ან ვაგონის მთელ სიგრძეზე და ამაგრებენ ჭერზე. საკანში ტემპერატურის რეგულირებისა და მისი უფრო ინტენსიური განაწილები-



სათვის (გამოყენებისათვის) ახდენენ ჰაერის იძულებით ვენტილიაციას ვენტილატორის გამოყენებით. მშრალი ყინულის დანაკარგი გაცივებული ან გაყინული ხორც-პროდუქტების ტრანსპორტირების ან შენახვის დროს შეადგენს შესაბამისად 10÷14%, ხოლო 7÷10%-ს შესანახი ხორცეულის მასიდან.

მშრალი ყინულის რაოდენობა რომელიც საჭიროა გაყინული ხორც-პროდუქტების ტრანსპორტირების ან შენახვისათვის მთლიანად ამ დროის განმავლობაში შეიძლება ვიანგარიშოთ შემდეგი ფორმულით

$$\sum G_{a.ყ.} = G_{a.ყ.} \cdot \tau$$

სადაც

$G_{a.ყ.} \sum Q / \Delta t$ - მშრალი ყინულის ხარჯია; კგ/წმ.

$\sum Q = \sum FK \Delta t$ - მატრანსპორტირებულ ან შესანახ საკანში გარემოდან

მოქმედი ჯამური თბური ნაკადები, ვტ.

F - თბოგადაცემის საერთო ფართი ; მ².

$K \approx 0,4 \div 0,35$ - თბოგადაცემის კოეფიციენტი, სატრანსპორტო ან შესანახი საკნის

კედლების იატაკის და ჭერის მხრიდან, რომელიც დამოკიდებულია

კედლების თბოიზოლიაციის სისქეზე და მის თვისებებზე, ვტ/მ².

$\Delta t = t_2 - t_1$ - ტემპერატურული სხვაობა გარემოსა და სატრანსპორტო ან შესანახ

საკანს შორის ($t_1 = -18^{\circ}\text{C}$).

Δt - სუბლიმაციის სითბო გაზის დუღილის $t_1 = -18^{\circ}\text{C}$ ტემპერატურამდე მისაყვანად, ($\Delta t = 628$ კჯ/კგ).

გაცივებული და გაყინული (ნაჭრების) ხორც პროდუქტების შენახვის ხარგრძლივობა განისაზღვრება მშრალი ყინულის სუბლიმაციის დროით და გამოითვლება შემდეგი ფორმულით.

$$\tau_{სუბ} = \sum G_{a.ყ.} / J_{სუბ} \cdot F \cdot N$$


სადაც $J_{სუბ}$ - სუბლიმაციის ინტენსივობის კოეფიციენტი კგ/ მ²წმ, ვადგენთ გრაფიკიდან საკნის ტემპერატურის მიხედვით. (მშრალი ყინულის დუღილის ტემპერატურა).

F - მშრალი ყინულის ერთი ნაჭრის თბოგადაცემის ფართი, მ² (რადგან ნაჭრის მასა თბოგადაცემის პერიოდში მცირდება ნულამდე, ამიტომ $F = 0,5 F_{max}$)

ნახშირბადის დიოქსიდის ფართო გამოყენება აქვს სხვადასხვა კვების პროდუქტების უშუალო კონტაქტით სწრაფი გაყინვისათვის. კერძოდ ხორც-პროდუქტებში იგი შეიძლება გამოვიყენოთ მცირე ზომის ხორცის ნაჭრების სწრაფი გაყინვისათვის და მისი შეფუთვის შემდეგ სავაჭრო ქსელებში (მისაწოდებლად) სარეალიზაციოდ. გაყინვის ასეთი მეთოდი ხელს უწყობს პროდუქტებში საკვები ღირებულებების შენარჩუნებას, ზრდის შენახვის ხანგრძლივობას, რადგან ნახშირბადის დიოქსიდი ახშობს სხვადასხვა მიკროორგანიზმების მოქმედებას.



ჩვენს მიერ შემუშავებული იქნა მშრალი ყინულით გაცივების ტექნოლოგიური სქემა, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი კონსტრუქციის მქონე ტრადიციული გასაყინი აპარატი შეიძლება გამოვიყენოთ CO₂-ზე მუშაობისათვის, განსაკუთრებული ცვლილებების გარეშე, ამისათვის სამაცივრო აგრეგატს ვცვლით ნახშირბადის დიოქსიდის მიმწოდებელი სისტემით. ეს სისტემა შედგება თხევადი CO₂-ის შესანახი ჭურჭლისაგან, მისი მიმწოდებელი მილგაყვანილობისაგან და თხევადი CO₂-ის მყარ მდგომარეობაში გადაყვანი და მისი გამაცივებელ საკანში მიმწოდებელი მოწყობილობებისაგან, ასევე კონტროლისა და რეგულირების ხელსაწყოებისაგან. ასეთი სამაცივრე საკნის ტექნოლოგიური სქემა შეიძლება წარმოდგენილი იქნეს შემდეგი სახით:



1. დროსელური მოწყობილობა;
2. ქოლგა;
3. ტრანსპორტიორი;
4. ხორცის ნაჭერი.

ამრიგად ჩვენს მიერ ექსპერიმენტალურად დადასტურებული იქნა, რომ ასეთი მეთოდით გაყინვისას ხორცის ნაჭრის რბილობაში და მყესებში გაცივების ტემპერატურა უფრო დაბალია, ვიდრე იგივე პროდუქტების ტრადიციული გზით გაყინვის შემთხვევაში, რაც დადებითად მოქმედებს პროდუქტის ხარისხზე და ფერზე.

ლიტერატურა

1. Мещеряков Ф. Е. Основы холодильной техники и холодильной технологии. М.: Пищевая Промышленность, 1975 г. 540 стр.
2. Трупаков Г. Н. Замораживание грунтов в подземном строительстве. М.: Недра, 1968, 348 стр.



Meat products cooling, transportation and freezing using with dry ice

Tsagareishvili D.

Akaki Tsereteli State University

Summary

The article researches the meat products' quick freezing process through direct contact of the solid carbon dioxide (dry ice). This freezing method preserves meat's nutritional values, prolongs the storage period and stops bacterial growth and influence.

მცირეგაბარიტიანი ენერგოდამზოვი ჩაის საშრობი მანქანა

ჭოლაძე ი., რვეიშვილი თ., მიქაძე თ.*

ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტი
*შპს „ჯეო-აგრო-პროდუქტი“

მოცემულია მცირეგაბარიტიანი ენერგოდამზოვი ჩაის საშრობი მანქანის პრინციპული სქემა და კონსტრუქციული დახასიათება, რომლის ძირითადი კვანძებია: ჩამტვირთავი კონვეიერი, საშრობი კამერა, მუშა კონვეიერები, ჰაერის დამჭირხნი და გამწოვი ვენტილატორები, ელექტროკალორიფერი, რაბული ჩამკეტები, შემკრებ-გამწოვი თაღფაქი ქვედა პერფორირებული ზედაპირით, რომელთა ხვრეტების დიამეტრებია: პირველ უბანზე 8-10მმ, მეორეზე -6-8მმ, მესამეზე -2-4მმ. გამწოვი მილების ერთი შტო მიერთებულია დამჭირხნი ვენტილატორთან, მეორე გადის სათავის გარეთ. მოცემულია ძირითადი პარამეტრები – წარმადობა, თბოაგენტის რაოდენობა და ტემპერატურა

მოქმედი კონვეიერული ტიპის ჩაის საშრობ მანქანებში თბური ენერჯის გამოყენების მარგი ქმედების კოეფიციენტი არ აღემატება 45%-ს. სითბოს ძირითადი რაოდენობა იკარგება გამავალ ნამუშევარ ჰაერთან ერთად. ამასთან, ზედა კონვეიერებზე, სადაც მაღალტენიანი ჩაის მასის ფენის სისქე 2-ჯერ მეტია, ვიდრე ქვედაზე, თბოაგენტს მეტი წინააღმდეგობა ხვდება, რაც ამცირებს მის გაქრევას ჩაის ფენაში და შრობის პოტენციალს. გარდა ამისა, ჰაერი არათანაბარი ინტენსივობით გაიქრევა კონვეიერების მთელ სიგრძეზე ქვემოდან ზემოთ. საშრობ მანქანაში პროცესი იწყება თბური რეჟიმის დამყარების შემდეგ და კონვეიერების სრულ შევსებამდე სითბოს გამოყენება მხოლოდ ნაწილობრივ წარმოებს. იგივე მეორდება შრობის დამამთავრებელ სტადიაზე, როცა ზედა კონვეიერი ცარიელდება, თბოაგენტი არასრულად არის გამოყენებული. მანქანის მაღალი ლითონტევადობა (22 ტონა) ზრდის მის კო-



მერციულ და საექსპლოატაციო დანახარჯებს [1-4].

აღნიშნულის გამო ჩაის დარგის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებისა და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ამოცანებიდან გამომდინარე მოცემულ ეტაპზე ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას ენერგო- და რესურსდამზოვი ტექნოლოგიების დამუშავება და მცირეგაბარიტიანი მოწყობილობების შექმნა წარმოადგენს.


შემოთავაზებული საშრობი მანქანის პრინციპული სქემა წარმოდგენილია ნახ. 1-ზე. იგი შეიცავს ჩამტვირთ კონვეიერს 1, თბოსაიზოლაციო კედლების მქონე ლითონის დახურულ კოლოფს 2, რომელშიც იარუსებად განლაგებულია ზედა და ქვედა მუშა შტოების მქონე პერფორირებული ფირფიტებით აღჭურვილი კონვეიერები 3. ყოველი კონვეიერის მუშა შტოებს ბოლოებში გააჩნია ფირფიტების სავარდნი 4, რომელიც წარმოადგენს კუთხოვანი მიმმართველის ჩაჭრილ უბანს. საშრობი კამერის ზედა ჩამტვირთავ და ქვედა გამომტვირთავ უბნებზე დაყენებულია რაბული ჩამკეტები 5 და 6, ხოლო ქვედა ფსკერულ ნაწილში მოწყობილია ჰაერსადენი არხი 7, რომლის საშუალებით თბოაგენტი მიეწოდება საშრობ კონვეიერებს. ჰაერსადენი არხი დაკავშირებულია ელექტროკალორიფერთან 8 და ვენტილატორთან 9. კამერის ზედა ნაწილში დაყენებულია სწორკუთხედის კვეთის ფორმის შემკრებ-გამწოვი თალფაქი, რომელიც დაკავშირებულია რაბულ დოზატორთან 5 და კამერის 2 ყრუ კედელთან, ხოლო ჰაერის გაწოვის მხარეზე პირამიდული ფორმის დიფუზორთან 11 (ნახ. 2). იგი მილსადენით 12 დაკავშირებულია ვენტილატორთან 13, რომლის გამწოვი ჰაერსადენის 14 ერთი შტო 15 სარეგულირებელი საკეტით 16 მიერთებულია ქვედა დამჭირხნ ვენტილატორთან 9, მეორე შტო 17 სარეგულირებელი საკეტით 18 გადის სათავის გარეთ. თალფაქის 10 ქვედა ზედაპირი საშრობი კამერის მომიჯნავე მხარეზე 19 პერფორირებულია წრიული ფორმის ნახვრეტებით, რომელთა დიამეტრები თბოაგენტის გაწოვის მიმართულებით თანდათან მცირდება ისე, რომ პირველ უბნზე ხვრეტების დიამეტრია 8-10მმ, მეორეზე -6-8მმ, მესამეზე -2-5მმ, ხოლო ხვრეტების ცენტრებს შორის მანძილი -6-12მმ.

მანქანა მუშაობს შემდეგნაირად: ჩაის მასა ჩამტვირთი კონვეიერით 1, უწყვეტად მიეწოდება ზედა კონვეიერს რაბული ჩამკეტის 5 გავლით. ჩაის მასა თითოეული კონვეიერის ზედა შტოს ბოლოში ჩაიყრება ქვედა შტოზე სავარდნი მოწყობილობის 4 საშუალებით; რვა მუშა შტოს გავლის შემდეგ ხვდება რაბულ ჩამკეტში 6 და გამოიტვირთება მანქანიდან, ამასთან კონვეიერების შტოებზე გავლისას განიცდის ჰაერსადენ არხში 7 დაჭირხნული ცხელი ჰაერის ზემოქმედებას, რომელიც მიიღება ელექტროკალორიფერიდან 8 ვენტილატორის 9 საშუალებით. ნამუშევარი ცხელი ჰაერი გაიწოვება კამერის 2 ზედა ნაწილში დაყენებული შემკრებ-გამწოვი თალფაქის 10 პერფორირებული



ზედაპირის გავლით. უნდა აღინიშნოს, რომ ზედა კონვეიერზე ჩაის მოცულობითი მასა 450კგ/მ³-ს, შეადგენს, ხოლო ქვედა კონვეიერებზე ორჯერ და მეტად მცირდება. მაშასადამე, თბოაგენტს ნაკლები წინააღმდეგობა ხვდება ქვედა კონვეიერებზე, ვიდრე ზედაზე. თაღფაქის 10 ზედაპირის ხვრეტების სხავდასხვა დიამეტრი და გამწოვი ვენტილატორის 13 გამოყენება აგრეთვე ხელს უწყობს ამ წინააღმდეგობის დაძლევას და თბოაგენტის იძულებითი ცირკულაციის შედეგად შრობის პოტენციალის ამაღლებას. ნამუშევარი ჰაერი თაღფაქიდან 10 ვენტილატორით 13 გაიწოვება პირამიდული ფორმის დიფუზორში 11 და შემდეგ ხვდება ჰაერსადენში 14; აქედან სარეგულირებელი ხვრეტების 16 და 18 საშუალებით ნამუშევარი ჰაერის ერთი ნაწილი (10-15%) სარეცირკულაციო ჰაერსადენით 15 უერთდება ვენტილატორს 9, შეერევა ახალ ჰაერს, ცხელდება ელექტროგამახურებლებში და მიეწოდება საშრობ კამერას. ნამუშევარი ჰაერის მეორე ნაწილი ჰაერსადენით 17 გადის ატმოსფეროში.

ჩაის საშრობი მანქანის სქემა



მანქანის დატვირთვის შემდეგ მთლიანად ჩაიკეტება სარეგულირებელი საკეტი 17 და გაიღება საკეტი 16, ამასთან პირველი 10 წთ-ის განმავლობაში ჩაირთვება მხოლოდ ელექტროგამახურებლების ერთი რიგი, შემდეგ კონვეიერების დატვირთვის შესაბამისად, ეტაპობრივად ჩაირთვება ელექტროგამახურებლების მეორე და მესამე რიგი. იგივე წარმოებს შრობის დამთავრების დროს, რითაც მიიღწევა სათბური ენერჯის რაციონალური გამოყენება.



შემოთავაზებული მანქანის პარამეტრებია: წარმადობა მწვანე ფოთლის მიხედვით 100კგ/სთ, მიწოდებული ცხელი ჰაერის რაოდენობა 4000მ³, ტემპერატურა 95-100⁰C, სიჩქარე 0,4-0,45მ/წ.

ლიტერატურა

1. გ. ჯომარჯიძე –ჩაის წარმოების მანქანები. თბილისი: „განათლება“, 1971, გვ. 105-154
2. Г. С. Джомарджидзе –Модернизация чаесушильных машин и интенсификация сушки чая. М.: П.П. 1975, 86с.
3. საავტორო მოწმობა 1606087. ჩაის საშრობი მოწყობილობა. ბიულეტენი №42, 1990
4. საქართველოს პატენტი 4189. ჩაის საშრობი მანქანის კამერა. „საქპატენტის“ ბიულეტენი №17, 2007

SMALL-SIZED MTSIREGABARITIANI ENERGYSAVING TEA DRYING MACHINE

Choladze I. , Revishvili T., Mikadze T.*

Institute of tea, subtropical crops and Tea Industry

LLC "Geo - Argo - Product"*

Summary

The basic scheme and constructive description of small-sized energy saving Tea Drying Machine are represented below. The basic components of the machine are as follows: a loading conveyor; a drying chamber; working conveyors; blowdown and air ejector fans; an electric calorifer; canal locks, a suck in-and-out cap with lower perforated surface the diameter of which are:8-10 mm in the first sector, 6-8 mm in the second sector and 2-4 mm in the third sector. The one brunch-line of vent pipes linked to the blowdown fan, the second one is going through the storeroom. Here are the main parameters: capacity, the volume of heat agent and temperature.



სარჩევი

სექცია **1** **ცხოველური წარმოშობის კვების**
SECTION **1** **პროდუქტების თანამედროვე**
სექცია **1** **ტექნოლოგიები**
SECTION **1** **MODERN TECHNOLOGIES OF ANIMAL**
სექცია **1** **ORIGIN FOODS**
SECTION **1** **СОВРЕМЕННЫЕ ТЕХНОЛОГИИ**
SECTION **1** **ПРОДУКТОВ ЖИВОТНОГО ПРОИСХОЖДЕНИЯ**

ბარკალაია რ., ბოსტაშვილი დ., ჭიჭაყუა მ. – “DAS”-ის და “DAS”+“ლაიფ-საკ”-ის გაგლეხა ფურების სარძეო პროდუქტიულობაზე _____	7
ბოსტაშვილი დ. – მცენარეული პრეპარატი DAS-ი როგორც ანტიბიოტიკების ალტერნატივა _____	13
Василенко З.В., Стефаненко Н.В., Андреева И.И., Тарасенко И.В. – Об использовании пищевой крови в производстве мясных изделий _____	17
Василенко З.В., Андреева И.И., Стефаненко Н.В., Рогова Е.Н. – О способах подготовки натуральной белковой добавки из говяжьего коллагенсодержащего сырья для введения в мясные фаршевые системы вареных колбас _____	22
Василенко З.В., Березнева Т.В., Пискун Т.И. – Технология мясного паштета с растительной композицией _____	26
თავდიდიშვილი დ. – ჰიდროთერმული დამუშავების ხერხების გაგლეხა ხორცის მზა ნაწარმის ხარისხზე _____	31
თავდიდიშვილი დ., ბეშქენაძე თ., ბერუღავა ი. – ფუნქციონალური დანიშნულების პროდუქტები შიგნეულისგან _____	34
Киракосян О. П., Акопян Г. Г. – Технология по производству напитков из молочной сыворотки _____	38
მოშიაშვილი მ.დ. – ხორცისა და ხორცპროდუქტებში გაყინვის დროს მიმდინარე გარდაქმნები _____	41
ტყეშელაშვილი ა., მეტრეველი ვ. – ხორცპროდუქტების წარმოებისას თერმული დამუშავების ფაქტორი და მისი გაგლეხა პროდუქციის ხარისხზე _____	46
ფხაკაძე მ. – ხორცპროდუქტების შენახვის საკითხებისათვის _____	51
ქარქაშაძე ნ., კაკაურიძე ნ., კაკაურიძე მ. – ხორცის მნიშვნელობა და მისი როლი სამომხმარებლო ბაზარზე _____	56



ღვინიანიძე თ., ბუჭუნიშვილი მ. – ხორცში მიმდინარე თბოფიზიკური ცვლილებები _____	59
ყიფიანი ა., ხუციძე ც. – ფერმენტები ხორცპროდუქტების წარმოებაში გუშინ, დღეს, ხვალ _____	66
ცუცქირიძე ნ., კამკამიძე ნ. – ხორცის ფარშის ხარისხი და მისი მახასიათებლები _____	70

სექცია 2
SECTION 2
სექცია 2
HEALTHY DIET FOODS AND FOOD SAFETY
ПРОДУКТЫ ЗДОРОВОГО ПИТАНИЯ И
ПРОДОВОЛЬСТВЕННАЯ БЕЗОПАСНОСТЬ

Абрамович Н.В. – К вопросу обеспечения безопасности продукции общественного питания на основе системы HACCP _____	73
არაბიძე თ., მახათაძე ნ.,* ხუციძე ც. – დიოქსინის საშიშროება და მაგნე პროდუქტებისაგან საზოგადოების დაცვის თანამედროვე სისტემები _____	77
Артёмова Е., Мясищева Н. – Перспективы использования ягод красной смородины новых сортов в технологии диетических желированных продуктов _____	82
Артёмова Е., Ушакова С. – Кукурузная мука в технологии заварного полуфабриката как способ повышения его пищевой ценности _____	90
აფხაზავა დ., ბურჭულაძე ა., ქამადაძე ე. – ფლავონოიდური გლიკოზიდების ცვალებადობა ჩაის და მისი კუპაჟირებით წარმოებულ პროდუქტებში _____	93
ბერულავა ი., იობიძე ა., სილაგაძე მ., ფხაკაძე ნ. – ჯანსაღი კვების პროდუქტები თხილის ფუძეზე _____	96
გამყრელიძე ე.ა. – კვების უსაფრთხოება პესტიციდები და კვების პროდუქტები _____	100
Гатаулина Ю.Р. – Разработка технологии функционального многокомпонентного продукта на зерновой основе _____	104
გოგისვანიძე ჯ.ვ., ფორჩხიძე ა.დ., ყიფიანი ლ.გ., გოგისვანიძე ლ.ვ. – ენდროს საღებარების გამოყენების შესაძლებლობა ხორცპროდუქტების შესაღებად _____	106



გოძიაშვილი ბ. ა., ჩებოტარიოვა მ. ვ. – სასურსათო უსაფრთხოების და ჯანსაღი კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის პრობლემები საქართველოში. _____	109
ვანიძე მ., ჯაფარიძე ი., ქარცივაძე ი., სურმანიძე ნ. – აჭარის ენდემის – მცენარე წყავმაზას ფენოლოური ნაერთების რაოდენობრივი ცვალებადობა _____	113
ვანიძე მ., ქარცივაძე ი., ჯაფარიძე ი., სურმანიძე ნ., კალანდია ა. – ფენოლოური ნაერთების ცვალებადობა მცენარე ხეჭრელის ვეგეტაციის პროცესში _____	117
Василенко З.В., Никулин В.И., Лапковская В.В, Соловьев А.И. – Влияние параметров щелочной деэтерификации на молекулярную массу яблочного пектина _____	122
Василенко З.В., Ромашихин П.А., Болашенко Т.Н., Мацикова О.В. – исследование показателей качества и безопасности майонеза функционального назначения _____	126
თავდიდიშვილი დ., ხუციძე ც., სესიკაშვილი შ. – კვების გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე _____	130
თავდიდიშვილი დ., შენგელია ი., შალამბერიძე მ., კანდელაკი მ. – სტუდენტთა კვებითი ქცევების, კვების ხასიათისა და ორგანიზაციის შესწავლა (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მაგალითზე) _____	135
Колоколов В.А., Жубрева Т.В., Мазанов А.А. – информационная составляющая питания _____	139
კალანდია ა., არქენაძე მ. – ავტოქრონული ჯიშების ყურძენში ანტოციანების ცვალებადობა _____	143
Константинов С.Г. – Воспитание экологического восприятия будущей профессии у студентов пищевых специальностей в курсе физической и коллоидной химии _____	146
Косминский Г.И., Царева Н.Г. – Исследование влияния температурного режима замачивания на продолжительность и степень замачивания гречихи _____	150
Косминский Г.И., Царева Н.Г. – Использование зверобоя, кориандра при производстве пива _____	154
ლომინაძე შ., ბიგვავა ლ., ჭანუყვაძე ფ., ჩიკაშუა ქ., ჯიჯიეშვილი გ. – ქართული ორგანული ჩაის წარმოების ტექნოლოგიის დამუშავება – მინდვრის ცდა _____	157
ლომსიანიძე ი. – ამინომჟავების ფიზიოლოგიური მნიშვნელობა _____	162
მანჯგალაძე ს. – თანამედროვე ბიოტექნოლოგიური მეთოდების გამოყენების შესაძლებლობა ვაზის სანამყენე _____	299



ფორმების მიღებისათვის _____	166
მელქაძე რ., კერესელიძე თ.– კავკასიური დეკას ფოთოლი – პერსპექტიული ნედლეული “მატეს” ტიპის ჩაის მიღებისათვის _____	170
მინაძე ნ., ხეცურიანი გ., ჭეიშვილი ი., ჭელიძე ზ. – ბუნებრივი პიგმენტების გამოყენების ასპექტები კვების მრეწველობაში _____	175
Мирончик А.Ф., Липская Д.А., Радишевская Е.А. – Мониторинг безопасности продуктов питания _____	179
Жубрева Т.В. – Органические продукты, биодинамическая кулинария и медленное питание _____	183
Радишевская Е.А., Мирончик А.Ф. – Обеспечения продо-вольственной безопасности в системе экономической безопасности государства _____	188
Рукшан Л.В. – Качество и перспективы использования гороха белорусской селекции _____	193
Рукшан Л.В., Агейчик Е.С. – Качественная характеристика рапса белорусской селекции _____	196
საკანდელიძე რ., ბეშკენაძე თ. – მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური და ასაკობრივი ჯგუფების ოპტიმალური კვების ასპექტები _____	199
Sesikashvili T., Sesikashvili Sh.– Crisis calls for efficiency, not just cost cutting _____	204
Tukvadze Sh., Lomsianidze I., Sakandelidze R – Strategies to combat zinc deficiency _____	207
ფხაკაძე მ., საღინაძე ი. – ტრანსპორტირების პროცესში საკვები ტვირთების დაცულობის უზრუნველყოფის პერსპექტიული მეთოდები _____	209
ცერცვაძე ვ.ვ., თუთბერიძე ბ.დ., მაისურაძე ზ.ა. – ციტრუსოვანთა ბიოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულის რესურსები, ტექნოლოგიური რეგლამენტები, რეკომენდაციები _____	212
Хведелидзе В., Буцхрикидзе Б., Копалиани Д. – токоферолЫ Экстракционного масла чайного листа _____	216
ხოსიტაშვილი ვ., ჩანქსელიანი ზ., ხოსიტაშვილი ლ. მიქელაძე მ., ლიპარტელიანი მ. მინდიაშვილი ნ., შალამბერიძე მ.* – რადიოპროტექტორული თვისებების კვებითი ღირებულების წითელი ფერის საღებავის მიღების ტექნოლოგია თეთრი ფერის ყურძნის ჭაჭიდან _____	221
Джапаридзе З., Подберезний В., Горгодзе Г. – Исследование химического состава экстракционного масла чайного листа _____	224



კერესელიძე თ.გ. – გენური ინჟინერია, გენ მოდიფიცირებული
 საკვები და სურსათის უვნებლობა _____ 228

სექცია. კვების წარმოების პროცესები და
SECTION 3 აპარატები
APPARATUS
СЕКЦИЯ **ПРОЦЕССЫ И АППАРАТЫ ПИЩЕВЫХ**
ПРОИЗВОДСТВ

არძენაძე მ.დ, მაისურაძე ზ.ა., ჩიქოვანი. დ.მ. – მემბრანული
 პროცესების გამოყენება ხურმის წვენის
 წარმოების ტექნოლოგიაში _____ 233

აფრიდონიძე მ., რუხაძე შ. – ელექტრომემბრანული პროცესების
 გამოყენების პერსპექტივები და ინტენსიფიკაცია _____ 237

ბარდაველიძე ხ.ა* ბარდაველიძე ა.შ.** – საცხობი კამერის
 მართვის სისტემის სინთეზი _____ 242

ბარდაველიძე ხ.ა* ბარდაველიძე ა.შ.** – ჰაერის კონდენსირების
 ოპტიმალური მართვის სისტემა _____ 246

გოცირიძე რ., მხეიძე ს., მხეიძე ნ. – კომპლექსური მემბრანული
 ტექნოლოგიების გამოყენება რძის პროდუქტების
 წარმოებაში უნარჩუნო ტექნოლოგიური
 პროცესისათვის _____ 250

Зверев С.В., Ковальчук П.Г., Сесикашвили О.Ш * – Расчет полей
 облученности под поверхностным излучателем
 произвольной формы _____ 254

Зверев С.В., Ковальчук П. Г., Сесикашвили О.Ш * – Термообработка
 перловой крупы с использованием керамических ик
 излучателей _____ 258

Козин Е.В. – Определение целесообразного режима обработки сои под
 воздействием ИК облучения _____ 262

მეგრელიძე თ., ღვაჩლიანი ბ., ღვაჩლიანი ვ., სადაღაშვილი ე.,
 გუგულაშვილი გ.ი – სოიოს რძის ადუღების
 პროცესის ექსპერიმენტული შესწავლა _____ 267

მეგრელიძე თ., მღებრიშვილი ს., სადაღაშვილი ე., გუგულაშვილი გ.–
 ცხობილზე კრემის წამსვები ახალი მექანიზმი _____ 272

რუხაძე შ., აფრიდონიძე მ. – მემბრანის ფორის ზომის განსაზღვრის



ინოვაციური მეთოდი _____	276
სესიკაშვილი ო. – გაცივებული და გაყინული ხორცპროდუქტების შეთბობისა და გაღვობის პროცესების გამოკვლევა .	281
ცაგარეიშვილი შ., თვალჭრელიძე ა., ცაგარეიშვილი დ. – თერმო-პლასტიკური ექსტრუზიის მეთოდით ფოროვანი სტრუქტურის მქონე კვების პროდუქტების წარმოების პროცესის კვლევა, მცირე წარმადობის ექსტრუდერის დაგეგმარების მიზნით. _____	285
ცაგარეიშვილი დ. – ხორც-პროდუქტების გაცივება, ტრანსპორტირება და გაყინვა მშრალი ყინულის გამოყენებით _	290
ჭოლაძე ი., რევიშვილი თ., მიქაძე თ. – მცირეგაბარიტიანი ენერგოდამზოვი ჩაის საშრობი მანქანა _____	293





კომპიუტერული უზრუნველყოფა და დაკაბადონება
ლევან იოზაძე

ფორმატი A4
ნაბეჭდი ფორმა 18,75
ტირაჟი 60

კრებული დაიბეჭდა ი.მ. «ნათია ტორაძე»-ს მიერ
ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის პროსპექტი 98
ტელ: (8231) 2 21 46 მობ: 855 21 65 57, 899 18 20 98